# საჩოგბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 20 თებერვალი 2001 №28 (1301) | ფასი 50 თეთრი

# საუქმეო კომპლიმენტი ქართველებს: ეს უკვე საქმეა!

## 100 ქართული ლელო

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური. 17 თებერვალი

**საქართველო 36:12 პორტუგალია**

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 7 ათასი

# არწივი ვნახოთ დაჭრილი!



ბადრი ქეთილაძის ფოტო

შაბათს ეროვნულზე: საქართველო — პორტუგალია 36:12. ქართველებმა პორტუგალიელები ბურთს არ მიაკარეს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „ევროპის ერთა თასზე" გამარჯვებით სვლა განაგრძო. შაბათს „ბორჯღალოსნებმა" პორტუგალია ექვსჯერ დაალელოვეს. თედო ზიბზიბაძის მიერ გატანილი მატჩის ბოლო ლელო საიუბილეო, მეასე გამოდგა საქართველოს ნაკრების ისტორიაში.

„ევროპის ერთა თასის" მომდევნო, მესამე ტურში საქართველოს ნაკრებს დიდი გამოცდა ელის: 4 მარტს კრასნოდარში დაუპირისპირდება „ორთავა არწივს", რუსეთის ნაკრებს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



გურამ [illegible] ფოტო

ჯეფ როჯერსი ბათუმის ტურში საუკეთესო იყო

NEBL

# ბასკო და როჯერსი

## მოუგო ყველას, აჯობა ყველას

ბათუმის „ბასკომ" ხმაურიანი ევროდებიუტი მოიწყო. ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL) მეორე დივიზიონის, იგივე „ჩელენჯ კაპის" ბათუმურ ტურში სამივე მეტოქე დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. უქმეებზე ქართველებმა ზედიზედ მოუგეს ესტონურ გუნდებს — ტალინის „ნიბიტს" და ტარტუს „დელტას". ტურის საუკეთესო მოთამაშედ კი „ბასკოს" ამერიკელი გამთამაშებელი ჯეფ როჯერსი შერაცხეს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# სკონტო: რეხვიაშვილმა ბოლონიაში უნდა ითამაშოს!

**უკვე** შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან რეალურია შანსი იმისა, რიგის „სკონტოს“ კაპიტანმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა იტალიას მიაშუროს და იქაურ „ბოლონიაში“ ითამაშოს.

ისეა საქმე, შესაძლო ტრანსფერზე საუბარს დღესდღეობით არც სერია A-ს „ბოლონია“ ერიდება და არც „სკონტო“. ეგ კი არა, ინფორმაცია გავრცელდა, კლუბებმა ერთმანეთში წინასწარი კონტრაქტი უკვე გააფორმეს და იტალიაში სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე ქართველი „ბოლონიას“ ფეხბურთელი გახდებაო.

— ოფიციალურად ჯერ არაფერი გაგვიფორმებია, მაგრამ ყველაფერი აქეთ მიდის. ჩვენ და „ბოლონიას“ საკმაოდ კეთილგანწყობილი ურთიერთობა გვაქვს და მალე, ალბათ, რეხვიაშვილის საკითხი საბოლოოდ და ორივე კლუბისთვის სასიკეთოდ გადაწყდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დიდად მოწადინებულნი და დაინტერესებულნი ვართ, რომ ალეკო რეხვიაშვილმა სერია A-ს კარგ, ძლიერ კლუბში ითამაშოს. მან „სკონტოსთვის“ ბევრი გააკეთა. ჩვენთან ის უდიდესი პატივისცემით სარგებლობს. „სკონტო“ ყველაფერს ილონებს იმისთვის, რომ ქართველი ფეხბურთელი „ბოლონიაში“ გადავიდეს — გვითხრა რიგის „სკონტოს“ მწვრთნელმა ალექსანდრს სტარკოვსმა გუშინ, როცა ჰოლანდიაში შევეხმიანეთ.

თავად ალეკოც ახლა „სკონტოსთან“ ერთად ლატვიის ჩემპიონატისწინა მოსამზადებელ შეკრებაზეა ჰოლანდიაში და რიგაში ხვალ უნდა დაბრუნდეს.

**ქობა ინასარიძე**



ალეკო რეხვიაშვილი ოცნებას უახლოვდება

# დღეს ექიმი, ზეგ ვარჯიში

**საქართველოს** ნაკრებისა და გერმანიის „ფრაიბურგის“ ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი კვლავ ტრავმირებულია.

საქართველო-უკრაინის ამხანაგური მატჩის წინ, ვარჯიშზე, იაშვილმა მოთელვაც ვერ მოასწრო, რომ მინდორზე გაგორდა და ექიმებს დახმარება სთხოვა. ვარჯიში მაშინვე შეწყვიტა, და, რა თქმა უნდა, ვერც ითამაშა, გვითხრა, მარცხენა მუხლის გვერდითი იოგი მაქვს დაჭიმული და იძულებით დასვენება მომიწევსო. ის კი მაშინვე ვერ თქვა თავდამსხმელმა, დაახლოებით რამდენ ხანს დასჭირდებოდა მკურნალობა. მან შაბათს ბუნდესლიგის ის მატჩიც გამოტოვა, მისმა „ფრაიბურგმა“ სტუმრად „კოტბუსი“ რომ დაჩაგრა.

ჩვენ კი გუშინ გავიგეთ, რომ ალექსანდრე იაშვილი ვარჯიშს ალბათ ხუთშაბათს განაახლებს და შესაძლოა, ვერც უახლოეს მატჩში, „მიუნხენ 1860“-ის წინააღმდეგ, ითამაშოს. დღეს მას გუნდის ექიმი გასინჯავს და იტყვის, როდიდან შეუდგება ჩვენებური ვარჯიშს.

**ქობა ინასარიძე**



ალექსანდრე იაშვილი პირველად ნაკრების ექიმ დიმიტრი ზაალიშვილს გაესინჯა

# მარტო კაცი გატანაშიც ცოდოა

**ორკვირიანი** შეკრების შემდეგ დღეს ღამით კვიპროსიდან დაბრუნდება თბილისის „ლოკომოტივი“.

გუშინ კი აიანაპაში ჩვენებურებმა ბოლო ამხანაგური მატჩი გამართეს და კახა გოგიჩაიშვილის ერთადერთი გოლით ელისტის „ურალანი“ დაამარცხეს. იქამდე „ლოკომოტივმა“ ბუქარესტის „დინამოსაც“ გოგიჩაიშვილისვე ორი უპასუხო გოლით მოუგო, უფრო ადრე კვლავაც კახას უყოჩაღია და რკინიგზელებს კორეის ჩემპიონ „ელჯი კორეასთან“ ფრედ უთამაშიათ.

— შეიძლება ითქვას, კახას ამპლუა შევუცვალეთ, მას მეორე თავდამსხმელად ვათამაშებდით და აგერ, შედეგიც — სამ მატჩში ოთხი ბურთი — გვითხრა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა გივი ნოდიამ, როცა კვიპროსზე შევეხმიანეთ.

თბილისში დაბრუნებული „ლოკომოტივი“ 21 თებერვალს დაისვენებს, მეორე დღეს ვარჯიშს განაახლებს, 24-ში კი, ჩემპიონატამდე ბოლო ამხანაგურ მატჩს გამართავს „მერანის“ წინააღმდეგ.

— თბილისში კიევის „ცესკადან“ დაბრუნებული მამუკა რუსია დაგვხვდება და საჩემპიონატოდ ისიც დაგვეხმარება. მის გარდა რამდენიმე ფეხბურთელის დამატებაც გვსურს, მაგრამ რა გამოგვივა, არ ვიცი. კვიპროსული შეკრებით კი ძალიან კმაყოფილი ვარ, საფარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობები იდეალურია. შემადგენლობაც თითქმის უკვე დავაკომპლექტეთ — ესეც გივი ნოდიამ გვითხრა და ისინიც ჩამოგვითვალა, ვინც ბოლო ორ კვიპროსულ მატჩში ითამაშა:

*ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ბაქრაძე, გილაური, ლაცაბიძე, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი, პარამონოვი (ზუროძე).*

რკინიგზელები ამ დილით ერთხელაც ივარჯიშებდნენ აიანაპაში და საღამოთი თბილისს გამოფრინდებოდნენ.

**ქობა ინასარიძე**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური

ალემანია 1:0 არმინია

## იტალია

სერია B. XXIII ტური

იმოლი 0:0 ტერნანა

# ფრაიბურგში თუ ფეხი დაგიცდა

## ცქიტიშვილი გაკვირვებულია, ფინკე კმაყოფილი



კოტბუსი — ფრაიბურგი 0:2. ლევან ცქიტიშვილი (მარცხნივ) ანდრეი კობილანსკის ბურთს ეცილება

*გერმანიის „ფრაიბურგის“ ერთ-ერთ ქართველს, ლევან ცქიტიშვილს მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ბუნდესლიგის მატჩებისას ხშირად სათადარიგოდ რომ იტოვებდა და სულ რამდენიმე წუთით ათამაშებდა, ახლა ბოლო ორი ტურია, ძირითად შემადგენლობაში ამწესებს, კმაყოფილი რჩება და ამის შესახებ ხმამაღლაც აცხადებს. ასე იყო შაბათს, სტუმრად „კოტბუსის“ დამარცხებისა და იქამდეც, შინ „ჰანზასთან“ უგოლო მატჩის შემდეგ. და როგორც ჩანს, ლევან ცქიტიშვილი სტაბილურად ათამაშდა. გუნდის მწვრთნელი ენდობა და ისიც ამართლებს, თუმც კი ეროვნული გუნდის ძირითადში მისთვის დღემდე ვერ გამოინახა ადგილი, მით უმეტეს, ამხანაგური მატჩებისას.*

**— შეგიძლია თქვა, რომ „ფრაიბურგის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრე?**

— უკვე მეორე მატჩია, შეუცვლელად ვითამაშე და მგონია, რომ მომავალშიც ასე იქნება — გვითხრა ლევან ცქიტიშვილმა, გუშინ ფრაიბურგში რომ შევეხმიანეთ — ჩემზე არ არის დამოკიდებული? მწვრთნელი აშკარად კმაყოფილია და საქებარ სიტყვებს არ მაკლებს. მეც ვატყობ თავს, რომ უწინდელთან შედარებით უკეთეს ფორმაში ვარ. ფინკე კი ისეთი მწვრთნელი არ არის, კარგად მომზადებული ფეხბურთელი სკამზე დასვას და მის ნაცვლად სხვა ათამაშოს.

**— მეათე მატჩია, „ფრაიბურგს“ არ წაუგია და ახლა, ალბათ, მხოლოდ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე აღარ ფიქრობთ. უეფას თასზე თამაშის პრეტენზია არ გაქვთ? მით უმეტეს, საამისოდ კარგი შანსი გაქვთ.**

— 10 მატჩია არ წაგვიგია და ბოლო ხუთ თამაშში ბურთი არ გაგვიშვია. ახლა ბევრი რამ უახლოესი მატჩების შედეგებზეა დამოკიდებული. წინა ტურში დასანანი იყო, შინ „ჰანზა“ რომ ვერ დავამარცხეთ, თუმც დაკარგული ახლა ავინაზღაურეთ, სტუმრად მოვიგეთ. ვნახოთ, რა იქნება. ყოველ შემთხვევაში, გუნდში ყველა კარგ ხასიათზეა და იმედიანად ვართ განწყობილნი. დღეს „ფრაიბურგში“ საკმაოდ დიდი კონკურენციაა. თუ ერთხელ ფეხი დაგიცდა, მერე ძირითადში თამაში კარგა ხანს აღარ მოგიწევს. ეს კი, რა თქმა უნდა, ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს და ყველა ვცდილობთ, მწვრთნელი თამაშით უკმაყოფილო არ დავტოვოთ. მონდომებული რომ ხარ, შედეგიც თავისთავად მოდის.

**— ნაკრებში რატომ არ გათამაშებენ?**

— რა ვიცი, ეგ მწვრთნელებს ჰკითხეთ. ერთხელ ხომ უნდა მომცენ შანსი, რომ ისინი ჩემს შესაძლებლობებში დავარწმუნო. რატომ არ მათამაშებენ, ეს მაინც მითხრან.

**— ხელი ხომ არ ჩაგიქნევია?**

— ეგ უფრო მწვრთნელებზე ითქმის. ისე ჩანს, რომ მათ ჩემზე მართლაც ხელი ჩაიქნიეს. ვერ გამიგია, თამაშებისთვის რატომღა მიძახებენ, აუცილებელია? თუ არ ვჭირდები ნაკრებს, პირდაპირ მითხრან.

**— ფინკე რას გეუბნება, ნაკრებში რეგულარულად რომ გიწვევენ და არ გათამაშებენ?**

— რა უნდა მითხრას, ისიც მწვრთნელია. უბრალოდ, თავადაც გაკვირვებულია.

**— არც „კიოლნთან“ გათამაშებენ 26 თებერვალს?**

— წინასწარ რა ვთქვა. იმედი კი მაქვს, რომ ვითამაშებ, თუმც ვნახოთ, რას გადაწყვეტენ მატჩის წინ.

**ქობა ინასარიძე**

გეპატიჟებათ ბაკურიანში სასტუმრო საბა



სასტუმრო მდებარეობს დაბის ცენტრში, „ოცდახუთიანისა“ და პარკის სავალო გზებთან ახლოს

- ორ და სამადგილიანი კომფორტაბელური ნომრები;
- მუდმივი დენი, გათბობა, ცხელი წყალი;
- სამჯერადი კვება, სამზარეულო ქართული, ფრანგული, ევროპული კერძებით;
- თხილამურების გაქირავების პუნქტი;
- სათხილამურო სპორტის გამოცდილი ინსტრუქტორი;
- სათხილამურო ტრასებამდე ავტომანქანით მომსახურება;
- სატელიტური ტელეარხები.

ბაკურიანი, კოსტავას ქ. №25 ტელ: 8 (99) 10-24-63



☎ (231) 7 17 58 იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

**ჩემი** დაბრუნებით ყველანაირ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღო, ჭორები გავფანტე — ამას ამბობს დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

შაბათს საღამოს მერაბ ჟორდანია თბილისში ჩამოვიდა.

სფფ-ის პრეზიდენტი თებერვლის დასაწყისში გაფრინდა შვეიცარიაში, ფიფას ერთ-ერთ საკომისიო ჯგუფში სამონაწილეოდ. მის დაბრუნებას 14 თებერვლამდე — საქართველო-უკრაინის ამხანაგურ მატჩამდე ველოდით. ჟორდანია ევროპაში დარჩა. მიზეზად ეროვნული ნაკრების საკონტროლო მატჩებისთვის სპარინგ-პარტნიორთა შერჩევა დასახელდა. ნაკრები უპრეზიდენტოდ დაუხვდა უკრაინას, მერე კი გაირკვა, რომ „მალიორკა“ უარს ამბობდა მარტში თამაშზე, თავს იკავებდა „კიოლნიც“. სფფ-ის თავკაცი კი კვლავაც საზღვარგარეთ გახლდათ.

ჟორდანია სამშვიდობოს არის, „დინამოსთან“ დაკავშირებულ მოვლენებს გაურბის, ოჯახისი წევრებსაც ელოდება საზღვარგარეთ — მსგავსი ხმები ბევრი იყო, ისევე როგორც კითხვები, რომლებზეც სფფ-ის პრეზიდენტს უნდა გაეცა პასუხი.

ორშაბათს მერაბ ჟორდანია სამუშაო კაბინეტს დაუბრუნდა.

— ძალიან საწყენია, რომ ჩემს შესახებ ასეთი მოსაზრება იყო თბილისში. დღეს აქ ვარ და ყველა ჭორი გავფანტე. საზღვარგარეთ საქმეების გამო დავრჩი. უპირველესად ეროვნული ნაკრებისთვის მეტოქეები უნდა შეგვერჩია ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. ასი პროცენტით გადაწყვეტილია, რომ 26 თებერვალს „კიოლნთან“ ვითამაშებთ სტუმრად. „მალიორკასთან“ დაკავშირებით რაღაც გაურკვევლობაა, თუმც ესპანელებს მოგვიანებით ალბათ მაინც გავეჯიბრებით.

შვეიცარიაში ყოფნისას მონაწილეობა მივიღე სატრანსფერო პრობლემებთან დაკავშირებით შექმნილ ფიფას საკომისიო ჯგუფის მუშაობაში. მოგეხსენებათ, ამ თვის ბოლომდე საბოლოო სახე უნდა მიიღოს სატრანსფერო კანონმა. ადრე უიმედოდ ვიყავი განწყობილი, მეჩვენებოდა, რომ სატრანსფერო ქაოსისგან გამოსავალი არ ჩანდა, მეგონა, ამასთან დაკავშირებით ევროკავშირი დათმობაზე არ წავიდოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩიხიდან გამოსასვლელი გზები გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ფიფა-უეფას სატრანსფერო კანონები ევროკავშირის ჩარჩოებში ვერ ჯდება, არის საშუალება, რომ საფეხბურთო ინტერესები მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული.

გადაწყდა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში საფეხბურთო კონტრაქტს ჰქონდეს განსაზღვრული ძალა, რათა ფეხბურთელი ამ პერიოდში თავისუფლად ვერ გადავიდეს სხვა კლუბში, თუმც არის ხელისშემშლელი ფაქტორიც. აუცილებელია, ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმოს საფეხბურთო პროფკავშირები, მათთან კი ჯერჯერობით შეთანხმება არ არის მიღწეული. მოლაპარაკებები გრძელდება და მჯერა, სასიკეთოდაც დამთავრდება.

**— უკრაინელებს ვერც თქვენ უმასპინძლეთ და ვერც სფფ-ის გენერალურმა მდივანმა. ჩვენი ინფორმაციით, შვეიცარიაში სამუშაო ვიზიტი 14 თებერვლამდე უნდა დაგესრულებინათ...**

— სამწუხაროდ, ფიფას კომისიამ 14 თებერვლამდე ვერ დაასრულა მუშაობა. ისე გული დამწყდა, რომ საქართველო-უკრაინის მატჩს ვერ დავესწარი, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ორგანიზაციული მხარე ჩინებულად მოგვარდა. ვიცოდი ისიც, რომ ამ თამაშს ვერც ჩემი უკრაინელი კოლეგა გრიგორი სურკისი დაესწრებოდა. ისიც ფიფას ერთ-ერთ კომისიაში მუშაობდა შვეიცარიაში და შევხვდი კიდეც.

**— მატჩის ჩანაწერი თუ ნახეთ?**

— საშუალება მქონდა, ამ თამაშის პირდაპირი რეპორტაჟი მენახა შვეიცარიაში.

**— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ვთვლი, რომ საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი შეხვედრა იყო. ჩვენებს ურიგოდ არ უთამაშიათ. განსაკუთრებით ეს პირველ ტაიმზე ითქმის.

**— ალბათ, ტელევიზორშიც ჩანდა ეროვნული სტადიონის უვარგისი საფარი...**

— ეს ჩვენმა „ცოურიხელმა“ ლეგიონერებმაც აღნიშნეს ჩემთან სატელეფონო საუბრისას. რუმინელებთან მატჩი უმნიშვნელოვანესი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტიცაა ჩვენი ნაკრებისთვის. ასეთ მატჩში მინდორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დაუყოვნებლივ უნდა მოვაწესრიგოთ იგი და ამ მხრივ ძიებაში ვართ. საჭიროა, ისეთი სპეციალისტი გამოვნახოთ, რომელიც ერთ თვეში ვარგისიანს გახდის მოედანს. თორემ გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით. მოგეხსენებათ, ვაკეში არ ესწრება სტადიონის აშენება რუმინეთამდე. ქუთაისში ბალკანელთა სამასპინძლოდ სათანადო პირობები არ არის, გვრჩება მარტო „ეროვნული“...

**— ბათუმის ვარიანტს გამორიცხავთ?**

— იქ განათება არ არის სათანადო. თანაც სტადიონიც სარეკონსტრუქციოა.

**— სფფ-ის ჩინოსანთა შვეიცარიაში სტუმრობას „დინამოსთვის“ სატრანსფერო ყადაღის მოხსნაც უნდა მოჰყოლოდა...**

— ამის შესახებ ოფიციალური გადაწყვეტილება ფიფას ჯერ არ მიუღია, თუმც მქონდა შეხვედრები და ჩათვალეთ, რომ ეს პრობლემა მოგვარებულია, ერთ კვირაში „დინამოს“ ტრანსფერების განხორციელების უფლება ექნება.

**— „დინამო“ პოლიციამ ჩაიბარა. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?**

— ჩემი მხრიდან, ალბათ, არაკორექტული იქნება იმის განსაზღვრა, თუ რომელი ვარიანტი უფრო უკეთესი იქნებოდა „დინამოსთვის“, მაგრამ მე მინდა, დავაფიქსირო ჩემი პოზიცია. ვფიქრობ, დღევანდელი, თანამედროვე საკლუბო სტრუქტურა დაფუძნებული უნდა იყოს კლუბის კერძო საკუთრებაში ყოფნაზე. არა მგონია, საბიუჯეტო ორგანიზაციამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დიდხანს შეძლოს იმ ტვირთის ზიდვა, რასაც თბილისის „დინამოს“ მეპატრონეობა ჰქვია.

**— იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ „დინამოს“ სათავეში კვლავაც ცვლილებებია მოსალოდნელი?**

— „დინამოს“ ძველი დამფუძნებლები არ შეეგუებიან გვერდზე დარჩენას. არ გამოვრიცხავ, რომ მოკლე დროში კლუბმა ის თანამედროვე სახე მიიღოს, რომელიც მისი განვითარებისთვის საუკეთესო ვარიანტია. თუმც, ვაფიქსირებ, უფლება არ მაქვს, კლუბთან მიმართებაში ვინმეს პოზიცია დავიჭირო. სასამართლო განიხილავს „დინამოს“ რეგისტრაციის საკითხს და ფედერაციაც სწორედ ამის საფუძველზე ცნობს ახალ მეპატრონეს. მაგრამ ვიმეორებ, ძველი დამფუძნებლები არ აპირებენ განზე დარჩენას და გარკვეულ ზომებს მიიღებენ.

**— ანუ გაასაჩივრებენ?**

— დიახ, ჩემი ინფორმაციით, ისინი ამას აპირებენ.

## მერაბ ჟორდანიას პროგნოზი: პოლიცია დინამოს დიდხანს ვერ შეინახავს

*— არა მგონია, საბიუჯეტო ორგანიზაციამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დიდხანს შეძლოს იმ ტვირთის ზიდვა, რასაც თბილისის „დინამოს“ მეპატრონეობა ჰქვია.*

*— „დინამოს“ ძველი დამფუძნებლები არ აპირებენ განზე დარჩენას და გარკვეულ ზომებს მიიღებენ.*

*— ჩემთვის ცნობილია, თუ საიდან გაჩნდა ეს ყალბი კონტრაქტი, მაგრამ არაკორექტული იქნება, ის პიროვნებები დავასახელო, ვინც ის ქაღალდი ბანკში წარადგინა...*

*— ოფიციალურად თბილისის „დინამოს“ კიეველთაგან 50 პროცენტი არ ეკუთვნის.*



მერაბ ჟორდანია

**— ძველ დამფუძნებლებში თქვენც შედიხართ...**

— ჩემი პოზიცია ყველასთვის ცნობილია, რადგან ჯერ კიდევ ორი წლის წინ განვაცხადე, რომ არანაირი პრეტენზია დამფუძნებლობაზე არ მექნებოდა.

**— გასული წლის მიწურულს პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ თუ „დინამო“ საგაზაფხულო ეტაპის განახლებამდე რეგისტრაციას არ გაივლიდა, ჩემპიონატიდან მოკვეთდით. ჯერჯერობით კლუბს ეს პროცესი არ გაუვლია, თქვენი სიტყვები კვლავაც ძალაშია?**

— შესაძლებელია ჩემპიონატის განახლებამდე შსს-მ მოაგვაროს კლუბის რეგისტრაცია. არც ისაა გამორიცხული, ეს პროცესი გაიწელოს, მაგრამ ისევ წავალთ დათმობაზე და ნებისმიერ შემთხვევაში „დინამო“ ჩემპიონატში მონაწილეობას გააგრძელებს.

**— კახა კალაძის სატრანსფერო კონტრაქტთან დაკავშირებით კვლავაც ბევრი კითხვაა. რამდენი კონტრაქტი არსებობს ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით თბილისისა და კიევის „დინამოებს“ შორის?**

— რა თქმა უნდა, ერთი, რომლის შესახებაც განვაცხადე კიდეც.

**— არსებობს თქვენი და სურკისის ხელმოწერილი მეორე, „50-პროცენტიანი“ კონტრაქტიც...**

— შეუძლებელია, იმის შესახებ არ ვთქვა, თუ რატომაა საუბარი მეორე კონტრაქტზე. ხაზს ვუსვამ, მოვერიდები იმ პიროვნებების დასახელებას, რომელთა შეცდომა და დანაშაულია, რომ „აგრომრეწვბანკში“ წარადგინეს ყალბი კონტრაქტი.

**— კი მაგრამ, „აგრომრეწვბანკის“ ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ „50-პროცენტიანი“ კონტრაქტი თქვენ, მერაბ რატიანმა და რომიკო შოთაძემ მიიტანეთ ბანკში...**

— ამის შესახებ წავიკითხე თქვენს გაზეთში, არასწორი ინფორმაციაა, მე ამ ბანკთან არასდროს ურთიერთობა არ მქონია და არ მჯერა, რომ „აგრომრეწვბანკში“ დაფიქსირებული იყოს ჩემი ხელმოწერა.

**— ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ კონტრაქტი რატიანთან და შოთაძესთან ერთად არ მიგიტანიათ ბანკში?**

— დიახ. მეტსაც გეტყვით, დიდი ხნის შემდეგ გავიგე, რომ ეს ყალბი კონტრაქტი ბანკში აღმოჩნდა. მაშინ „დინამოსთან“ უკვე არანაირი შეხება არ მქონდა.

**— თქვენი აზრით, საიდან და როგორ გაჩნდა „50-პროცენტიანი“ კონტრაქტის ასლი, რომელიც ასევე 1998 წლის 17 იანვრითაა დათარიღებული?**

— ჩემთვის ცნობილია, თუ საიდან გაჩნდა ეს ყალბი კონტრაქტი, მაგრამ არაკორექტული იქნება, ის პიროვნებები დავასახელო, ვინც ის ქაღალდი ბანკში წარადგინა... ჯობს, ამ კითხვით მათ მიმართოთ...

**— ესე იგი, რატიანს და შოთაძეს?**

— დიახ!

**— თქვენ თქვით, რომ შვეიცარიაში ყოფნისას სურკისს შეხვდით...**

— მას ვესაუბრე და მიუხედავად ჩვენი დიდი ხნის მეგობრობისა, უკმაყოფილოა, რომ ყველაფერმა ასეთი სახე მიიღო. ამ სკანდალის გამო ბევრი უკავშირდება მას, პრეტენზიებით, კითხვებით მიმართავენ და სურკისიც აღშფოთებულია ამ მდგომარეობით. თუმც მისი პოზიცია ჩემთვის ცნობილია. იგი მზადაა, თბილისის „დინამოს“ ლეგიტიმურ ხელმძღვანელს შეხვდეს...

არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ სფფ-ის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ალბათ თავისდაუნებურად ზუსტად დააფიქსირა კალაძის კიევის „დინამოში“ გადასვლის დეტალები და ახლა ყველასთვის ცხადი უნდა იყოს მაშინდელი ვითარება.

კალაძე მაშინ 17 წლის იყო და „დინამოსთან“ არანაირი იურიდიული ძალის მქონე კონტრაქტი არ აკავშირებდა, ამდენად კიევის „დინამოს“ უფლება ჰქონდა, ყველანაირი საკონტრაქტო თუ საკომპენსაციო თანხის გარეშე წაეყვანა ეს ფეხბურთელი. წესით, თბილისის „დინამოს“ კალაძის სანაცვლოდ ცენტიც კი არ უნდა მიეღო, მაგრამ ჩემი და სურკისის ურთიერთობიდან გამომდინარე, კიევის „დინამოს“ მაშინდელმა პრეზიდენტმა ყველაფერი გაითვალისწინა. თავად დამიკავშირდა და 300 000 დოლარის გადახდაზე დათანხმდა. მაშინ სურკისმა ჩემთან საუბარში ისიც თქვა, რომ თბილისის „დინამოს“ ინტერესებს მომავალშიც გაითვალისწინებდა.

**— მთავარი კითხვა კი კვლავაც უპასუხოა. ეკუთვნის თბილისის „დინამოს“ უკრაინელთაგან კალაძის „მილანში“ ტრანსფერის სანაცვლოდ საკონტრაქტო თანხის 50 პროცენტი?**

— გააჩნია, რა მხრივ მივუდგებით ამ კითხვას...

**— რას გულისხმობთ?**

— ოფიციალურად თბილისის „დინამოს“ კიეველთაგან 50 პროცენტი არ ეკუთვნის.

**— ანუ გარკვეული თანხის სხვა ფორმით მიღება შესაძლებელია?**

— ამის დიდი პერსპექტივაა.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ექიეთ მწვრთნელი ცხადაძემ დინამო დაიცვა

**საგაზაფხულო** ეტაპისთვის სამზადისში „დინამო“ და „მერანი“ გუშინ მეორედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. პირველ საკონტროლო მატჩში დინამოელებმა იმარჯვეს 1:0, გუშინ კი „მერანმა“ გაილაღა. ავჭალელებმა ორი უპასუხო ბურთი გაუტანეს მასპინძლებს. მატჩის პირველ წუთებზე ანგარიში დავით გოდერძიშვილმა გახსნა. „დინამო“ მედგრად უტევდა, სახიფათო მომენტებიც შექმნა, მაგრამ „მერანი“ მაგრად იდგა. მეორე ტაიმშიც რევაზ არველაძის შეგირდები გაცილებით მეტს უტევდნენ, თუმც ერთ-ერთი კონტრშეტევისას მერანელმა სოსო დევიძემ წერტილი დაუსვა ყოველივეს.

კვიპროსიდან დაბრუნდა და გუშინდელ საკონტროლო შეხვედრაში ითამაშა კიდეც კახა ცხადაძემ. მაგრამ მიუხედავად ამისა, რევაზ ქემოკლიძისა და ირაკლი ვაშაკიძის „ტორპედოში“ გადასვლის შემდეგ „დინამოს“ დაცვა ერთობ მოიკოჭლებს. ნახევარდაცვაშიც არ ულხინს ათგზის ჩემპიონს, ახალბედა და ჭაბუკი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული შუახაზი არც თუ საიმედოა. ამ რგოლში ყველაზე გამორჩეული ფიგურა დავით დათვაძე გახლდათ, წინა ხაზში კი ზაზა ზირაქიშვილი თავისი სისწრაფის ხარჯზე ცდილობდა ფონს გასვლას. რა თქმა უნდა, საკონტროლო მატჩში დამარცხება ბევრს არაფერს ნიშნავს. „დინამო“, ფაქტობრივად, ხელახალი დაკომპლექტების პროცესშია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ერთობ გაუჭირდება.

„დინამო“ გუშინ რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინათ, მაგრამ საქმე გაჯანჯლდა.

— რეგისტრაციისთვის შესაბამის დოკუმენტაციებს ველით ქონების მართვის სამინისტროდან და მერიიდან — გვითხრა გუშინ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ ნიკა ივანიშვილმა და დაამატა — რაც შეეხება მერაბ ჟორდანიას განცხადებას, „დინამოს“ ყოფილი დამფუძნებლების პრეტენზიების შესახებ, ჩვენთვის ამის თაობაზე არავის მოუმართავს.

და კიდევ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რევაზ არველაძე „დინამოს“ პრეზიდენტობასა და მწვრთნელობას ერთმანეთს არ შეუთავსებს. ასე რომ, „დინამოს“ მალე ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება.

**დავით თაქართქილაძე**


## ჰერბალ-ვი ვიაგრას მცენარეული ალტერნატივა




**სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება**

**HERBAL VY — მამაკაცებისთვის** — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით, — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს;

*„ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევად!*

**HERBAL VY** — „ვიაგრა“ — უაღრესად პოპულარული, უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტარულ საზოგადოებაში!

*ინგლისურ-შვეიცარიული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.*

**აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!**

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში

„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენტი“ ტ. 99-87-37

# აქაც ვიქტორი, იქაც ვიქტორი

## ესპანეთი

### XXIII ტური

**სოსიედადი 2:1 ესპანიოლი**

1:0 სერხიო (30ს.კ.), 1:1 ტოლედო (36), 2:1 დე პაულა (77პ)

სოსიედადი: ალბერტო, ჟულიო სეზარი, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, ლუის ალბერტო, ხაბი ალონსო, ტაიფური, ხოსლოვი, დე პედრო (დე პაულა 46), იანკაუსკასი (ფუენტესი 59), იდიაკესი (ლორენტე 73)

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

ესპანიოლი: არგესო, ლოპო, ტოლედო, როტჩენი, როხერი (ლარდინი 78), ნაგასი, გალკა, სერხიო, ველამაზანი, ტამუდო, მარტინ პოსე

მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი

გაფრთხილება: ველამაზანი, ხაბი ალონსო, პიკაბეა, ნაგასი, როტჩენი, ლოპეს რეკარტე, ლოპო, ჟულიო სეზარი

23 000 მაყურებელი

**ბარსელონა 2:3 დეპორტივო**

0:1 ჯალმინია (5), 1:1 რივალდო (14პ), 2:1 ლუის ენრიკე (34), 2:2, 2:3 ვიქტორი (71, 91)

ბარსელონა: რეინა, სერხი (ხერარდი 78), ფ. დე ბური, რაიციგერი, ლუის ენრიკე (დანი 78), კოკუ გვარდიოლა, გაბრი, კლუივერტი, რივალდო, ზენდენი (ალფონსო 46)

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

დეპორტივო: ხ. მოლინა (სონგო 30), რომერო, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, ჯალმინია (კაპდევილა 81), ფრანი (ვალერონი 56), ვიქტორი, მაურო სილვა, დონატო, ემერსონი, მაკაი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ლუის ენრიკე, დონატო, ჯალმინია

90 000 მაყურებელი

**რეალი 1:0 რასინგი**

1:0 რაული (46)

რეალი: კასილიასი, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი, სალგადო, სოლარი (სელადესი 79), მაკელელე, ელგერა, გუტი (მუნიტისი 73), ფიგუ, რაული

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

რასინგი: სებალიოსი, რამისი, ხუანმა, მელბერგი, არსენო, რეგუეირო (მაგალიანეში 79), მაცონი, ხულიო ალვარესი, ამავისკა, კოლსა (ესპინია 76), ისმაელი

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: მაცონი, არსენო, მაკელელე, კოლსა, ისმაელი, მაგალიანეში

59 014 მაყურებელი

**ლას პალმასი 0:2 ვალენსია**

0:1 ხუან სანჩესი (17), 0:2 აიმარი (87)

ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, ალვარო, პაკუი, ხორხე (ანხელი 82), ედუ ალონსო, იარნი, სემესი, ხოსიკო (ელოი 67), გიარე (ორლანდო 67), ულარე

მწვრთნელი: სერჯიო კრესპო

ვალენსია: კანისარესი, ალბელდა, აიალა, ანგლომა, კარბონი, ჯუკიჩი, ბარახა, ვისენტე, აგულო, კარეუ (დიეგო ალონსო 77), ხუან სანჩესი (აიმარი 79)

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: პაკუი, სემესი, ალბელდა, ხორხე

გაძევება: ნაჩო გონსალესი (86)

18 510 მაყურებელი

**ნუმანსია 3:2 მალაგა**

1:0 ივან პერესი (43), 1:1 ზარატე (50), 2:1 პაკო მორანი (56), 2:2 მოვილია (60პ), 3:2 რუბენ ნავარო (87პ)

ნუმანსია: ანტია, მანელი, პაჩეტა, სორია, ნაგორე (ხოსე მანუელი 76), პაკო მორანი, ოქტავიო, ივან პერესი (მუნისი 89), რუბენ ნავარო (ობედა 93), ინიაკი, მარინი

მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი

მალაგა: კონტრერასი, დ. ლარაინსარი, როტეტა (რადა 86), ბრაგო, როხასი, დე ლოს სანტოსი, ზარატე მოვილია, კანაბალი (ისმაელი 73), ისნატა (ფერნანდო სანსი 64), დელი ვალდესი

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, ბრაგო, კონტრერასი, კანაბალი, ოქტავიო, სორია, როტეტა

გაძევება: კონტრერასი (84)

9 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:1 ვალიადოლიდი**

1:0 ვიქტორი (38პ), 2:0 ხაიმე (80), 2:1 ალბერტო (92)

ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, კაკე ალვარესი, არუაბარენა, უნაი, ამორი (ხაიმე 70), გალეანი, კანია, კალეხა (ესკუდე 16), ხორხე ლოპესი, პალერმო, ვიქტორი (კრაიოვეანუ 75)

მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე

ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, გარსია კალვო, მარკოსი, პაინცე, ფერნანდო სალესი, ანტონიო ლოპესი (ალბერტო 74), ფერნანდო, ტურიელი, ეუსებიო (ჩირიჩი 80), პაჩონი

მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო

გაფრთხილება: ხაიმე, ვიქტორი, უნაი, გარსია კალვო, პაინცე, ბიზარი

13 000 მაყურებელი

**სარაგოსა 5:2 ოვიედო**

1:0 ხოსე იგნასიო (6), 2:0 ესნაიდერი (23პ), 2:1 დანჯუ (32), 3:1 მარტინ ველისკა (38), 4:1 ესნაიდერი (45), 5:1 აკუნია (60), 5:2 ხაიმე (69)

სარაგოსა: ხუანმი, პაკო ხიმესი, აგუადო, ლანა (კუარტერო 53), გურენკო, აკუნია, ხოსე იგნასიო, მარტინ ველისკა, ჟამელი (არაგონი 83), ესნაიდერი, ხუანელე

მწვრთნელი: ლუის კოსტა

ოვიედო: ესტებანი, ბორისი, დანჯუ, ონოპკო, გასპარი (რაბარივონი 56), ი. ტომიჩი, კეიტა, ივან ანია (ხუან გონსალესი 46), ამიევა, პაუნოვიჩი, ოლი

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

გაფრთხილება: ბორისი, ლანა, ხოსე იგნასიო, დანჯუ, ონოპკო, აკუნია, კეიტა

23 000 მაყურებელი

**ოსასუნა 0:1 ალავესი**

0:1 მაგნო (68)

ოსასუნა: ნუნო, ვიდაკოვიჩი, კრუჩაგა, ივან პერესი, ლორენსი (საბინო 72), ლეკუმბერი (გაჩენედო 46), ალფრედო, ალფონსო, ალიესი, ივან როსადო (ანხელ ლუისი 82), არმენტანო

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

ალავესი: ერერა, ტელიესი, ეგენი, იბონ ბეგონია, კონტრა, სარიერი, ჟ. ტომიჩი, ასკორეტა (პაბლო 53), დესიო, მაგნო (ივან ალონსო 77), ხავი მორენო (კრუიფი 69)

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

გაფრთხილება: სარიერი, მაგნო, ლორენსი, ვიდაკოვიჩი

17 594 მაყურებელი

**სელტა 1:1 რაიო ვალიეკანო**

0:1 ბალესტეროსი (29), 1:1 ხუანფრანი (33)

სელტა: კავალიერო, ბერიზო, ხუანფრანი, კასერესი, ველასკო, ხაიო, ედუ, მოსტოვოი (მაკკარტი 75), კატანია, ვაგნერი (ჯოვანელა 46), გუსტავო ლოპესი (კარპინი 54)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

რაიო ვალიეკანო: კელერი, ბალესტეროსი, მაურო, ურბანო, ალკასარი, გლაუჩიო, ივან იგლესიასი (პოშნერი 46), სეტვალსი, პელეგერი, ბარტელტი (სემბრანოსი 46), ბოლიჩი (ბოლო 70)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: ივან იგლესიასი

22 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:0 ბილბაო**

1:0 კარლოსი (31)

მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა, ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, ფინიდი, ნოვო (ჩიჩი სოლერი 66), ენგონგა, კარერასი, ლუკე (ტრისტა 85), კარლოსი (არმანდო 80)

[illegible]

...რო, ლაკრუსი, ფელიპე (ურზაია 66), ორბაი... სი (ილსეპე 80) ი. გერერო (ტიკო 80), ალკისა, ოსკარ ვალესი, ურსაისი, ხ. ეჩებერია

მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო

გაფრთხილება: ლაკრუსი, ლარაინსარი

15 000 მაყურებელი



ვილიარეალი — ვალიადოლიდი 2:1. მარტინ პალერმომ (მარჯვნივ) ვერ გაიტანა, მაგრამ ორივე გოლში ლომის წილი დაიდო

REUTERS

„დეპორტივოსთან" ისტორიული მარცხის მიუხედავად, ლორენს სერა ფერერი იმედს არ კარგავს: „ბრწყინვალედ ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. სამწუხაროდ, რამდენიმე შეცდომა დავუშვით, რამაც დაგვღუპა. ეს დაღლილობის ბრალია, თუმცა „ბარსელონას" საჩემპიონო ბრძოლიდან ჩამოწერას არავის ვურჩევ, ჯერ კიდევ ბევრი თამაშია დარჩენილი".

„ბარსას" წაგებას ისტორიული ვუწოდეთ, რაკი გალისიელებს „კამპ ნოუზე" აქამდე არასდროს მოეგოთ. ამის მოლოდინში იყო 90 ათასი ქომაგიც, რომლებიც უსიამოვნო პირველი წუთების შემდეგ ტაიმის შედეგით კმაყოფილნი დარჩნენ — ჯალმინიას გოლს, რომელიც ვიქტორის და როი მაკაის კომბინაციას მოჰყვა, რივალდომ პენალტით, ხოლო ლუის ენრიკემ თავურით უპასუხეს.

პირველივე ტაიმში სტუმრებს მეკარეც დაემტვრათ, ხოსე მოლინა პატრიკ კლუივერტს შეასკდა და ჟაკ სონგომ შეცვალა.

მერე ვიქტორმა ორი ბრწყინვალე გოლი გაიტანა, მათგან მეორე 93-ე წუთზე. მასპინძელთა კართან საჯარიმო დაინიშნა. ისე ჩანდა, რომ ლაკორუნიელებს ბურთი მარცხნივ უნდა დაეგორებინათ და მერე დაერტყათ. ამიტომ მარჯვნივ მდგომი ვიქტორისთვის ბარსელონელებს დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ და როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული მარცხიც იწვნიეს.

გახსოვთ, „რეალი" — „ლაციო"? საეჭვოა, დაგვიწყებოდათ. ჰოდა, „რეალი" — „რასინგი" არაფრით ჰგავდა იმ მატჩს. უსახური ბურთაობის ბედი სანტანდერელი კარის დარაჯ ხოსე სებალოსის ერთმა შეცდომამ გადაწყვიტა, რომელმაც ბურთის მიღებისას ვერ ივარგა და რაულს ჩააბარა. აბა, რაული ასეთ საჩუქარზე უარს როგორ იტყოდა.

ცხრილს თუ ჩავხედავთ, „რეალი" ყველაზე მეტად „დეპორტივოს" უნდა უფრთხილდეს, რომელთან სხვაობაც ოდენ ოთხი ქულაა და საქართველოს გასაბჭოების დღეს ეგებ ქულამდეც შემცირდეს — „დეპორტივო" „რეალს" მასპინძლობს. მაგრამ რატომღაც ვისენტე დელ ბოსკე „სუპერდეპორზე" კი არა, „ბარსელონაზე" ფიქრობს, „ბარსა" თერთმეტი ქულით კი ჩამოგვრჩება, მაგრამ ისეთი გუნდია, ყველაფერი მოსალოდნელია და ფრთხილად უნდა ვიყოთო.

გვახსენდება, სტენ კოლიმორის „ოვიედოში" გადასვლის ამბებს რომ ვწერდით, ეჭვი გამოვთქვით, ეს ჯეელი ადრე თუ გვიან აურევსო. კოლიმორის კარიერა გვაძლევდა დაეჭვების საბაბს. ჰოდა, აურია. „სარაგოსასთან" მატჩის წინ ინგლისელი რადომირ ანტიჩთან მისულა და დღეს რაღაც ფორმაში არ ვარ, ნუ მათამაშებო. მწვრთნელსაც რაღა ექნა, კოლიმორი დაასვენა და განაცხადა, ეგ არაფერი, ახალ გარემოსთან შეგუებას დრო სჭირდება და ჩვენც არ დავაჩქარებთ, კოლიმორზე სამომავლო გეგმები გვაქვს აწყობილიო.

ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს მწვრთნელის სიტყვები. 30 წლის კაცზე, რომელიც ხან ხასიათზეა, ხან არა, სამომავლო გეგმების აწყობა სარისკო საქმე უნდა იყოს.

„ოვიედომ" სტუირად წააგო „სარაგოსასთან" და თან ხუთი ბურთი გაუშვა. გავბედავთ და ვიტყვით, რომ ოვიედოელთა თამაშში პროგრესი შეინიშნება. რატომ? „ოვიედოს" ზედიზედ ათ გასვლით მატჩში, ანუ სეზონის დაწყებიდან, ერთი გოლიც არ გაეტანა და მეთერთმეტეში ორჯერ გაიტანა, ახლა ნაკლების გაშვებასაც თუ ისწავლის...

„ოვიედო" ერთი საფეხურით უსწრებს „ნუმანსიას", ეს კი თავის მხრივ „სოსიედადს", რომელსაც ჯერაც დაშავებული ჰყავს გიორგი დემეტრაძე.

„სოსიედადს" კარგი შანსი ჰქონდა, „ნუმანსიას" დაწეოდა, მაგრამ რუბენ ნავარომ „დაალალატა", რომელმაც სორიელებს გვიანი პენალტით სამი ქულა მოუტანა.

რაც შეეხება სანტანდერელებს, მათ იღბალმა ზურგი არ შეაქცია და ... ტოქეს ბურთი საკუთარ კარში ჩააჭრევინა. გავიხსენოთ, რომ წინა შეხვედრებში ზრსრედადელებმა ორი ავტოგოლი მიითვალეს და ოდესმე მეტოქეც ხომ უნდა შემცდარიყო?

„ვილიარეალმა" „ვალიადოლიდი" დაამარცხა და ორ ქულამდე მიუახლოვდა „ბარსელონას". მასპინძელთა ორივე გოლში მარტინ პალერმომ დაიდო წილი. სწორედ მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა ვიქტორმა (აქაც ვიქტორი), ხოლო ბოლოსკენ პალერმოს თავურს მეკარე ალბანო ბიზარემ ოდენ მუშტი შეაგება და ხაიმე რამოსს უკან მობრუნებული ბურთი ერთი მეტრიდან რომ ვერ გაეტანა, საოცარი იქნებოდა.

„ვალიადოლიდმა" წამატებულ დროში ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ სტუმართა ყოჩაღობაზე მეტად ეს მასპინძელთა მოდუნების ბრალია, აგერ, ახლა ჩასტვენს მსაჯიო და დაცვაში მოისუსტეს.

ვალენსიამ სამი ქულა წაიღო ლას პალმასიდან. ვალენსიელთა საქმეში ჩადებულმა ოცმა მილიონმა პირველი დივიდენდი მოიტანა პაბლო აიმარის გოლის სახით — ამ თანხად გადაიბირეს არგენტინელი „ვალენსიაში". ეს აიმარის სადებიუტო მატჩი იყო პრიმერადივიზიონში.

მასპინძელთა მეკარე ნაჩო გონსალესი ორ წუთში გმირიდან ანტიგმირად იქცა. 75-ე წუთზე მან დიეგო ალონსოს პენალტი მოიგერია, ორ წუთში კი უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის წითელი ბარათი მიიღო. საოცრად არ გაუმართლა მის ნაცვლად კარში ჩამდგარ ჟელკო კიკოვიჩს — მინდორზე გასვლისთანავე აიმარმა დაურტყა და გაუტანა.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 23 | 16 | 3 | 4 | 52:25 | 27 | 51 | 11 | 10 | 0 | 1 | 32:9 | 23 | 30 | 12 | 6 | 3 | 3 | 20:16 | 4 | 21 |
| 2 | დეპორტივო | 23 | 14 | 5 | 4 | 45:24 | 21 | 47 | 11 | 9 | 2 | 0 | 24:4 | 20 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 21:20 | 1 | 18 |
| 3 | ვალენსია | 23 | 12 | 6 | 5 | 36:16 | 20 | 42 | 12 | 9 | 1 | 2 | 23:5 | 18 | 28 | 11 | 3 | 5 | 3 | 13:11 | 2 | 14 |
| 4 | ბარსელონა | 23 | 12 | 4 | 7 | 48:34 | 14 | 40 | 11 | 8 | 1 | 2 | 30:13 | 17 | 25 | 12 | 4 | 3 | 5 | 18:21 | -3 | 15 |
| 5 | ვილიარეალი | 23 | 11 | 5 | 7 | 31:24 | 7 | 38 | 11 | 5 | 4 | 2 | 13:11 | 2 | 19 | 12 | 6 | 1 | 5 | 18:13 | 5 | 19 |
| 6 | მალიორკა | 23 | 10 | 8 | 5 | 32:29 | 3 | 38 | 11 | 7 | 3 | 1 | 20:13 | 7 | 24 | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | -4 | 14 |
| 7 | რაიო ვალეკანო | 23 | 8 | 9 | 6 | 42:37 | 5 | 33 | 12 | 6 | 4 | 2 | 24:13 | 11 | 22 | 11 | 2 | 5 | 4 | 18:24 | -6 | 11 |
| 8 | ალავესი | 23 | 10 | 3 | 10 | 32:29 | 3 | 33 | 12 | 7 | 1 | 4 | 16:10 | 6 | 22 | 11 | 3 | 2 | 6 | 16:19 | -3 | 11 |
| 9 | ლას პალმასი | 23 | 9 | 4 | 10 | 24:39 | -15 | 31 | 11 | 6 | 1 | 4 | 12:16 | -4 | 19 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:23 | -11 | 12 |
| 10 | სარაგოსა | 23 | 7 | 9 | 7 | 35:32 | 3 | 30 | 11 | 6 | 4 | 1 | 28:13 | 15 | 22 | 12 | 1 | 5 | 6 | 7:19 | -12 | 8 |
| 11 | ესპანიოლი | 23 | 9 | 3 | 11 | 30:27 | 3 | 30 | 12 | 6 | 1 | 5 | 17:11 | 6 | 19 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:16 | -3 | 11 |
| 12 | ბილბაო | 23 | 8 | 6 | 9 | 30:35 | -5 | 30 | 11 | 7 | 2 | 2 | 23:14 | 9 | 23 | 12 | 1 | 4 | 7 | 7:21 | -14 | 7 |
| 13 | ვალიადოლიდი | 23 | 6 | 11 | 6 | 26:27 | -1 | 29 | 12 | 6 | 6 | 0 | 16:7 | 9 | 24 | 11 | 0 | 5 | 6 | 10:20 | -10 | 5 |
| 14 | მალაგა | 23 | 8 | 4 | 11 | 35:37 | -2 | 28 | 12 | 6 | 3 | 3 | 21:15 | 6 | 21 | 11 | 2 | 1 | 8 | 14:22 | -8 | 7 |
| 15 | სელტა | 23 | 7 | 7 | 9 | 27:33 | -6 | 28 | 12 | 5 | 6 | 1 | 18:12 | 6 | 21 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:21 | -12 | 7 |
| 16 | ოვიედო | 23 | 8 | 3 | 12 | 29:42 | -13 | 27 | 12 | 8 | 2 | 2 | 27:15 | 12 | 26 | 11 | 0 | 1 | 10 | 2:27 | -25 | 1 |
| 17 | ნუმანსია | 23 | 6 | 5 | 12 | 23:38 | -15 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 15 | 12 | 2 | 2 | 8 | 10:24 | -14 | 8 |
| 18 | სოსიედადი | 23 | 5 | 6 | 12 | 26:47 | -21 | 21 | 12 | 2 | 5 | 5 | 14:24 | -10 | 11 | 11 | 3 | 1 | 7 | 12:23 | -11 | 10 |
| 19 | რასინგი | 23 | 4 | 5 | 14 | 26:40 | -14 | 17 | 11 | 4 | 3 | 4 | 17:16 | 1 | 15 | 12 | 0 | 2 | 10 | 9:24 | -15 | 2 |
| 20 | ოსასუნა | 23 | 3 | 8 | 12 | 22:36 | -14 | 17 | 12 | 2 | 5 | 5 | 12:16 | -4 | 11 | 11 | 1 | 3 | 7 | 10:20 | -10 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 16 |
| რივალდო (ბარსელონა) | 13 |
| რაული (რეალი) | 13 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 10 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 10 |
| მაკაი (დეპორტივო) | 10 |
| კატანია (სელტა) | 10 |

**XXIV ტური**

24 თებერვალი

დეპორტივო — რეალი

25 თებერვალი

ალავესი — სელტა

ოვიედო — ოსასუნა

ვალიადოლიდი — სარაგოსა

ვალენსია — ვილიარეალი

მალაგა — ლას პალმასი

ბილბაო — ნუმანსია

რასინგი — მალიორკა

ბარსელონა — სოსიედადი

რაიო ვალეკანო — ესპანიოლი

## მეორე დივიზიონი

### XXV ტური

**ეელვა 4:1 უნივერსიდადი**

1:0, 2:0, 3:0 ხისკო (21, 44, 60), 3:1 ზაინოსი (81), 4:1 ბოდიპო (86)

**ხაენი 0:0 კორდობა**

**კომპოსტელა 2:3 ატლეტიკო**

1:0, 2:0 გუდელი (26, 36), 2:1 ლუკე (61), 2:2 პინილიო (63ს.კ.), 2:3 უგო ლეალი (91)

**ხეტაფე 0:1 ესტრემადურა**

0:1 ფელიქსი (64)

**ლეგანესი 0:1 სალამანკა**

0:1 ველასკო (66)

**ლევანტე 2:0 ტენერიფე**

1:0 ალბერტო (63პ), 2:0 პერაგონი (80)

**ლეიდა 0:1 სევილია**

0:1 გალარდო (85)

**ალბასეტე 2:1 მურსია**

1:0 იურიჩი (7), 1:1 მონტენეგრო (72), 2:1 გერერო (81)

**სპორტინგი 0:0 ეიბარი**

**ბეტისი 1:1 ბადახოსი**

0:1 ბოუსა (12), 1:1 ამატო (61)

**ელჩე 2:0 ფეროლი**

1:0 ნინიო (20), 2:0 სერბანი (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 25 | 14 | 6 | 5 | 37:21 | 48 |
| ბეტისი | 25 | 13 | 8 | 4 | 25:14 | 47 |
| ტენერიფე | 25 | 13 | 6 | 6 | 37:21 | 45 |
| სალამანკა | 25 | 13 | 5 | 7 | 29:22 | 44 |
| ეელვა | 25 | 9 | 13 | 3 | 24:14 | 40 |
| ლევანტე | 25 | 8 | 13 | 4 | 32:25 | 37 |
| ატლეტიკო | 25 | 9 | 9 | 7 | 34:27 | 36 |
| სპორტინგი | 25 | 9 | 9 | 7 | 31:24 | 36 |
| ალბასეტე | 24 | 9 | 9 | 6 | 21:18 | 36 |
| ეიბარი | 25 | 8 | 11 | 6 | 20:16 | 35 |
| ბადახოსი | 25 | 7 | 14 | 4 | 24:21 | 35 |
| კორდობა | 25 | 9 | 7 | 9 | 24:25 | 34 |
| მურსია | 25 | 8 | 9 | 8 | 34:31 | 33 |
| ესტრემადურა | 25 | 8 | 6 | 11 | 22:28 | 30 |
| ხაენი | 25 | 7 | 8 | 10 | 15:26 | 29 |
| ლეგანესი | 25 | 5 | 13 | 7 | 31:28 | 28 |
| ელჩე | 25 | 6 | 10 | 9 | 27:33 | 28 |
| ფეროლი | 24 | 6 | 7 | 11 | 26:30 | 25 |
| კომპოსტელა | 25 | 6 | 5 | 14 | 24:45 | 23 |
| ხეტაფე | 25 | 5 | 7 | 13 | 22:38 | 22 |
| ლეიდა | 25 | 3 | 8 | 14 | 21:35 | 17 |
| უნივერსიდადი | 25 | 2 | 11 | 12 | 18:36 | 17 |

## სამეფო თასი

**ნახევარფინალის წილისყრა**

**ატლეტიკო (II) — სარაგოსა**

**სელტა — ბარსელონა**

*I მატჩები გაიმართება 20 აპრილს, საპასუხოები 24 აპრილს. ფინალი კი შედგება 30 აპრილს სევილიის „ოლიმპიურზე".*

# მშრალი 450
## ალბათ მაინც მისცა



REUTERS

შტუტგარტი — ჰერტა 0:1. ჰორიზონტალური ბოდიში: ბერლინელმა ჯოლის სვერისონმა (უკან) შტუტგარტელი ბრედლი კარნელი ჯერ წააქცია, მერე კი ასე დაამშვიდა

### გერმანია

XXII ტური

**კოტბუსი 0:2 ფრაიბურგი**

0:1, 0:2 დორნი (50, 90)
რეგეკამპფმა ვერ გაიტანა პენალტი (67, მეკარე)
კოტბუსი: პიბლიცა, ვატა, ბეჟდოროვიჩი, ბეეკი, ტილემანი, აკპაროვიჩი (ს. ილიე 75), რეგეკამპფი, კობილანსკი (ლატუნდი 75), მირიუტა, ჰელბიგი, ლაბაკი (ფრანკლინი 61)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე (მ. მიულერი 69), დიარა, კელი, ცხიტიშვილი, ა. ცაიერი, კობიაშვილი, კულიბალი, ვ. ბუტი (რამდანე 84), ვაისჰაუპტი, სელიმი (დორნი 46)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: აკპაროვიჩი, ჰელბიგი, მირიუტა, კობილანსკი, ტილემანი, გოლცი, კონდე, დორნი, ბუტი
14 133 მაყურებელი

**კიოლნი 0:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ლოკვენცი (14)
კიოლნი: ბადე, კულმანი, კელერი, ბულაიჩი, ვოიგტი, ჟივიორი (სინკალა 61), შპრინგერი, ლოტნერი (კროიცი 70), ტიმი, კურტი, ა. არველაძე (დონკოვი 70)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, კლოსი, ჰ. კოხი, შტრასერი, ხრისტოვი (პეტერსონი 84), ბასლერი, ბუკი, ბიელიცა (ჯორკაეფი 60), კლოზე (მარშალი 90), ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ბულაიჩი, კურტი, ბიელიცა, ბასლერი, ხრისტოვი, ლოკვენცი
36 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 4:2 ჰამბურგი**

1:0 ბობიჩი (6), 2:0 ადო (54), 3:0 ბობიჩი (59), 3:1 ბარბარესი (77), 4:1 ფუკალი (82ს.კ.), 4:2 მეიერი (90)
დორტმუნდი: ლაუქსი, ვიორნსი, კოლერი (მეცელდერი 62), ოლისე, დედე, ჰაინრიხი, რიკენი, როსიცკი, ადო, რეინა (ნერლინგერი 52), ბობიჩი (ნოიჰაუსი 87)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერცი, ფუკალი, ჰოოგმა, იუფფალუში, ჰოლერბახი, ნ. კოვაჩი, ბარბარესი (ტოფტინგი 87), პრეგერი (ჰაშემიანი 52), ჰაინცი, იებოა (მეიერი 62)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ბობიჩი, ბარბარესი, პრეგერი
გაძევება: ჰაშემიანი (70)
64 500 მაყურებელი

**შტუტგარტი 0:1 ჰერტა**

0:1 პრეეცი (77)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, სოლდო, ბორდონი, კარნელი, მაისნერი, ლისტეში (ჯორჯევიჩი 76), გლები (მარკეში 46), ჰინტე, დანდი (განია 46), ადემარი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰერტა: კირალი, სიმუნიჩი, ვან ბურიკი, შმიდტი, კონსტანტინიდისი, ჰარტმანი, დარდაი, ტრეჩოკი, სვერისონი, ვოში, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ლისტეში, ტრეჩოკი
18 500 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:0 ბოხუმი**

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, ბენგენი, შნური (რიშე 84), აკონორი, ვოსი, ვაისერი, კუპბაუერი, მუნტიანუ, ტ. მარიჩი (აკპობორი 69), იუსკოვიაკი (ს. მიულერი 46)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, შტიკროტი, მილინოვიჩი, სუნდერმანი (ფარენჰორსტი 71), ბემბენი, კოლდინგი, შინდცილორცი (მამიჩი 60), მაიხელბეკი, ბასტურკი, ფრაიერი (ბუშელი 65), მ. მარიჩი
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
გაფრთხილება: ბილიშკოვი, მილინოვიჩი
12 318 მაყურებელი

**ვერდერი 2:1 შალკე**

1:0 პიზარო (17), 2:0 ერნსტი (26), 2:1 სანდი (66)
ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ბაუმანი, ბანოვიჩი, აილტსი, ფ. ერნსტი, ა. ჰერცოგი, პიზარო, აილტონი (ლი 79)
მწვრთნელი: თომას შააფი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ნემეცი (მულდერი 82), ჰაპე, ვან ჰუგდალემი, ლატალი (კმეტში 64), ვან კერკჰოვენი (ბიოსკენსი 18), მიოლერი, ასამოა, სანდი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: ერნსტი, ჰაიტო, კმეტში
33 065 მაყურებელი

**ჰანზა 2:1 ლევერკუზენი**

0:1 კირსტენი (23), 1:1 აგალი (45), 2:1 ბაუმგარტი (56)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, იაკობსონი, ოსვალდი, რიდლევიჩი, შრიოდერი, ვიბრანი, ლანცი, ემარა, ბაუმგარტი (ცალმანი 90), აგალი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ლუსიო, ნოვოტნი (ბ. შნაიდერი 46), ჟივკოვიჩი, ბლასენტე (ბერბატოვი 74), რამელო, რ. კოვაჩი, ბალაკი, ზე რობერტო, ნოივილი, კირსტენი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
გაფრთხილება: ვიბრანი, ზე რობერტო, კირსტენი, კოვაჩი
გაძევება: ოსვალდი (86)
12 500 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 1:0 ბაიერნი**

1:0 შპიზაკი (57)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ბუხერი, ზაიფერტი, დ. შვარცი (ჩიჟეკი 85), ჰირში, ჰაბერი, ციმერმანი, შპიზაკი, ობერლაიტნერი (ბრაიტენრაიტერი 76), რაკლი (შტრაუბე 72)
მწვრთნელი: გიუნტერ ლორენც კოსტნერი
ბაიერნი: კანი, კუფური (სალიჰამიჯიჩი 68), იერემისი, ლინკე, სანიოლი, ფინკი, ტარნატი, ჰარგრივსი (დი სალვო 70), შოლი, ციკლერი (ელბერი 46), პაულო სერჟიო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჰარგრივსი, შპიზაკი
15 000 მაყურებელი

**მიუნხენი 2:2 აინტრახტი**

0:1 ჩენ-იანგი (22), 0:2 კრიჟალოვიჩი (58), 1:2 მაქსი (72), 2:2 ჰესლერი (81პ)
მიუნხენი: იენჩი, ჰფუდერერი (ელერსი 46), ზელიჩი, კურცი (ტისი 10), შტრანცლი, ბორიმიროვი, ჩერნი (აგოსტინო 65), ბაიროდკა, ჰესლერი, მაქსი, შროტი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, რადა, კრახტი, მუტცელი, ჰროისი (ვიმერი 59), გებჰარდტი, შური, ჰელდტი (ბინდევალდი 79), ჩენ-იანგი (გუი-მიენი 90), კრიჟალოვიჩი
მწვრთნელი: როლფ დომენი
გაფრთხილება: ბორიმიროვი, ჩენ-იანგი, მუტცელი, შური
20 200 მაყურებელი

**ხომ** ვამბობდით — ჩაიცინეს ბოროტმა ენებმა და ოპონენტებს „უნტერჰახინგი“—„ბაიერნის“ წყვილზე მიანიშნეს, ეგრეც ვიცოდით, რომ მიუნხენელები მეტოქეს დაუწვებოდნენო. ამის მთქმელნი არგუმენტად შარშანდელ ჩემპიონატს ასახელებდნენ, როცა უნტერჰახინგელებმა ბოლო ტურში „ლევერკუზენს“ მოუგეს, რის შედეგადაც ჩემპიონი „ბაიერნი“ გახდა.

შაბათს ქულები ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. პირველ ადგილზე მყოფ ბავარიელებს წაგება, შესაძლოა, ლიდერობის დაკარგვად დასჯდომოდათ, აუტსაიდერთა შორის მყოფი მასპინძლები კი უფრო დაიმძიმებდნენ მდგომარეობას.

...და „უნტერჰახინგმა“ მოიგო. 57-ე წუთზე „ლევერკუზენიდან“ ნათხოვარმა პოლონელმა შპიზაკმა დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა. ამის მერე თამაში ერთ კარში მიმდინარეობდა, „ბაიერნი“ უტევდა, რამდენიმე რეალური მომენტიც შექმნა, ერთხელ ბურთი ძელსაც გაარტყა, მარცხს კი მაინც ვერ გადაურჩა. მიუნხენელებს ვერც მატჩისწინა ხრიკებმა უშველა. კუფური, იერემისი, ტარნატი, პაულო სერჟიო და შოლი არ ითამაშებენო, ითქვა თამაშამდე, მინდორზე კი ყველა გავიდა. იმედი გაუცრუვდა ჩირიაკო სფორცასაც, რომელსაც მატჩის წინ ძირითადში დაბრუნებას დაჰპირდნენ, მაგრამ ისევ სათადარიგო სკამი აზხინეს.

„მოგება ყოველთვის სასიამოვნოა, ასეთ მეტოქესთან გამარჯვება კი — ორმაგად სასიხარულო“ — განაცხადა ნამატჩევს ლორენც-გიუნტერ კოსტნერმა, „უნტერჰახინგის“ თავკაცმა.

ასეთი ტური გერმანიაში დიდი ხანია, არ ახსოვთ. ყველას ეგონა, „ბაიერნის“ მარცხის შემთხვევაში ლიდერი შეიცვლებოდა, ბავარიელთა ზურგსუკან ხომ „შალკე“ და „ლევერკუზენი“ სუნთქავდნენ, მაგრამ „ბაიერნის“ ფეხის დაცდენით ვერც ერთმა ისარგებლა. „შალკე“ ბრემენში დამარცხდა, „ლევერკუზენი“ კი როსტოკში, თანაც ორივე ერთნაირი ანგარიშით — 1:2.

გელზენკირხენელთა მწვრთნელ ჰუუბ სტივენსს თამაშამდე ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. ოღონდ უახლოესი ტურები გადაგვაგორებინა და მერე გვეშველებაო, ეს სიტყვები სტევენსს ტრავმირებულთა სიმრავლემ ათქმევინა.

22-ე ტური „შალკემ“ ვერ გადააგორა, „ვერდერთან“ 26-ე წუთზე უკვე 0:2-ს აგებდა. ჯერ პიზარომ გახსნა ანგარიში, მერე ერნსტმა გაზარდა. ამის შემდეგ „შალკემ“ შეუტია. სტუმრები გონს მოეგნენ, მაგრამ ერთი საპასუხო გოლის გატანის გარდა ვერაფერი გააზერხეს. ბუნდესლიგის ბომბარდირმა ებე სანდმა ლიდერობა განიმტკიცა.

სხვაგვარად განვითარდა მოვლენები როსტოკში, სადაც სტუმრად წვეული „ლევერკუზენი“ კირსტენის გოლით 23-ე წუთიდან ტაიმის ბოლომდე იგებდა. მსაჯს, ის-ის იყო, პირველი ნახევარი უნდა დაესრულებინა, რომ აგალიმ თავით წონასწორობა აღადგინა. ამ გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე კირსტენმა დუბლის შესრულების ჩინებული შანსი დაკარგა. მატჩის ბედი 55-ე წუთზე გადაწყდა, როცა ემარას ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ბაუმგარტი დაუხვდა და თავით ცუბერბიულერი მეორედ დაამწუხრა. ბოლო წუთებზე ჰანზელი კაი ოსვალდის გაძევება ბერტი ფოგტსის გუნდს ვერაფერში წაადგა.

პირველი სამეულის წაფორხილებით ისარგებლა „დორტმუნდმა“, რომელიც შინ „ჰამბურგის“ ძლევის შემდეგ ჩემპიონობის კანდიდატთა შორის გაერია. „შალკე“-„ლევერკუზენის“ მსგავსად, ვესტფალენელებიც ორი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ „ბაიერნს“.

64 500 მაყურებელმა შაბათს „დორტმუნდის“ ჩინებული თამაში იხილა. მასპინძლებმა „ჰამბურგი“ დებიუტშივე გატეხეს. 25 მილიონმარკიანი როსიცკის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ბობიჩმა ბუტის კარში გადაგზავნა. ამის შემდეგაც „დორტმუნდი“ უტევდა, მაგრამ 54-ე წუთამდე — უშედეგოდ. მერე კი ადომ გაზარდა სხვაობა. პირველ ნახევარში იებოას რომ ერთი ასპროცენტიანი შანსი გამოეყენებინა, ალბათ გოლი მასპინძლებს მეორედ დააწინაურებდა. ბოლო ნახევარ საათში ოთხი გოლი გავიდა, აქედან სამი ჰამბურგელებმა შეაგდეს, თუმცა ფუკალს მისამართი შეეშალა და საკუთარი კარის ბადე შეარხია. შედეგად — 4:2.

„ფრაიბურგი“ შაბათ საღამოს მეხუთე ადგილზე გახლდათ, დღეს კი მეშვიდეა, რადგან კვირას „კაიზერსლაუტერნმაც“ მოიგო და „ჰერტამაც“. თუმც ჩვენ ჩვენი ვთქვათ.

მე-17 ტურის შემდეგ „ფრაიბურგს“ გაშვებული გოლის სიმწარე აღარ უგემია, ანუ 450 წუთია, რიხარდ გოლცს საკუთარი კარიდან ბურთი არ გამოუტანია. შაბათსაც ასე იყო, „ფრაიბურგმა“ [illegible] სტუმრად „კოტბუსს“ 2:0 მოუგო და პირადი რეკორდი კიდევ უფრო გააუმჯობესა — 10 მატჩია, წაუგებელია.

ისე, კოტბუსში ყველაფერი უსამართლოდ მოხდა. პირველ ტაიმში მასპინძლებმა სტუმართა კართან შტურმი მოაწყვეს, მაგრამ გოლცი, მეტი რომ არ ვთქვათ, დიდებული გახლდათ. საცოდაობა იყო კოტბუსელთა ხილვა, რომლებიც ერთმანეთზე უკეთეს მომენტებს აფუჭებდნენ. სამაგიეროდ, „ფრაიბურგმა“ გამოიყენა, რაც შექმნა: დორნიმ ჯერ ვაისჰაუპტს დაუფასა გარჯა, მერე — კობიაშვილს და დუბლის შესრულებით მატჩის გმირი შეიქნა, თუმცა გოლცის თამაშთან მისი გოლები, აბა, რა მოსატანია. სტუმართა მეკარემ ისე ხომ აიღო ძნელი ბურთები, 67-ე წუთზე სულ მთლად გაიგიჟა თავი და რეგეკამპფის პენალტიც მოიგერია.

„ფრაიბურგისგან“ განსხვავებით, შერცხვა არჩილ არველაძის „კიოლნი“, რომელმაც შინ „კაიზარსლაუტერნთან“ წააგო. აჩიკო ძირითადში იყო, თუმც 70-ე წუთზე დონკოვმა შეცვალა. გადამწყვეტი გოლი მე-14 წუთზე გავიდა — ბუკის პასით ვრატისლავ ლოკვენცმა გაიხარა. „კიოლნი“, ალბათ, თამაშს გადაარჩენდა, მსაჯ მაიერის შეცდომები რომ არა. მან ჯერ შპრინგერის წაქცევისთვის არ დანიშნა პენალტი, მერე კი შტრასერსაც შეარჩინა ტიმთან უხეშობა. ეს ორი თერთმეტმეტრიანი რომ დანიშნულიყო...

ისე, პენალტსაც გამოყენება უნდა.

**განო ოქროპირიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 22 | 13 | 3 | 6 | 44:24 | 20 | 42 | 11 | 9 | 0 | 2 | 28:12 | 16 | 27 | 11 | 4 | 3 | 4 | 16:12 | 4 | 15 |
| 2 შალკე | 22 | 12 | 4 | 6 | 43:25 | 18 | 40 | 10 | 8 | 2 | 0 | 21:6 | 15 | 26 | 12 | 4 | 2 | 6 | 22:19 | 3 | 14 |
| 3 ლევერკუზენი | 22 | 12 | 4 | 6 | 39:25 | 14 | 40 | 10 | 8 | 1 | 1 | 23:5 | 18 | 25 | 12 | 4 | 3 | 5 | 16:20 | -4 | 15 |
| 4 დორტმუნდი | 22 | 12 | 4 | 6 | 35:28 | 7 | 40 | 11 | 7 | 1 | 3 | 18:12 | 6 | 22 | 11 | 5 | 3 | 3 | 18:15 | 3 | 18 |
| 5 ჰერტა | 22 | 12 | 1 | 9 | 44:39 | 5 | 37 | 11 | 6 | 1 | 4 | 27:20 | 7 | 19 | 11 | 6 | 0 | 5 | 17:19 | -2 | 18 |
| 6 ლაუტერნი | 22 | 11 | 4 | 7 | 32:29 | 3 | 37 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:8 | 8 | 21 | 11 | 5 | 1 | 5 | 16:21 | -5 | 16 |
| 7 ფრაიბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 30:21 | 9 | 34 | 10 | 5 | 3 | 2 | 19:5 | 14 | 18 | 12 | 4 | 4 | 4 | 11:16 | -5 | 16 |
| 8 ვოლფსბურგი | 22 | 8 | 8 | 6 | 40:28 | 12 | 32 | 12 | 5 | 5 | 2 | 26:14 | 12 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 12 |
| 9 ვერდერი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:31 | -1 | 31 | 11 | 7 | 3 | 1 | 21:11 | 10 | 24 | 11 | 1 | 4 | 6 | 9:20 | -11 | 7 |
| 10 კიოლნი | 22 | 8 | 5 | 9 | 39:36 | 3 | 29 | 12 | 6 | 3 | 3 | 26:14 | 12 | 21 | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | -9 | 8 |
| 11 მიუნხენი | 22 | 7 | 7 | 8 | 27:37 | -10 | 28 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:16 | -1 | 18 | 11 | 2 | 4 | 5 | 12:21 | -9 | 10 |
| 12 აინტრახტი | 22 | 8 | 3 | 11 | 28:38 | -10 | 27 | 10 | 6 | 1 | 3 | 18:13 | 5 | 19 | 12 | 2 | 2 | 8 | 10:25 | -15 | 8 |
| 13 ჰანზა | 22 | 7 | 4 | 11 | 21:34 | -13 | 25 | 11 | 4 | 3 | 4 | 13:16 | -3 | 15 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:18 | -10 | 10 |
| 14 ჰამბურგი | 22 | 7 | 3 | 12 | 42:43 | -1 | 24 | 10 | 6 | 1 | 3 | 22:12 | 10 | 19 | 12 | 1 | 2 | 9 | 20:31 | -11 | 5 |
| 15 უნტერჰახინგი | 22 | 6 | 6 | 10 | 21:35 | -14 | 24 | 12 | 5 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 19 | 10 | 1 | 2 | 7 | 7:24 | -17 | 5 |
| 16 კოტბუსი | 22 | 7 | 2 | 13 | 26:38 | -12 | 23 | 12 | 7 | 0 | 5 | 19:16 | 3 | 21 | 10 | 0 | 2 | 8 | 7:22 | -15 | 2 |
| 17 შტუტგარტი | 22 | 5 | 6 | 11 | 31:37 | -6 | 21 | 12 | 5 | 5 | 2 | 25:15 | 10 | 20 | 10 | 0 | 1 | 9 | 6:22 | -16 | 1 |
| 18 ბოხუმი | 22 | 5 | 4 | 13 | 19:43 | -24 | 19 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:19 | -5 | 14 | 11 | 1 | 2 | 8 | 5:24 | -19 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 15 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 14 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| პრეეცი (ჰერტა) | 13 |
| აგოსტინო (მიუნხენ 1860) | 11 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 11 |

**XXIII ტური**

23 თებერვალი
ლევერკუზენი — კოტბუსი
24 თებერვალი
ბაიერნი — კიოლნი
აინტრახტი — ვერდერი
ფრაიბურგი — მიუნხენ 1860
ჰამბურგი — ვოლფსბურგი
ჰერტა — უნტერჰახინგი
შალკე — დორტმუნდი
25 თებერვალი
ბოხუმი — შტუტგარტი
ლაუტერნი — ჰანზა

### მეორე ბუნდესლიგა

XXII ტური

**ალენი 3:1 როიტლინგენი**

0:1 ტრაუბი (17), 1:1 შპიორლი (28), 2:1 ფაინბერი (31), 3:1 ბელა (35)
როიტლინგენი: კურკო, ტრაუბი, ლაპაჩინსკი (სუმიალა 76), მალხოვი (ვილდმანი 65), ჰოფაკერი, ადუბე, იანიჩი, ბეკერი, ლექსა, დიაბა (ფრომერი 61), ჰოფმანი
მწვრთნელი: რალფ ვე
7 135 მაყურებელი

**ობერჰაუზენი 2:2 ფიურტი**

0:1 აზუზი (38), 0:2 კიოიო (52), 1:2 ვებერი (80), 2:2 მიულერი (90)
ფიურტი: რეხოლდი, შკარაბელა, რაიტერი, ბოი, სურმანი, ჰასა, რაიხელი, აზუზი (ვალტერი 78), რუმანი, ამანატიდისი (ელბერფელდი 56), კიოიო (ჰასენჰუტლი 74)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
3 054 მაყურებელი

**ულმი 3:0 ქემნიცი**

1:0 როსლერი (32), 2:0 ლეანდრო (44), 3:0 როსლერი (81)

**ოსნაბრუკი 2:2 ზაარბრიუკენი**

1:0 ბრინკმენი (15პ), 1:1 კრეიგი (25), 2:1 ვინკლჰოფერი (66ს.კ.), 2:2 ბენდერი (90პ)

**ნიურნბერგი 2:1 კიკერსი**

0:1 გერჩიევი (18), 1:1 გომსი (35), 2:1 კრჟინოვეკი (56)

**ზანქტ პაული 1:0 დუისბურგი**

1:0 კოდელი (45ს.კ.)

**მაინცი 0:1 მიონხენგლადბახი**

0:1 ვან ჰუდტი (56)

**ვალდჰოფი 2:1 ჰანოვერი**

1:0 კლაუსი (3), 1:1 ლინკე (59), 2:1 ტებერი (69)

**ალემანია — არმინია**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 22 | 16 | 3 | 3 | 45:20 | 51 |
| გლადბახი | 22 | 11 | 8 | 3 | 40:21 | 41 |
| ზანქტ პაული | 21 | 11 | 6 | 4 | 46:31 | 39 |
| როიტლინგენი | 21 | 10 | 5 | 6 | 46:38 | 35 |
| ვალდჰოფი | 22 | 10 | 5 | 7 | 31:28 | 35 |
| ჰანოვერი | 22 | 9 | 6 | 7 | 37:25 | 33 |
| ფიურტი | 22 | 9 | 6 | 7 | 32:25 | 33 |
| დუისბურგი | 21 | 9 | 5 | 7 | 34:24 | 32 |
| ზაარბრიუკენი | 22 | 9 | 5 | 8 | 33:42 | 32 |
| ობერჰაუზენი | 22 | 9 | 4 | 9 | 29:31 | 31 |
| ალენი | 22 | 8 | 6 | 8 | 35:36 | 30 |
| არმინია | 21 | 6 | 6 | 9 | 29:26 | 24 |
| ულმი | 22 | 6 | 5 | 11 | 28:33 | 23 |
| ალემანია | 20 | 6 | 5 | 9 | 28:41 | 23 |
| ოსნაბრუკი | 22 | 5 | 6 | 11 | 21:36 | 21 |
| კიკერსი | 21 | 4 | 8 | 9 | 18:27 | 20 |
| მაინცი | 21 | 4 | 7 | 10 | 19:29 | 19 |
| ქემნიცი | 22 | 2 | 4 | 16 | 16:54 | 10 |

# იტალია

## XIX ტური

### მილანი 3:3 ბოლონია

1:0, 2:0 შევჩენკო (23, 32), 2:1, 2:2 ჩიპრიანი (55, 75), 2:3 სინიორი (81), 3:3 სალა (92)
მარესკამ ვერ გაიტანა პენალტი (43, მეკარე)
მილანი: აბიატი, სალა, როკე ჟუნიორი, მალდინი, ბა (ჰელვეგი 65), კალაძე, კოკო, ჯუნტი, ლეონარდო (გატუზო 58), კომანდინი (ხოსე მარი 78), შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პაგანინი, გამბერინი, ტარანტინო (ბრიოსკი 58), ნერვო (პიაჩენტინი 79), მარესკა, ლიმა, ლოკატელი (ოლივე 90), ჩიპრიანი, სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: სალა
43 453 მაყურებელი

### ნაპოლი 1:0 ინტერი

1:0 მატუზალემი (54)
ნაპოლი: ფონტანა, ბალდინი, კიროგა, ტროიზე, საბერი, ხუსაინი, ვიდიგალი (ფრეზი 89), მატუზალემი, ბაჩინი, ედმუნდო (მაგონი 57), ბელუჩი (მორიერო 80)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
ინტერი: ფრეი, ჩირილო (ზეედორფი 77), სიმიჩი (ფერანტე 60), ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (ფარინოსი 65), დალმა, გრეშკო, ვიერი, რეკობა
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: ჩირილო, ვიერი
გაძევება: მატუზალემი (54)
50 000 მაყურებელი

### ბარი 0:1 იუვენტუსი

0:1 დელ პიერო (81)
ბარი: ჟილე, დე როსა (ოსმანოვსკი 62), მაცარელი, ნეგროუზი, ინოჩენტი (სიბილანო 76), საიდი, დ. ანდერსონი, მ. მარკოლინი, ბელავისტა, კასანო (მადსენი 71), ბოჯი
მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, პესოტო, მონტერო, ფერარა, ბირინდელი, დავიდსი, ტაკინარდი, ძამბროტა (ბრიგი 46; ფონსეკა 78), ზიდანი, ფ. ინძაგი, კოვაჩევიჩი (დელ პიერო 62)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: დე როსა, ტაკინარდი, ნეგროუზი
33 175 მაყურებელი

### პერუჯა 0:1 ლაციო

0:1 სიმეონე (88)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა (სოლიანო 83), მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო, ლივერანი, ბაიოკო, პიერი (რობიატი 91), ვრიზასი, საუდატი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ლაციო: პერუცი, ნეგრო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, პანკარო, პობორსკი (კასტრომანი 72), ბარონიო (სტანკოვიჩი 63), სიმეონე, ხ. ვერონი, სალასი (ს. ინძაგი 83), რავანელი
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: ლივერანი, ვერონი, ნეგრო
15 000 მაყურებელი

### რომა 1:0 ლეჩე

1:0 სამუელი (69)
რომა: ანტონიოლი, ძაგო, სამუელი, მანჯონე, ტომაზი, მარკოს ასუნსაო (გიგუ 56), ემერსონი, კანდელა, მონტელა (ბალბო 84), ბატისტუტა, დელვეკიო (რინალდი 74)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ლეჩე: კიმენტი, მალუსკი (ვაზარი 79), კოლონელო, სავინო, დაინელი (ჟუკინიჩი 84), ბალერი, ჯორჯეტი, ინგესონი, ტონეტო, კ. ლუკარელი, ვუგრინეცი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: ლუკარელი, დაინელი
58 275 მაყურებელი

### პარმა 3:0 ბრეშა

1:0 მბომა (54), 2:0 სერჟიუ კონსეისაუ (66), 3:0 ჟუნიორი (79)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტორისი, ბენარივო, ფუზერი (სერჟიუ კონსეისაუ 55), ბაია, ლამუში, ჟუნიორი, მიკუ, მბომა (ბოლანო 73), დი ვაიო (ამოროზო 59)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, დიანა, ა. ფილიპინი, ილანა (ბიზოლი 70), ბაჯო (ფ. გალი 81), კოზმინსკი (ტარე 63), პირლო, უბნერი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: პირლო
20 000 მაყურებელი

# საშინელი კვირის ბოლო

### რეჯინა 1:1 ფიორენტინა

0:1 კიეზა (11), 1:1 ძანჩეტა (44)
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, ვარგასი, სტოვინი, ვიკარი, ძანჩეტა (მარაზინა 66), ბრევი, მამედე, მორაბიტო (კანერია 82), კოცა (ბერნინი 90), დიონიჯი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ფიორენტინა: ტალიალატელა, ტორიჩელი, რეპკა, პიერინი, ვანოლი, მარკო როსი (მიატოვიჩი 76; ლეანდრო 86), ბრეშანი, როსიტო (ლასისი 46), დი ლივიო, კიეზა, ნუნო გომეში
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: როსიტო, სტოვინი, ტორიჩელი, ვარგასი
გაძევება: რეპკა (88)
23 642 მაყურებელი

### უდინეზე 2:1 ვერონა

1:0 ფიორე (40), 2:0 დიასი (54), 2:1 ოდო (78პ)
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო, ფიორე, ჯანიკედა, იორგენსენი (მინცა 87), დიასი, სოსა (გუტიერესი 75), მარჯოტა (გაარდე 92)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
ვერონა: ფერონი, კასეტი (ოდო 7), ლაურსენი, გონელა, ტიოდორანი (ლანძარო 28), კამორანეზი (ჯილარდინო 59), ჯ. კოლუჩი, ლ. კოლუჩი, სალვეტი, ბონაცოლი, მუტუ
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: სოსა, ოდო, ბონაცოლი
16 000 მაყურებელი

### ატალანტა 1:1 ვიჩენცა

1:0 ვენტოლა (40), 1:1 სომეზე (73)
ატალანტა: პელიცოლი, სივილია, პაგანინი, კარერა, ძაური, კ. ძენონი, დ. ძენონი, დონატი (დუნდიერსკი 79), პინარდი (ბელინი 46), მორფეო, ვენტოლა (განცი 85)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ვიჩენცა: სტერკელე, კარდონე, დალ კანტო, ტომასი, კომოტო, ფირმანი, დაბო, ზენეტი (სომეზე 59), ძაული (ბრეჩიჩი 92), ტონი, კალონი (მაურიციო როსი 79)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
გაფრთხილება: დალ კანტო, ტომასი, ძაული
17 000 მაყურებელი

„**მიხარია** გუნდისა და საკუთარი წარმატება. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელიც ჩემთვის უმძიმეს კვირაში მოვიპოვეთ. ახლა მეტს ვერაფერს ვიტყვი" — ალესანდრო დელ პიერომ ეს ემოციური სიტყვები „ბარისთან" გამარჯვების შემდეგ თქვა. იმ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა. ბრწყინვალე ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი — დელ პიერომ საჯარიმოში მარცხნივ, მცველი ჩამოიტოვა, გამოსულ მეკარეს ბურთი მახვილი კუთხიდან თავზე გადაუგდო და „ბებერ ქალბატონს" აუტსაიდერთან უმძიმეს შეხვედრაში სამი ქულა მოუტანა. მატჩის გმირი სათამაშოდ, ფაქტობრივად, პირდაპირ მამის დაკრძალვიდან მივიდა...

„დელ პიერო ბოლო ხანს ძველებურად ათამაშდა, მაგრამ ამას ყურადღებას მხოლოდ დღეს მიაქცევენ, რადგან კრიტიკოსთათვის მთავარი გოლია. ისინი ვერ ხედავენ დიდ წვლილს, ამ ფეხბურთელს გუნდის გამარჯვებებში რომ შეაქვს" — განაცხადა „იუვენტუსის" მცველმა ჩირო ფერარამ — „მართალია, დღეს შთამბეჭდავი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როდესაც მოწინააღმდეგეს მოედნის დიდ ფართობზე თავისუფლად მოქმედების საშუალება მივეცით, მაგრამ შემდეგ თავი ხელში ავიყვანეთ და აუცილებელი სამი ქულა მოვიპოვეთ".

ბედნიერი დღე იდგა ურუგვაელი დანიელ ფონსეკასთვისაც, რომელმაც იტალიის ჩემპიონატში ბოლოს ორი სეზონის წინ სწორედ ბარიში ითამაშა.

„მიხარია, რომ მოედანზე გადამწყვეტ წუთებში შევედი. მეორე გოლის გატანის შესაძლებლობაც მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ ბურთი კარში არ შევარდა. მიხარია ისიც, რომ მატჩის ერთ-ერთი გოლი სწორედ დელ პიერომ გაიტანა. მას ხომ ცხოვრებაში უმძიმესი წუთები უდგას" — თქვა ურუგვაელმა.

დელ პიეროს გოლი, რომელზეც ამდენ ხანს შევჩერდით, შეხვედრის 81-ე წუთზე გავიდა, ანუ მას მერე, რაც ლიდერმა „რომამ" „ლეჩეს" მათი შეხვედრის ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი შეუგდო. როგორც ჩანს, რომაული ამბავი ტურინელთათვის დამატებითი სტიმული გამოდგა, ხოლო, თავის მხრივ, ეს ორი გოლი გამოდგა წამახალისებელი მესამე ადგილზე მყოფი „ლაციოსთვის", რომელმაც პერუჯაში 88-ე წუთზე გადაწყვიტა მატჩის ბედი.

„რომასთვის" „ლეჩეს" დამარცხება იმას ნიშნავდა, რომ მდევართან, „იუვენტუსთან" 6-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ფაბიო კაპელოს გუნდმა ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო, ხოლო არგენტინელმა მცველმა ვალტერ სამუელმა სერია A-ში პირველი გოლი შეაგდო — ასისტენტობა ფრანგმა ვენსან კანდელამ გაუწია.

„ლაციოზე" კი იმას მოგახსენებთ, რომ სტუმრად ზედიზედ მეხუთე შეხვედრაში გაიმარჯვა. გოლი დიეგო სიმეონემ გაიტანა რაც სათავეში დინო ძოფი ჩაუდგათ, რომაელებს ჩემპიონატში არ წაუგიათ.

„ატალანტამ", რომელსაც მეოთხე ადგილიდან ძვრა ვერავინ უყო, სეზონში მეოთხე საშინაო ფრე ითამაშა. ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს დომენიკო მორფეოს პასით ნიკოლა ვენტოლამ გახსნა, მაგრამ შესვენებიდან 25 წუთის შემდეგ ვინჩენცო სომეზემ სეზონში თავისი მესამე გოლი შეაგდო, ანუ ვიჩენცელებს ქულა მოუტანა და ახლა მისი გუნდი, მართალია, ბოლოდან მეოთხე ანუ გასავარდნ ადგილზეა, მაგრამ „ბრეშასა" და „ნაპოლის" მსგავსად, 20 ქულა აქვს.

„მილანი" კი მეხუთე ადგილს დაემშვიდობა — მეშვიდეზეა. მას და „უდინეზეს" 28-28 ქულა აქვთ და ერთი ქულით ჩამორჩებიან „პარმას". ეს სამეული ზემოხსენებული „ატალანტას" ადგილზე ასვლას და, შესაბამისად, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას აპირებს.

„მილანისა" და „ბოლონიას" შეხვედრაში (3:3) აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა ანუ მილანელებმა ანგარიში მსაჯის წამატებულ წუთებში გაათანაბრეს. ეს მცველმა, ლუიჯი სალამ შეძლო — სალამ „მილანის" შემადგენლობაში პირველად გაიტანა — ხოლო პირველი და მეორე ანდრეი შევჩენკომ შეაგდო.

მეხუთეზეა „პარმა", რომელმაც სამი უპასუხო გოლით „ბრეშას" ხუთმატჩიანი დაუმარცხებელი სვლა შეაჩერა. ანგარიში აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელმა პატრიკ მბომამ გახსნა. მერე პორტუგალიელმა სერჟიო კონსეისაომ იმარჯვა, ხოლო მესამე საფეხბურთო ბრაზილიელმა მცველმა ჟუნიორმა გაიტანა. სამივე გოლი მეორე ტაიმისას გახლდათ.

როგორც მოგახსენეთ, „მილანის" ტოლად ქულები „უდინეზეს" დაუგროვდა. უდინელებმა შინ „ვერონას" სძლიეს. ანგარიში იტალიის ნაკრების მოთამაშემ, სტეფანო ფიორემ გახსნა — სეზონში მეხუთე გოლი — მეორე კი კრისტიან დიასმა გაიტანა — პირველი გოლი „უდინეზეს" შემადგენლობაში — იმავ ფიორეს პასით. ვერონელთა ერთადერთი გოლი მასიმო ოდომ შეაგდო შეხვედრის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე.

შეხვედრის დაწყებიდან 11 წუთის შემდეგ გაიტანა ფლორენციელმა ენრიკო კიეზამ — სეზონის მეათე — ოღონდ ეს „ფიორენტინას" გასამარჯვებლად არ ეყო, რადგან ტაიმთა გასაყარზე რეჯინელმა ნახევარმცველმა ანდრეა ძანჩეტამ საჯარიმოს გარედან სერია A-ში თავისი პირველი გოლი მიითვალა.

და „ინტერი"? ნეაპოლში მეორე ნახევრის მე-9 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მასპინძელმა, ბრაზილიელმა მატუზალემმა ბურთი ტყვიასავით გაისროლა და გოლი გაიტანა, რაც ისე საშინლად გაუხარდა, რომ მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა. „ნაპოლის" ამით გუნება არ წახდენია. 10 კაცით განაგრძო და გაიმარჯვა კიდეც. ესეც „ინტერი".

**ბაჩუნა ძიძია**

REUTERS ნახატ/ფოტო



ნაპოლი — ინტერი 1:0. ნეაპოლელ ფრანჩესკო ბალდინის კრისტიან ვიერის სახე არ მოეწონა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 19 | 14 | 3 | 2 | 36:14 | 22 | 45 | 9 | 7 | 2 | 0 | 15:4 | 11 | 23 | 10 | 7 | 1 | 2 | 21:10 | 11 | 22 |
| 2 იუვენტუსი | 19 | 11 | 6 | 2 | 33:15 | 18 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 18:7 | 11 | 20 | 10 | 5 | 4 | 1 | 15:8 | 7 | 19 |
| 3 ლაციო | 19 | 11 | 4 | 4 | 34:20 | 14 | 37 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:7 | 9 | 20 | 9 | 5 | 2 | 2 | 18:13 | 5 | 17 |
| 4 ატალანტა | 19 | 8 | 7 | 4 | 23:16 | 7 | 31 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 16 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 15 |
| 5 პარმა | 19 | 8 | 5 | 6 | 24:18 | 6 | 29 | 10 | 5 | 2 | 3 | 15:9 | 6 | 17 | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 0 | 12 |
| 6 უდინეზე | 19 | 9 | 1 | 9 | 33:31 | 2 | 28 | 10 | 6 | 0 | 4 | 23:16 | 7 | 18 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:15 | -5 | 10 |
| 7 მილანი | 19 | 7 | 7 | 5 | 30:29 | 1 | 28 | 10 | 5 | 4 | 1 | 22:15 | 7 | 19 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 9 |
| 8 ფიორენტინა | 19 | 6 | 8 | 5 | 31:26 | 5 | 26 | 9 | 5 | 1 | 3 | 19:14 | 5 | 16 | 10 | 1 | 7 | 2 | 12:12 | 0 | 10 |
| 9 პერუჯა | 19 | 7 | 5 | 7 | 25:23 | 2 | 26 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:10 | 4 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 11 |
| 10 ინტერი | 19 | 6 | 7 | 6 | 21:21 | 0 | 25 | 9 | 4 | 4 | 1 | 12:7 | 5 | 16 | 10 | 2 | 3 | 5 | 9:14 | -5 | 9 |
| 11 ბოლონია | 19 | 7 | 4 | 8 | 23:25 | -2 | 25 | 10 | 5 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 17 | 9 | 2 | 2 | 5 | 12:15 | -3 | 8 |
| 12 ლეჩე | 19 | 5 | 7 | 7 | 23:30 | -7 | 22 | 9 | 3 | 4 | 2 | 14:15 | -1 | 13 | 10 | 2 | 3 | 5 | 9:15 | -6 | 9 |
| 13 ბრეშა | 19 | 4 | 8 | 7 | 22:26 | -4 | 20 | 9 | 2 | 6 | 1 | 11:10 | 1 | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 11:16 | -5 | 8 |
| 14 ნაპოლი | 19 | 5 | 5 | 9 | 21:30 | -9 | 20 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:14 | 0 | 14 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | -9 | 6 |
| 15 ვიჩენცა | 19 | 5 | 5 | 9 | 20:30 | -10 | 20 | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | -1 | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 16 ვერონა | 19 | 4 | 6 | 9 | 22:33 | -11 | 18 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:14 | 0 | 15 | 10 | 0 | 3 | 7 | 8:19 | -11 | 3 |
| 17 რეჯინა | 19 | 4 | 3 | 12 | 14:32 | -18 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 6:11 | -5 | 11 | 10 | 1 | 1 | 8 | 8:21 | -13 | 4 |
| 18 ბარი | 19 | 3 | 3 | 13 | 16:32 | -16 | 12 | 10 | 3 | 1 | 6 | 10:15 | -5 | 10 | 9 | 0 | 2 | 7 | 6:17 | -11 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 15 |
| ბატისტუტა (რომა) | 14 |
| უბნერი (ბრეშა) | 13 |
| კრესპო (ლაციო) | 11 |
| ტოტი (რომა) | 10 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 10 |

### XX ტური

24 თებერვალი
ატალანტა — ბარი
ფიორენტინა — ბრეშა
25 თებერვალი
იუვენტუსი — მილანი
ბოლონია — ნაპოლი
პარმა — პერუჯა
ლეჩე — რეჯინა
ვიჩენცა — რომა
ინტერი — უდინეზე
ლაციო — ვერონა

## სერია B

### XXIII ტური

**ტორინო 1:0 ტრევიზო**
1:0 ფატორი (55)

**სიენა 0:0 პიაჩენცა**

**სამპდორია 3:1 ანკონა**
1:0 ფლაკი (26პ), 1:1 პარენტე (38პ), 2:1 ფლაკი (77პ), 3:1 ლეიზო (85)

**რავენა 1:1 ჯენოა**
1:0 სკაპოლო (24), 1:1 მანეტი (81)

**მონცა 1:0 პესკარა**
1:0 სგრო (80)

**კოზენცა 1:0 ვენეცია**
1:0 ჯანდებიაჯი (60)

**ჩიტადელა 2:1 პისტოიეზე**
0:1 ბაიანო (20), 1:1 ჩინეტო (58), 2:1 ბაიკუ (66)

**კიევო 3:1 კროტონე**
0:1 პალარინი (12), 1:1 კორინი (38პ), 2:1 კოსატო (61), 3:1 კორადი (90)

**კალიარი 1:1 სალერნიტანა**
1:0 ბუზო (27), 1:1 დე ფრანჩესკო (30)

**იმოლი — ტერნანა**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 23 | 14 | 5 | 4 | 35:19 | 47 |
| კოზენცა | 23 | 12 | 6 | 5 | 27:19 | 42 |
| პიაჩენცა | 23 | 12 | 5 | 6 | 29:16 | 41 |
| ტორინო | 23 | 12 | 4 | 7 | 28:23 | 40 |
| ვენეცია | 23 | 10 | 9 | 4 | 35:26 | 39 |
| სამპდორია | 23 | 9 | 10 | 4 | 33:22 | 37 |
| ტერნანა | 22 | 10 | 7 | 5 | 33:23 | 37 |
| კალიარი | 23 | 9 | 9 | 5 | 36:22 | 36 |
| კროტონე | 23 | 10 | 4 | 9 | 28:31 | 34 |
| ანკონა | 23 | 9 | 6 | 8 | 27:26 | 33 |
| ემპოლი | 22 | 10 | 3 | 9 | 27:28 | 33 |
| სიენა | 23 | 7 | 9 | 7 | 29:27 | 30 |
| ჩიტადელა | 23 | 7 | 9 | 7 | 29:34 | 30 |
| სალერნიტანა | 23 | 7 | 7 | 9 | 23:24 | 28 |
| პისტოიეზე | 23 | 6 | 5 | 12 | 27:32 | 23 |
| ტრევიზო | 23 | 5 | 8 | 10 | 21:30 | 23 |
| ჯენოა | 23 | 4 | 9 | 10 | 21:28 | 21 |
| რავენა | 23 | 2 | 10 | 11 | 17:33 | 16 |
| მონცა | 23 | 4 | 3 | 16 | 21:48 | 15 |
| პესკარა | 23 | 1 | 10 | 12 | 16:31 | 13 |

## სერია C1/A

23-ე ტური: ალესანდრია — ჩეზენა 1:1; ბრეშელო — პიზა 0:2; კარარეზე — ალბინოლეფე 1:1; ლეკო — კომო 1:0; ლივორნო — რეჯანა 5:0; ლუკეზე — ალძანო 2:1; მოდენა — სპეცია 4:1; ვარეზე — არეცო 2:3. სპალ — ლუმეძანე წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/B

23-ე ტური: აველინო - ტორესი 2:1; ბენევენტო - პალერმო 0:1; დი სანგრო - პეზარო 1:1; კატანია - ასკოლი 2:1; ფერმანა - ატლეტიკო 1:0; ფ. ანდრია - მესინა 0:1; ჯულიანოვა - ნოჩერინა 1:1; ლოდიჯანი - კალა 1:1; ვიტერბეზე - სავოია 0:5

იტალიის ჩემპიონატი
მეცხრამეტე ტურის მატჩი

## მილანი 3:3 ბოლონია

კახა კალაძე: 90 წუთი



კახა კალაძე თომას ლოკატელის მაგრად დაუდგა

# ნუ გააბრაზებთ სალას!

**უცნაური** მატჩი გამოდგა „მილანი" — „ბოლონია". თავიდან, 20 წუთის განმავლობაში, უპირატესობას „ბოლონია" ფლობდა, შემდეგ მილანელმა შევჩენკომ ორი გოლი გაიტანა და აბიატიმ პენალტი მოიგერია, ხოლო მეორე ნახევარში სტუმრებმა გამოიჩინეს დიდი ნებისყოფა და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ მასპინძლებს მსაჯის წამატებულ წუთებში აქეთ გაუხდათ გასათანაბრებელი. საბოლოოდ 3:3.

ცნობისთვის: „ბოლონიას" „სან სიროზე" 1964 წლის მერე არ მოუგია.

ქართველ ქომაგთა საყურადღებოდ: ალბერტო ძაკერონიმ კახა კალაძე ახალ ამპლუაში, ნახევარდაცვის ცენტრში ათამაშა. კალაძემ შემფასებელთაგან 6,5 ქულა დაიმსახურა. მასზე მეტი მიიღეს შევჩენკომ და აბიატიმ. მათ 7-7 ქულა ორი გოლის გატანისა და პენალტის მოგერიებისთვის ერგოთ, რაც სავსებით ბუნებრივია.

ძაკერონის ტაქტიკურ ვარიაციათაგან საგულისხმო გახლდათ აგრეთვე სამკაციანი შეტევის შუაში კომანდინის დასაქმება და ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე იბრაჰიმ ბას გამოყვანა, ისევე, როგორც ფლორენციაში სათასო შეხვედრის დროს.

რამ განაპირობა მწვრთნელის ექსპერიმენტები? უპირველეს ყოვლისა, ალბერტინის (მუხლის) ტრავმამ. გარდა ამისა, შეგახსენებთ, რომ მილანელებს დაშავებული ჰყავთ ამბროზინი, შამოტი, კოსტაკურტა და რედონდო.

მატჩს იტალიური გაზეთები ასე გამოეხმაურნენ: „გაძეტა დელო სპორტმა" გამოაქვეყნა სტატია სათაურით — ბევრი „ბოლონია" და ცოტა „მილანი", რომელშიც ძირითადად ბოლონიელი ჯაკომო ჩიპრიანი აქო (შევჩენკოს მსგავსად ორი გოლის ავტორი) და მეორე ტაიმის ჩაგდებისთვის ძაკერონი აკრიტიკა. გაზეთის აზრით, ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ მილანელებს და ძაკერონის, გულსა და გონებაში ჩემპიონთა ლიგის სამშაბათის შეხვედრა („პარი სენ ჟერმენის" წინააღმდეგ) უტრიალებდათ.

„ტუტოსპორტმა" სტატია ასე დაასათაურა — „სალამ ძაკერონი იხსნა". ამ წერილში ყურადღება პაოლო მალდინის მუხლის ტკივილზე გახლდათ გამახვილებული. მისი ავტორი კითხულობდა, რა ეშველება „მილანს" მალდინი სამშაბათამდე თუ ვერ გამოჯანმრთელდება.

საკუთრივ ძაკერონის მოსაზრება კი ასეთი იყო: „იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ორგოლიანი უპირატესობის ხელიდან გაშვების შემდეგ ჩვენ ორი ქულა ქარს გავატანეთ. სინამდვილეში ასე არ იყო, ქარი არაფერ შუაშია, გაიხსენეთ, როგორ ითამაშა მოწინააღმდეგემ და მიხვდებით, რომ შედეგი სამართლიანია. მათ შეძლეს ძალიან მაღალი ტემპის შენარჩუნება და დაგვსაჯეს იმის გამო, რომ ჩვენ რამდენიმე დღეში ჩასატარებელ შეხვედრაზეც ვფიქრობდით. სამწუხაროდ, იბრაჰიმ ბას აქტიურობით ბოძებული, მესამე გოლის გატანის შანსი ვერ გამოვიყენეთ, მათ კი სამჯერვე ისარგებლეს ჩვენი შეცდომით. აშკარაა, ყველაფერი იმან განაპირობა, რომ გასული კვირის შუაშიც ვითამაშეთ და დაცლილი ბატარეების დროულად გამოცვლაც ვერ შევძელით".

გადარჩენის გოლის ავტორმა, ლუიჯი სალამ განაცხადა: „ბურთი გაბრაზებულმა დავარტყი. გაბრაზებული ვიყავი, რადგან თავიდან ორგოლიანი უპირატესობა გვქონდა და ხელიდან გავუშვით. ასეთი რამ ჩვენი მხრიდან გულუბრყვილობა იყო და მეტი არაფერი. მართლაც ძალიან გაგვიჭირდა".

**ბაჩუნა ძიძია**

# მეცს ნიანგი ეცა

## საფრანგეთი

XXVII ტური

**ნანტი 1:0 სტრასბური**

1:0 ვაირუა (81)

**ბორდო 1:0 ოსერი**

1:0 პაულეტა (13)

**მარსელი 1:0 პარი სენ ჟერმენი**

1:0 ბაკაიოკო (74)

**ლანსი 1:2 რენი**

0:1 დელე (47), 1:1 საკო (49), 1:2 მახტარ ნდიაე (90)

**გენგამი 0:1 ლილი**

0:1 ბაკარი (38)

**სენტ ეტიენი 0:2 სედანი**

0:1 მუსა ნდიაე (63), 0:2 სელდრანი (74)

**მონაკო 2:1 ბასტია**

1:0 გალიარდო (30), 2:0 ნონდა (33), 2:1 ანდრე (72)

**ტრუა 3:2 მეცი**

1:0 ბუტალი (30), 1:1 მეირო (36), 2:1 ჯუკიჩი (45), 2:2 ჯაგერი (46), 3:2 ნიანგი (90)

**ტულუზი 1:1 ლიონი**

0:1 ანდერსონი (39), 1:1 ბონილია (84)

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ლიდერთა სამეული ამ ტურის შედეგადაც არ შეცვლილა, რადგან სამივემ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა. „ლილმა" შაბათს გაიხარა გინგამში, სადაც სამი ქულა დაგი ბაკარის გოლის წყალობით მოიპოვა. კვირას „ნანტმა" მაჩანჩალა „სტრასბურს" აჯობა მარამა ვაირუას ერთადერთი გოლით და ლიდერს დაეწია. ორივე გუნდმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვა, ოღონდ ლილელებს ბურთების ოდნავ უკეთესი შეფარდება აქვთ, რაც მათი ბრწყინვალე დაცვის დამსახურებაა. ამიტომაც პირველი ხაზი გათამაშების ცხრილში სწორედ „ლილს" უკავია.

„მგონი, უკვე თამამად შეიძლება განვაცხადო, რომ „ლილი" ჩემპიონატის ბოლომდე იბრძოლებს და არა მხოლოდ ევროსაგზურისთვის, არამედ ოქროს მედლებისთვისაც" — განაცხადა ჩრდილოელთა ბოსნიელმა მთავარმა მწვრთნელმა ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა, როცა მისმა გუნდმა ძირითადის ოთხი მოთამაშის (ფერნანდო დამიკო, პასკალ სიგენი, ჯონი ეკერი დისკვალიფიცირებულნი იყვნენ, კაპიტანი ჯეზონ ბუტუალი კი — ტრავმირებული) არყოფნის მიუხედავად შეძლო სტუმრად გამარჯვების მოპოვება.

მესამე ადგილზე „ბორდოა", რომელიც „სედანს" ასევე მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებს. ჟირონდელებმა გუშინწინ საკუთარ მოედანზე „ოსერი" ტრადიციულად 1:0 დაამარცხეს. ტრადიციულადო, იმიტომ ვთქვით, რომ ბურგუნდიელები „პარკ ლესკიურზე" უკვე მესამე წელია, ამ ანგარიშით აგებენ ჩემპიონატის მატჩებს.

მეოთხე „სედანია", რომელმაც მუსა ნდიეისა და ფილიპ სელდრანის გოლებით აჯობა „სენტ ეტიენს". „მწვანეები" ყალბი პასპორტების საქმის გამო საკმაოდ დაისაჯნენ და ჩამორთმეულ ექვს ქულას ახლა რამდენიმე წაგებაც რომ დაამატეს, გასავარდნთა ზონაში დამკვიდრდნენ. „არ ველოდით, თუ ასე ცუდად ჩავატარებდით მატჩს. მეკარე ჟანოს გარდა, ყველა ფეხბურთელი ძალიან სუსტად გამოიყურებოდა — ფიზიკურადაც, ტაქტიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც" — გააკრიტიკა თავისიანები „სენტ ეტიენის" თანამწვრთნელმა რუდი გარსიამ, რომელიც გუნდს მოთამაშე მწვრთნელ ჟან-გი ვალემთან ერთად ხელმძღვანელობს.

სამქულაშემატებულმა („სენტ ეტიენის" საზარალოდ) „ტულუზმა" ერთერთ ლიდერ „ლიონს" არაფერი დაუთმო და მოპოვებული ქულით „მეცს" ქულებითაც გაუსწრო. მატჩი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა ერთგვარი დუელი იყო. სამხრეთამერიკელმა თავდამსხმელებმა ორივე გუნდში ივარგეს. ანგარიში ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში კოლუმბიელმა ვიქტორ ბონილიამ საპასუხო შეაგდო და ბომბარდირთა დავაში ისევ დაჯაბნა მეტოქე.

10 ტურის წინ გათამაშების ცხრილში „ტულუზის" ახლანდელი ადგილი „რენს" ეკავა. თუმცა ბრეტონელები ჩემპიონატის მეორე ნახევარში სრულიად გარდაიქმნენ და თამაშს თამაშზე იგებენ. პოლ ლე გუენის შეგირდებმა ამჯერადაც იმარჯვეს და ლანსში 2:1 დაამარცხეს მასპინძლები. ახლა ისინი მეექვსენი არიან და ევროსაგზურის კანდიდატთა სიაშიც ჩაეწერნენ. ეს „რენისთვის" მეექვსე გამარჯვება იყო მეცამეტე გასვლით მატჩში და თუ პარასკევს გამოტოვებულ შეხვედრაშიც, რომელიც ტრუაში გაიმართება, შეძლეს წარმატების მიღწევა, ლიდერებს ძალიან მიუახლოვდებიან. როლან კურბისის გადადგომამ კი „ლანსს" დიდად ვერ არგო. „სისხლისა და ოქროს ფერებს", საქართველოს ნაკრების მსგავსად, ახლა ორი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ. თუმცა დიდიე სენაკისა და ჟორჟ ტურნეის გარჯის მიუხედავად, „ლანსმა" ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია.

ძალიან არ გაუმართლა „მეცს" „ტრუასთან" დაძაბულ მატჩში, რომელშიც მსაჯმა 9-ჯერ ამოიღო ყვითელი ბარათი. სტუმრები კრისტოფ ბასტიენის გაძევების შემდეგ ათნი ებრძოდნენ მასპინძლებს, მაგრამ ცხვირი მაინც არ ჩამოუშვიათ. მეტიც, წინ გასვლაც შეეძლოთ, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენეს. ბოლო წუთზე კი ნიანგის გოლმა ქულაც დააკარგვინათ. „ვერ ვიჯერებ, რომ წავაგეთ. ეს უსამართლობა იყო" — თქვა ლოტარინგიელთა ფეხბურთელმა ჟერალდ ბატიკლმა.

ბოლოს კი ტურის ცენტრალურ მატჩზეც ვთქვათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში „მარსელი" და „პარი სენ ჟერმენი" უსახურად გამოიყურებიან, მათი დაპირისპირება მაინც ყოველთვის დაძაბულია. საშინლად [illegible] მასპინძლებმა დედაქალაქელთა მლევით კვლავ მოიგეს თავიანთი ქომაგების გული. ამ ორი გუნდის პაექრობა ხომ ისეთივეა საფრანგეთში, როგორც „რეალისა" და „ბარსელონასი" — ესპანეთში. მატჩი სანახაობრივად [illegible] ვერ გამოდგა. [illegible] ტირებულ პსჟ-სა და ზედმეტად ფრთხილ „მარსელს" ნამდვილად არ დაუსახავთ მიზნად, მაყურებელი ესიამოვნებინათ. პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მხოლოდ მე-19 წუთზე შეიქმნა — ჟორჟ ვეას დარტყმის მოგერიება პარიზელთა მეკარე ლიონელ ლეტიზის არ გასჭირვებია.

ტაიმის ყველაზე რეალური საგოლე მომენტი სტუმართა კართან შექმნა... მათმავე მცველმა ერიკ რაბესანდრატანამ. 34-ე წუთზე სტანკოვიჩის ჩაწოდების შემდეგ „რაბემ" ლამის საკუთარ კარში შეაგდო ბურთი, მაგრამ ავტოგოლს ბეწვზე გადაურჩა. პირველი ნახევრის მიწურულს დეუს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი თავური გრეგორინის იოლი ლუკმა გამოდგა.

შესვენების შემდეგ უფრო პსჟ აქტიურობდა, მაგრამ გოლი სწორედ მის კარში გავიდა. ოთხიოდ წუთით ადრე თამაშში ჩართულმა იბრაჰიმ ბაკაიოკომ დისტენი იოლად მოატყუა და ლეტიზის ჯობნაც აღარ გასჭირვებია. „პარი სენ ჟერმენმაც" მორიგი მარცხი იწვნია „ველოდრომზე", სადაც 1988 წლის შემდეგ აღარ გაუმარჯვია.

**გაგი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 27 | 13 | 8 | 6 | 32:19 | 47 |
| ნანტი | 27 | 14 | 5 | 8 | 43:33 | 47 |
| ბორდო | 27 | 12 | 10 | 5 | 37:23 | 46 |
| სედანი | 27 | 13 | 7 | 7 | 36:25 | 46 |
| ლიონი | 27 | 10 | 13 | 4 | 37:24 | 43 |
| რენი | 26 | 11 | 6 | 9 | 32:25 | 39 |
| ბასტია | 27 | 11 | 5 | 11 | 33:30 | 38 |
| გენგამი | 27 | 10 | 8 | 9 | 32:32 | 38 |
| ტრუა | 26 | 10 | 8 | 8 | 34:36 | 38 |
| ოსერი | 27 | 10 | 7 | 10 | 29:31 | 37 |
| მონაკო | 27 | 10 | 5 | 12 | 41:38 | 35 |
| პარი სენ ჟერმენი | 27 | 9 | 6 | 12 | 33:37 | 33 |
| ლანსი | 27 | 8 | 8 | 11 | 28:29 | 32 |
| მარსელი | 27 | 9 | 5 | 13 | 26:33 | 32 |
| სენტ ეტიენი | 27 | 8 | 7 | 12 | 35:43 | 31 |
| მეცი | 26 | 6 | 9 | 11 | 24:38 | 27 |
| ტულუზი | 27 | 5 | 10 | 12 | 26:36 | 25 |
| სტრასბური | 26 | 5 | 7 | 14 | 24:50 | 22 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიქტორ ბონილია (ტულუზი) | 14 |
| პედრო პაულეტა (ბორდო) | 14 |
| სონი ანდერსონი (ლიონი) | 13 |
| ფრედერიკ ნე (ბასტია) | 12 |
| ლორან რობერი (პსჟ) | 12 |
| ბრუნო როდრიგესი (გენგამი) | 12 |

### მეორე დივიზიონი

29-ე ტური: ბოვე — ნიმი 1:0; კრეტეი — ნიორი 1:1; გენიონი — მარტიგი 0:1; ლავალი — აიაჩო 0:0; ლორიანი — ლე მანი 3:1; მონპელიე — კანი 2:0; ნანსი — შატორუ 0:0; ვასკეალი — ანჟერი 3:1; ნიცა — კაენი 2:0; ლე ავრი — სოშო 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 29 | 17 | 9 | 3 | 51:19 | 60 |
| მონპელიე | 29 | 14 | 12 | 3 | 38:19 | 54 |
| ლორიანი | 29 | 14 | 10 | 5 | 41:26 | 52 |
| ნიორი | 29 | 12 | 11 | 6 | 44:30 | 47 |
| ნანსი | 28 | 13 | 7 | 8 | 39:21 | 46 |
| ლავალი | 29 | 13 | 7 | 9 | 32:28 | 46 |
| ნიმი | 29 | 10 | 9 | 10 | 39:40 | 39 |
| შატორუ | 27 | 9 | 11 | 7 | 32:26 | 38 |
| ლე ავრი | 28 | 8 | 13 | 7 | 35:33 | 37 |
| ბოვე | 28 | 8 | 11 | 9 | 29:30 | 35 |
| ლე მანი | 29 | 7 | 13 | 9 | 29:34 | 34 |
| აიაჩო | 29 | 9 | 7 | 13 | 22:30 | 34 |
| კრეტეი | 29 | 8 | 9 | 12 | 28:32 | 33 |
| ვასკეალი | 29 | 8 | 9 | 12 | 28:32 | 33 |
| გენიონი | 28 | 8 | 9 | 11 | 27:36 | 33 |
| ნიცა | 29 | 10 | 3 | 16 | 29:42 | 33 |
| კაენი | 29 | 8 | 8 | 13 | 27:43 | 32 |
| მარტიგი | 29 | 6 | 13 | 10 | 24:35 | 31 |
| კანი | 29 | 6 | 10 | 13 | 34:48 | 28 |
| ანჟერი | 29 | 4 | 9 | 16 | 26:50 | 21 |

### თასის მერვედფინალის წილისყრა

ვანი (IV) — ოსერი; ამიენი (III) — ლე მანი (II); ფონტენეი (IV) — ლიონი; კარკასონი (მოყვ.) — ნანტი; ვალანსი (III) — სტრასბური; ტრუა — ვასკეალი (II); შატორუ (II) — გრენობლი (III); სტად რეიმსი (III) — ბასტია

მატჩები გაიმართება 10-11 მარტს



REUTERS ბოლორდოგრამ

ბორდო — ოსერი 1:0. ბორდოელ ლორან ბატლეს ფილიპ მეშემ ბურთი დაატოვებინა

## ინგლისი

### ასოციაციის თასი

მერვედფინალი

**არსენალი 3:1 ჩელსი**

1:0 ანრი (52პ), 1:1 ჰასელბაინკი (62), 2:1, 3:1 ვილტორდი (74, 85)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ლუჟნი, სტეპანოვსი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, პირესი (ვილტორდი 69), ლორენი, ანრი, ბერგკამპი (ვივასი 81)
ჩელსი: კუდიჩინი, ფერერი (სტანიჩი 83), დესაი, ტერი, ბაბაიარო, იოკანოვიჩი, დალა ბონა (გუდიონსენი 46), უაიზი, პოიეტი, ჰასელბაინკი, ძოლა (გრონკიაერი 46)
გაფრთხილება: დიქსონი, ანრი, სტეპანოვსი, უაიზი, ჰასელბაინკი, იოკანოვიჩი
38 096 მაყურებელი

**ლივერპული 4:2 მანჩესტერ სიტი**

1:0 ლიტმანენი (7პ), 2:0 ჰესკი (13), 2:1 კანჩელსკისი (29), 3:1 შმიცერი (54პ), 4:1 ბაბელი (85), 4:2 გოტერი (90)
ლივერპული: ვესტერველდი, ეჩიოსი, ჰიიპია, კარაგერი, ბისკანი, ბაბელი, ციგე, ჰამანი, შმიცერი (ოუენი 76), ლიტმანენი (ბარმბი 46), ჰესკი (ფაულერი 85)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ვიკენსი, მორისონი (გრანტი 60), პრიორი, დანი, ტიატო, გრენვილი, კანჩელსკისი, ჰაალანდი, ჰაკერბი, გოტერი
გაფრთხილება: ჰაალანდი
36 231 მაყურებელი

**ბოლტონი (I) 1:1 ბლეკბერნი (I)**

0:1 დანი (40), 1:1 რიკეტსი (62)
ბოლტონი: სომერი, ჰენდრი, ჩარლტონი, ოკენი, ბერგსონი, სამერბი (უიტკროფტი 82), გარდნერი, ფარელი (ფრანდსენი 76), ჰასი, ნოლანი, რიკეტსი (ჰანსენი 67)
ბლეკბერნი: ფრიდელი, კერტისი, შორტი, ბერგი, ტეილორი, ბერკოვიჩი (დაფი 30), ფლიტკროფტი, დანი, მაჰონი, ბენტი (ჰიუზი 66), იანსენი (ჰინეტი 66)
გაფრთხილება: ოკენი, ფლიტკროფტი, შორტი
გაძევება: ფლიტკროფტი (10)
22 048 მაყურებელი

**ლესტერი 3:0 ბრისტოლ სიტი (I)**

1:0 სტარიჯი (10), 2:0 პილი (15ს.კ.), 3:0 იზეტი (83პ)
ლესტერი: როისი, ფ. სინკლერი, გაპი, როუეტი, დავიდსონი, მ. ელიოტი (ოუქსი 84), მ. ჯოუნსი, სევიჯი, იზეტი, აკინბი (ბენჯამინი 85), სტარიჯი (გუნლაუგსონი 85)
ბრისტოლ სიტი: ფილიპსი, მიურეი, ბელი, კერი, პილი, მილენი, კლისტი, ტინიონი, ბრაუნი, პიკოკი, ტორპი
გაფრთხილება: ელიოტი, ტინიონი, მილენი
20 905 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:0 ტრანმერი (I)**

საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბრიჯი, ოკლი (ელ ხალეჯი 65), დრეიპერი, ტესემი, კაჩლული (როსლერი 78), პახარსი, ბიტი
ტრანმერი: ეხტერბერგი, იეტსი, ჰინდსი, ჯონსონი, ალენი, ჰილი (ჩელინორი 12), ფლინი, კუმასი, ჰამილტონი (ჰენრი 89), პარკინსონი (ბარლოუ 83), რიდო
გაფრთხილება: ბარლოუ
15 232 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 კანო (76)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, დ. უილიამსი, ვარგა (მაკკარტნი 22; დიჩიო 83), ტომე, მაკკენი, შ. შვარცი, არკა, ოსტერი, ნ. ქუინი, ფილიპსი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, უინტერბერნი, დეილი, შემელი, შტიმაცი, კარიკი, ჯ. კოული, ლამპარდი, დი კანიო, კანო
გაფრთხილება: უილიამსი, ტომე, არკა, შემელი
36 005 მაყურებელი

**ტოტენჰემი 4:0 სტოკპორტი (I)**

1:0 კინგი (5), 2:0 დევისი (30), 3:0 ფლინი (44ს.კ.), 4:0 დევისი (50)
ტოტენჰემი: სალივანი, იანგი, დოჰერტი, ს. კემპბელი, ფრიონდი, შერვუდი, ლეონარდსენი (დევისი 16), კლემენსი, კინგი, ლ. ფერდინანდი (მელველი 67), რებროვი (კორსტენი 88)
სტოკპორტი: ჯონსი, გრეისონი, ნიკოლსონი, ფლინი, კლარკი (ფრედინი 55), კუპერი (კერიგანი 82), დიბი (კონელი 61), ვისი, კლერი, კუკი, უილბრემი
გაფრთხილება: დოჰერტი, ფლინი, კლერი
36 040 მაყურებელი

**უიკომბი (II) 2:2 უიმბლდონი (I)**

0:1 უილიამსი (32), 0:2 ეგიმენგი (44), 1:2 სიმპსონი (72), 2:2 ბრაუნი (80)
უიკომბი: ტეილორი, როჯერსი, ვინიკომბი, კუსიმსი, მაკკარტი, კეროლი (ბაირდი 55), სიმპსონი, ლი (ბერკინი 54), რამელი (ბულმანი 55), ბრაუნი, რაიანი
უიმბლდონი: დევისი, კანინგემი, ჰოლოვეი, უილიამსი, ჰოკინსი, ეინსვორთი, ერდლი, ანდერსენი, კარლსონი, იუელი, ეგიმენგი (გეილი 67)
გაფრთხილება: ბრაუნი, მაკკარტი, ანდერსენი, ჰოლოვეი, კანინგემი, იუელი
9 650 მაყურებელი




არსენალი — ჩელსი 3:1. წამიც და სილვენ ვილტორდი „ჩელსის" მეორედ გაუტანს

# ხუთი სამს ელის

**ამ** უქმეებზე ინგლისის ასოციაციის თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართა და რვიდან ხუთი მეოთხედფინალისტიც გაირკვა.

წლევანდელ შეჯიბრში ნამდვილ გმირად ჩანს „ვესტ ჰემი", რომელსაც, ისევე როგორც მეთექვსმეტედფინალში, შაბათსაც გასვლითი დღე ჰქონდა და კვლავ გაიმარჯვა. წინა რაუნდში „ვესტ ჰემმა" „ოლდ ტრეფორდზე" დაატოვებინა სათასო ოცნება „მანჩესტერ იუნაიტედს", ახლა კი სანდერლენდშივე სძლია იქაურებს, ასევე შეხვედრის ერთადერთი გოლით. ეს გოლი ფრედერიკ კანომ გაიტანა 76-ე წუთზე. მანამდე კანომ რამდენიმე საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან, მაგრამ ამ გადამწყვეტ წუთს არაფერი შეშლია — ფრენკ ლამპარდის კარგი პასი მიიღო და წინ გამოვარდნილ მასპინძელთა მეკარე ტომას სორენსენს აჯობა.

ერთგვარი ალლურით გაიარა მეოთხედფინალი სხვა ლონდონურმა კლუბმა — „ტოტენჰემ ჰოთსპურმა", რომელმაც შინ პირველ 45 წუთში სამი გოლი გაუტანა პირველი დივიზიონის „სტოკპორტს", საბოლოოდ კი 4:0 მოიგო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სტოკპორტ ქაუნთი" ბოლო 51 წელიწადში პირველად იყო თასის მერვედფინალში და სახელისთვის ესეც ეყო.

ლესტერის „ფილბერტსტრიტზე" იქაურებმა შეხვედრის პირველ ხუთ წუთში ორი გოლი გაუტანეს „ბრისტოლ სიტის". ეს „ბრისტოლი" ის გუნდია, მეთექვსმეტედფინალში რომ გადათამაშება დასჭირდა ხამოყვარულო „კინგსტონიანთან". ბრისტოლელები ამ ორმა გოლმა ვერ წააქცია, მაგრამ საპასუხო (ერთი მაინც) ეგრეც ვერ გაიტანეს. შეხვედრას კი წერტილი მაზი იზეტის ზუსტმა პენალტმა დაუსვა — თვრამეტი წელიწადი დასჭირდა „ლესტერს" თასის მეოთხედფინალში გასასვლელად.

შაბათი ფრეთა საღამო იყო. პირველდივიზიონური დაპირისპირება „ბოლტონსა" და „ბლექბერნს" შორის 1:1 დასრულდა. ამ ლანკაშირულ კლუბებს დიდი სათასო ჭიდილი აქვთ — ათ-ათჯერ მოუგიათ ერთმანეთისთვის. ამჯერადაც ჯიგრიანი თამაში გამოვიდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ „ბლექბერნს" უკვე მეცხრე წუთზე გარი ფლიტკროფტი გაუძევეს და ათკაცა გუნდმა მაინც მოახერხა — პირველი ტაიმის ბოლოს გახსნა ანგარიში. მასპინძლებმა მეორე ტაიმის შუაში გაათანაბრეს — მაიკლ რიკეტსმა სეზონის მეთვრამეტე გოლი ჩაიწერა. ახლა გუნდები გადათამაშებაში უნდა შეეტაკონ ერთმანეთს, კვირის ბოლოს კი პირველდივიზიონურ შეხვედრაში, სადაც „ბოლტონი" მეორე ადგილზეა, „ბლექბერნი" კი მესამეზე.

პირველი დივიზიონის ცხრილის ბოლო საფეხურზეა „ტრანმერ როვერსი", მაგრამ როცა საქმე თასს ეხება, უეცრად გამოიღვიძებს ხოლმე. მეთექვსმეტედფინალიდან „ტრანმერმა" „ევერტონი" გააგდო, ახლა კი საუთჰემპტონში მოაწყო უგოლო მატჩი და გადათამაშებას ელის.

კიდევ ერთი პირველდივიზიონური მერვედფინალი გარდაისახა კლასიკურ სათასო ფრედ. მეოთხედი საუკუნის წინ სამოყვარულო „უიკომბ როვერსმა" და „უიმბლდონმა" 2:2 ითამაშეს. თანაც „უიკომბმა" 0:2-დან შემოატრიალა მატჩი. აქვე ითქვას და „უიკომბის" მწვრთნელი გახლავთ ლორი სანჩესი, სწორედ ის კაცი, ვისმა გოლმაც „უიმბლდონს" ასოციაციის თასი მოაპოვებინა 1988 წლის ფინალში.

ყველაზე ხმაურიანი შეხვედრები კი კვირას იყო, „ლივერპულმა" „მანჩესტერ სიტის" დაატოვებინა გათამაშება, „არსენალმა" კი „ჩელსის". ეს მართლაც გამორჩეული და გიჟმაჟი მატჩები გამოვიდა. „ლივერპულის" მიერ გატანილი ოთხი გოლიდან, ორი პენალტის ნიშნულიდან იყო. ორივე სიტელთა მეკარე ნიკი ვივერმა მოახდინა და ორივე ვლადიმერ შმიცერის წაქცევის გამო. ამ შეხვედრაში ექვსი გოლი გავიდა. „ლივერპულს" თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვია.

სხვა ამბავი იყო „ჰაიბერიზე", სადაც მეორე ტაიმში გავიდა შეხვედრის ოთხივე გოლი, რომელთაგან სამი მეთოფეთა ანგარიშზე დაჯდა, აქედან ორი გადამწყვეტი — სილვენ ვილტორდისა გამოდგა. საერთოდ, თამაში საინტერესო იყო, მაგრამ აქა-იქ ჩხუბიც ატყდებოდა, მარტო პირველ ტაიმში ექვსი ყვითელი ბარათი აფრიალდა. ჩელსელი სელესტინ ბაბაიარო მეთოფე ფრედი ლიუნგბერგსა და დენის ბერხკამპს ეკრივა, რობერ პირესი და წაგებულთა კაპიტანი დენის უაიზი კი ძლივს გააშველეს. მსაჯ გრემ მარბერს ბარათები არ დანანებია, „ჩელსის" მენეჯერმა კლაუდიო რანიერიმ კი თქვა: „გაუფრთხილებლები მხოლოდ მეკარეები დარჩნენ".

მატჩის გმირი ვილტორდი კი გახარებულიც იყო და ოდნავ სევდიანიც: „დღეს კი ვითამაშე, მაგრამ მინდოდა წინა სამშაბათს ლიონში მებურთავა ჩემპიონთა ლიგის მატჩში. სტადიონზე დედა და ჩემი ძმა იყვნენ, მწვრთნელმა კი ეგრეც არ გამიყვანა ძირითადში. გული გამიტყდა, მაგრამ დღეს შანსი ხელიდან არ გავუშვი".

**ირაკლი გამყრელიძე**

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

## მეოთხედფინალის წილისყრა

ტრანმერი (I) ან საუთჰემპტონი — ლივერპული; ლესტერი — უიმბლდონი (I) ან უიკომბი (II); ვესტ ჰემი — ტოტენჰემი; არსენალი — ბლექბერნი (I) ან ბოლტონი (I)

მატჩები გაიმართება 10-11 მარტს

## პირველი დივიზიონი

### XXXII ტური

**ბირმინგემი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ადებოლა (36), 1:1 ბატლერი (38), 2:1 ოკონორი (67)

**ძრიუ 2:0 უოტფორდი**

1:0 ჯეკი (15), 2:0 ეშტონი (24)

**კრისტალ პალასი 1:1 ნორვიჩი**

1:0 ფორსელი (34), 1:1 ჰარისონი (55ს.კ.)

**ფულემი 1:0 ნოტინგემი**

1:0 საჰა (20)

**გრიმსბი 1:0 ბარნლი**

1:0 ენუა (55)

**ჰადერსფილდი 2:3 ჯილინგემი**

1:0 არმსტრონგი (16), 1:1, 1:2 სონდერსი (19, 25), 2:2 სმიტი (45პ), 2:3 კინგი (64)

**ქუინზ პარკი 2:0 ბარნსლი**

1:0 კივომია (45), 2:0 კრუჩი (62)

**ვულვერჰემპტონი — უიმბლდონი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 32 | 23 | 6 | 3 | 69:22 | 75 |
| ბოლტონი | 32 | 19 | 8 | 5 | 54:27 | 65 |
| ბლექბერნი | 30 | 16 | 8 | 6 | 46:30 | 56 |
| ბირმინგემი | 30 | 17 | 5 | 8 | 43:32 | 56 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 16 | 7 | 9 | 43:37 | 55 |
| უოტფორდი | 31 | 16 | 5 | 10 | 54:44 | 53 |
| ნოტინგემი | 31 | 15 | 5 | 11 | 40:35 | 50 |
| პრესტონი | 31 | 15 | 5 | 11 | 42:39 | 50 |
| შეფილდ იუნ. | 31 | 13 | 8 | 10 | 35:31 | 47 |
| ბარნლი | 30 | 12 | 6 | 12 | 31:37 | 42 |
| უიმბლდონი | 29 | 11 | 8 | 10 | 46:34 | 41 |
| ჯილინგემი | 31 | 9 | 12 | 10 | 42:42 | 39 |
| ვულვზი | 30 | 9 | 10 | 11 | 32:33 | 37 |
| კრისტალ პალასი | 31 | 9 | 10 | 12 | 46:48 | 37 |
| ნორვიჩი | 32 | 9 | 10 | 13 | 29:39 | 37 |
| პორტსმუთი | 32 | 7 | 14 | 11 | 33:39 | 35 |
| გრიმსბი | 30 | 9 | 6 | 15 | 28:41 | 33 |
| ქრიუ | 30 | 9 | 5 | 16 | 29:40 | 32 |
| ბარნსლი | 32 | 8 | 8 | 16 | 30:43 | 32 |
| სტოკპორტი | 32 | 6 | 13 | 13 | 40:51 | 31 |
| ქუინზ პარკი | 31 | 5 | 14 | 12 | 32:48 | 29 |
| უენსლი | 32 | 8 | 5 | 19 | 34:58 | 29 |
| ჰადერსფილდი | 30 | 6 | 10 | 14 | 32:40 | 28 |
| ტრანმერი | 30 | 7 | 6 | 17 | 29:49 | 27 |

## მეორე დივიზიონი

32-ე ტური: სტოკი — პორტვეილი 1:1; ბორნმუთი — უოლსოლი 2:2; ბერი — ოქსფორდი 3:1; კემბრიჯი — სუინდონი 0:1; ლუთონი — სუონსი 5:3; ნოთსი — ნორთჰემპტონი 2:0; რედინგი — პიტერბრო 1:1; უიგანი — როვერსი 0:0; რექსჰემი — კოლჩესტერი 1:0; მილუოლი — ბრენტფორდი 1:0

## მესამე დივიზიონი

32-ე ტური: ბარნეტი — დარლინგტონი 3:0; ბლექპული — ლინკოლნი 2:0; კარდიფი — სკანთორპი 3:0; კარლაილი — პლიმუთი 1:1; ჩელტენემი — ბრაიტონი 3:1; ლეიტონი — კიდერმინსტერი 0:0; მაკლსფილდი — ჰარტლპული 0:1; მენსფილდი — ჩესტერფილდი 0:1; შრიუსბერი — ჰალი 0:2; საუთენდი — ჰალიფაქსი 0:3; ტორკი — როჩდეილი 1:0; იორკი — ექსეტერი 0:3

# ზარმა გადაიხადა, ძმაო!

**...თვიქნემში,** ინგლისისა და იტალიის მორაგბეთა ნაკრებების მატჩს ერთი ხანობა სტუმრები 20:17-ს იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ფავორიტმა მასპინძლებმა „ექვსი ერის" ისტორიაში უდიდესი სხვაობით იჰარჯვეს.

...პროვინციულ დინუოლში, იქაური „როს ქაუნთი" შოტლანდიის თასის მერვედფინალში გლაზგოს „რეინჯერსს" ხვდებოდა. 62-ე წუთზე ანგარიში 2:2 იყო, აქ კი სტუმართა კაპიტანმა ბარი ფერგიუსონმა გაიტანა და ფავორიტმა მინიმალურად გაიმარჯვა.

...რომში, იტალიური სერია A-ს ლიდერი „რომა" ცხრილის ქვედა ნაწილში მოკალათებულ „ლეჩეს" მასპინძლობდა. დამთავრებამდე 21 წუთით ადრე ანგარიში გახსნილი არ იყო, მაგრამ აქ მასპინძელთა არგენტინელმა მცველმა ვალტერ სამუელმა შეაგდო და ფავორიტს კინკილა გოლით მოაგებინა.

რა საერთო აქვს ამ სამ მატჩს? ის, რომ მავანმა აზარტულმა ინგლისელმა შაბათს ამ სამივე თამაშზე (ცალ-ცალკე) ფავორიტთა მოგებაზე ფსონი დადო და გაუმართლა. დიდი ამბავიო, გაგიკვირდებათ.

გაუკვირდათ „უილიამ ჰილის" საბუქმეიკერო კანტორაშიც, როცა შაბათს, თვიქნემის მატჩის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე, მათ ანგარიშზე აქამდე არნახული სარაგბო ფსონი — 90 ათასი გირვანქა დაჯდა, ინგლისი მოიგებსო. ასეც მოხდა და მოთამაშემ... 600 გირვანქა მოიგო — მასპინძელთა გამარჯვებაზე კოეფიციენტი ხომ მხოლოდ 150-1-ზე (ანუ უფრო გასაგებად 1,006) იყო.

ღირდა კი ამხელა ფულის გარისკვა 600 გირვანქის მოსაგებად? კაცია და გუნება. არც ის დაგვავიწყდეს, რომ რაგბი ფეხბურთი არაა და ამ სპორტში სენსაციები იშვიათად ხდება. თან: „რას ერჩით — ოთხ საათში 600 გირვანქას არც საბანკო პროცენტი მოგიტანდათ და არც სხვა რამ ინვესტიცია" — ამართლებს კლიენტს „უილიამ ჰილის" წარმომადგენელი.

უცნობმა კლიენტმა, როგორც ზემოთ ვთქვით, იმ დღეს ხეირი ფეხბურთშიც ნახა: „რეინჯერსზე" დადებულმა 35 ათასმა (კოეფიციენტი 7-1-ზე) დამატებით 5 ათასი გირვანქა შესძინა, სამუელის გოლმა კი 17 241 გირვანქა (კოეფიციენტი 7-2-ზე) პატრონს მოგებულ 4 926 გირვანქასთან ერთად დაუბრუნა.

„ის ნამდვილად სრულწლოვანია, ლონდონში ცხოვრობს და აშკარა ფავორიტებზე თამაში უყვარს" — მხოლოდ ეს გაამხილეს „უილიამ ჰილში".

აწყობილი აქვს ცხოვრება და ლარში თოთხმეტი თამაშის გადაბმა არ უწევს — ვასკვნით ჩვენ.

**გიგა ძოგახიძე**

## თურქეთი

21-ე ტური: ქოჯაელი — ტრაბზონი 3:2; რიზე — იოზგათი 1:0; გენჩლერბირლიგი — ანკარაგიუჯიუ 3:4; ბურსა — ერზერუმი 6:0; ბეშიქთაში — ადანა 2:1; იეთფა — ფენერბაჩე 0:4; დენიზლი — ანთალია 1:1; სამსუნი — გალათასარაი 1:1; ისთანბული — გაზიანთეფი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჩე | 21 | 15 | 3 | 3 | 54:23 | 48 |
| გალათასარაი | 21 | 14 | 4 | 3 | 45:17 | 46 |
| ბეშიქთაში | 21 | 13 | 4 | 4 | 45:33 | 43 |
| გაზიანთეფი | 21 | 11 | 7 | 3 | 42:25 | 40 |
| ტრაბზონი | 21 | 10 | 5 | 6 | 43:31 | 35 |
| გენჩლერბირ. | 21 | 10 | 3 | 8 | 30:30 | 33 |
| სამსუნი | 21 | 8 | 6 | 7 | 34:31 | 30 |
| დენიზლი | 21 | 7 | 8 | 6 | 28:32 | 29 |
| ანკარაგიუჯიუ | 21 | 7 | 8 | 6 | 31:36 | 29 |
| რიზე | 21 | 8 | 4 | 9 | 28:22 | 28 |
| ისთანბული | 21 | 7 | 6 | 8 | 27:29 | 27 |
| იოზგათი | 21 | 6 | 7 | 8 | 27:26 | 25 |
| ანთალია | 21 | 6 | 7 | 8 | 29:35 | 25 |
| ბურსა | 21 | 5 | 6 | 10 | 31:41 | 21 |
| ქოჯაელი | 21 | 3 | 8 | 10 | 25:39 | 17 |
| ადანა | 21 | 2 | 8 | 11 | 30:43 | 14 |
| ერზერუმი | 21 | 3 | 4 | 14 | 23:55 | 13 |
| იეთფა | 21 | 2 | 6 | 13 | 23:47 | 12 |

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი

მერვედფინალი

**პარტიკი 1:1 დანდი**

0:1 სარა (30), 1:1 ხუანიო (81)
დანდი: როკატი, სმიტი, კოინი, ტვიდი, მაროკო, არტერო, ნემსაძე, რაე, კარანკა, სარა (მილნი 87), კანიჯა
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
9 970 მაყურებელი

**დანფერმლაინი 2:2 სელტიკი**

0:1 ლარსონი (66), 1:1 სკერლა (83), 1:2 ლარსონი (88), 2:2 ნიკოლსონი (90)

**ინვერნესი (I) 1:1 კილმარნოკი**

0:1 რობსონი (90), 1:1 შეი (90)

**ლივინგსტონი (I) 0:0 აბერდინი**

**მოზერველი 0:2 დანდი იუნაიტედი**

0:1 მილერი (3), 0:2 ისტონი (38)

**სტირლინგი (I) 2:3 ჰიბერნიანი**

1:0 ტებლმენი (4), 1:1 სოზე (10), 1:2 ონილი (26), 2:2 გრეჰი (53პ), 2:3 მაკმანუსი (78)

**როს ქაუნთი (I) 2:3 რეინჯერსი**

0:1, 0:2 ფლო (3, 16), 1:2, 2:2 ბონე (19, 53), 2:3 ფერგიუსონი (62)

**ეირდრი (I) — ჰიტერჯედი (III)**

გადაიდო



როს ქაუნთი — რეინჯერსი 2:3. გლაზგოელები შემდეგ წრეში კაპიტან ბარი ფერგიუსონის (მარჯვნივ) ამ დარტყმამ გაიყვანა

**პროვინციული** დინ-უოლი, გლაზგოდან 350 კილომეტრით დაშორებული პატარა ჩრდილოური ქალაქი და მისი მაცხოვრებლები ბედნიერების ჟამთან სულ ახლოს იყვნენ — მსაჯის ერთი ჩასტვენა და „როს ქაუნთი" მეზობელი „ინვერნესის" შარშანდელ გმირობას (ამ ეტაპზე „სელტიკი" გააგდო) გაიმეორებდა. მაგრამ არა, არბიტრმა პენალტი არ დანიშნა, მალე კი „რეინჯერსის" კაპიტანმა ბარი ფერგიუსონმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

„0:2-ზე იმის შემეშინდა, ორნიშნა სხვაობით არ წაგვეგო, მაგრამ მერე თამაში დავალაგეთ, გავაყაიმეთ კიდეც და მადაზე მოვედი. ეჰ, ის პენალტი რომ მოეცათ..." — დაიჩივლა „როს ქაუნთის" მწვრთნელმა ნილ კუპერმა, მისმა გლაზგოელმა კოლეგამ დიკ ადვოკაატმა კი განაცხადა: „მეტოქე ნამდვილად შექების ღირსია. რაც შეეძლო, ყველაფერი იღონა. ჩემი გუნდიდან კი ტორე ანდრე ფლოს გამოვარჩევ. მისი კლასი გასაოცარია — გოლის შექმნა არაფრისგან შეუძლია".

ნორვეგიელმა ორივე გოლი მარჯვენა ფეხით, პირველი ტაიმის პირველ მესამედში გაიტანა და „რეინჯერსმაც" თითქოს თავი მეოთხედფინალში დაიგულა, მაგრამ ფლოს დარად, მასპინძელმა ალექს ბონემაც ივაჟკაცა ორჯერ. მერე რაც მოხდა, უკვე იცით, მატჩის ბოლოს წუთზე კი გლაზგოელთა მცველმა სკოტ უილსონმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა და პირველდივიზიონურ კლუბს გადათამაშების (და აქედან გამომდინარე, საკმაო თანხის მიღების) შანსი მოუსპო.

ასეთ ხვედრს, ანუ გადათამაშებას ვერ აცდა მეორე ბობოლა, ჩემპიონატის ლიდერი „სელტიკი", ვისაც „დანფერმლაინი" ბოლომდე ებრძოლა და შვედი ჰენრიკ ლარსონის მორიგი დუბლის მიუხედავად, მეოთხედფინალის გზა კიდევ 90 წუთით გაუგრძელა. კიდევ ერთხელ ითამაშებენ ნემსაძის „დანდი" და „ჰართსიც": ედინბურგში სტუმრებმა თანმხლები 3 ათასამდე გულშემატკივარი გაახარეს ხუან სარას გოლით, მაგრამ მიწურულს ხუანხომ წონასწორობა აღადგინა. არადა, აქამდე ცოტა ხნით ადრე რაეს გიორგის ნემსაძის უზადო პასი რომ გამოეყენებინა და თავით ბურთი ოდნავ ქვემოთ დაერტყა, ივანო ბონეტის გუნდი შემდეგ წრეში ზედმეტი ნერვიულობის გარეშე გავიდოდა.

თუ „დანდი" გადათამაშებაში იმარჯვებს, მისი მომდევნო მეტოქე „სელტიკსა" და „დანფერმლაინს" შორის მოგებული იქნება.

**გიგა კობახიძე**

### მეოთხედფინალის წილისყრა

სელტიკი ან დანფერმლაინი — დანდი ან ჰართსი; დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი; კილმარნოკი ან ინვერნესი (I) — ჰიბერნიანი; აბერდინი ან ლივინგსტონი (I) — ჰიტერჯედი (III) ან ეირდრი (I)

მატჩები გაიმართება 10-11 მარტს




**ინგლისის** პირველი დივიზიონის ლიდერმა ლონდონის „ფულემმა" სურვილი გამოთქვა, „ლიდს იუნაიტედის" კარის დარაჯი ნაიჯელ მარტინი შეიძინოს და თანახმაა, სანაცვლოდ 3 მილიონი დოლარი გადაიხადოს. აღსანიშნავია, რომ მარტინი ადრე „კრისტალ პალასში" თამაშობდა და რადგან მისი ოჯახი ძირითადად ლონდონში ცხოვრობს, ვარაუდობენ, რომ დედაქალაქში გადასვლაზე არც თავად 34 წლის მეკარე იტყვის უარს. თანაც „ფულემი" ცალი ფეხით უკვე პრემიერლიგელია.

**იტალიურმა** „იუვენტუსმა" მადრიდის „რეალის" ნახევარმცველის, ივან ელგერას ყიდვა განიზრახა და როგორც იუწყებიან, ფეხბურთელს წელიწადში ხელფასად 2,2 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ტურინელთა მენეჯერი ლუიჯი ლასალო მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს. ელგერა თავიდან ესპანეთის მეორედივიზიონურ „ალბასეტეში" თამაშობდა, 1997 წელს კი იგი „რომამ" შეიძინა. ესპანელმა სერია A-ში ერთი სეზონი გაატარა, თუმც შემდეგ რომაელთა მაშინდელ მწვრთნელ ზდენეკ ზემანთან კონფლიქტის გამო იტალია დატოვა და „ესპანიოლში" გადავიდა. კატალონიურ კლუბს მაშინ ესპანეთის ნაკრების ახლანდელი თავკაცი ხოსე ანტონიო კამაჩო წვრთნიდა. 1999 წელს კი ელგერა „რეალმა" იყიდა და მის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

**გერმანიის** ვიცე-ჩემპიონ ლევერკუზენის „ბაიერის" მცველი იენს ნოვოტნი ტრავმის გამო დაახლოებით ექვს თვეს გამოტოვებს, ფეხბურთელმა ვარჯიშის დროს მუხლის მყესები დაიზიანა. ბუნებრივია, ნოვოტნი ვერც გერმანიის ნაკრებს დაეხმარება — მისი თვისტომები 27 თებერვალს პარიზში ფრანგებს დაუპირისპირდებიან. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ნოვოტნის შეძენის სურვილი ცოტა ხნის წინ ლონდონის „არსენალმა" გამოთქვა.

**იტალიის** ჩემპიონატის ლიდერმა „რომამ" „ლივერპულის" ნახევარმცველ სტივენ ჯერარდს დაადგა თვალი. „პრემიერლიგელებისგან იმის გაგება გვსურს, თუ რამდენს მოითხოვენ ფეხბურთელის სანაცვლოდ. ჯერარდით რომ დავინტერესდით, სრულიად ბუნებრივია, იგი ხომ ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი ნახევარმცველია" — განაცხადა „რომას" დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ. ერთ-ერთი სააგენტო კი იუწყება, რომ რომაული კლუბი ლივერპულელებს 15 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

**ინგლისური** სააგენტოების ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედი" ბრიუსელის „ანდერლეხტის" ნახევარმცველ ვალტერ ბასეჯიოს აკვირდება, თუმცა პერსპექტიული ფეხბურთელით „მილანიცაა" დაინტერესებული. 22 წლის ნახევარმცველს კლუბთან კონტრაქტი 2005 წლამდე აკავშირებს. როგორც იუწყებიან, „ანდერლეხტი" მის სანაცვლოდ სულ ცოტა 11 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

## ბელგია

### XXIII ტური

**მეხელენი 0:0 ლუვიე**

**ანტვერპენი 0:0 ლიერსი**

ლიერსი: დემანი, სმეტსი, ვან მეირი, დაემსი, შიშილაძე, სნოექსი, სომერსი, ლეენი, სპიტერი, კავენსი, ფერეირა ოლივეირა
მწვრთნელი: ვალტერ მეეუსი
6 500 მაყურებელი

**შარლერუა 2:1 გენკი**

0:1 ზანი (10პ), 1:1 დ. ბრონო (55), 2:1 როხასი (80)

**ბევერენი 1:1 გენტი**

0:1 სხეპენსი (7), 1:1 ლი (15)

**სენტ ტრუიდენი 2:0 ლოკერენი**

1:0 ვოეტსი (11), 2:0 მბონაბუკია (56)

**ვესტერლო 1:0 მუსკრონი**

1:0 მიტროვიჩი (71)

**აალსტი 1:1 სტანდარდი**

1:0 არტსი (77), 1:1 მორნარი (87)
აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, დე სადელერი (კესტენსი 82), არტსი, ფილიპოვიჩი, ვან დენ ბოში, ტემერმანი, რეიჟელი, როჟერიო, ბელბრეხტი (დე ვილდე 74), ტიბო
მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი
7 500 მაყურებელი

**ბრიუგე 2:2 ბეერსხოტი**

0:1 დეგრიზე (10), 0:2 დაგანო (12), 1:2 ენგელბერტი (28), 2:2 სმოლდერსი (62)

**ჰარელბეკე 1:4 ანდერლეხტი**

0:1 კოლერი (3), 1:1 სასი (7), 1:2, 1:3 კოლერი (35, 50), 1:4 იულა (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 22 | 19 | 3 | 0 | 66:17 | 60 |
| ბრიუგე | 22 | 16 | 5 | 1 | 63:18 | 53 |
| სტანდარდი | 23 | 12 | 7 | 4 | 54:26 | 43 |
| გენტი | 22 | 12 | 6 | 4 | 43:31 | 42 |
| ვესტერლო | 22 | 12 | 4 | 6 | 42:31 | 40 |
| მუსკრონი | 23 | 11 | 4 | 8 | 45:31 | 37 |
| ბეერსხოტი | 23 | 11 | 3 | 9 | 42:33 | 36 |
| შარლერუა | 23 | 11 | 3 | 9 | 38:41 | 36 |
| ლიერსი | 23 | 10 | 5 | 8 | 35:29 | 35 |
| ლოკერენი | 23 | 9 | 7 | 7 | 33:32 | 34 |
| ბევერენი | 23 | 8 | 6 | 9 | 22:41 | 30 |
| გენკი | 23 | 7 | 6 | 10 | 28:34 | 27 |
| ანტვერპენი | 23 | 7 | 3 | 13 | 25:34 | 24 |
| აალსტი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:49 | 20 |
| სენტ ტრუიდენი | 23 | 4 | 4 | 15 | 22:41 | 16 |
| ჰარელბეკე | 23 | 5 | 1 | 17 | 28:66 | 16 |
| მეხელენი | 23 | 2 | 6 | 15 | 27:53 | 12 |
| ლუვიე | 23 | 1 | 8 | 14 | 15:44 | 11 |

## ჰოლანდია

### XXII ტური

**ბრედა 1:2 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ვან ბომელი (56), 0:2 რომედალი (63), 1:2 პენდერსი (90)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰოფლანდი, ნიკოფოროვი, ოიერი, ჰაინცე (კოლკა 46), ვოგელი, ვან ბომელი, რომედალი (რამზი 84), ბრუგინკი, კეჟმანი, ბუმა
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
14 298 მაყურებელი

**უტრეხტი 3:1 გრააფსხაპი**

1:0 ვრიმანი (3ს.კ.), 1:1 რობიმონდი (28ს.კ.), 2:1 გლუშკევიჩი (54), 3:1 ვან დენ ბერგი (90)

**სპარტა 2:2 ვალვაიკი**

1:0 მარბუში (48), 1:1 პუგენდორპი (54), 1:2 ვან ლოენჰუტი (65), 2:2 მენდესი (76)

**გრონინგენი 2:0 ტვენტე**

1:0 პუქსტრა (47), 2:0 უგო (90)

**როზენდალი 2:3 ალკმარი**

0:1 დიბი (5), 1:1, 2:1 ვოსი (16, 40), 2:2 ბოსმანი (69), 2:3 ვან გალენი (74)

**ჰერენვენი 0:0 როდა**

**სიტარდი 0:3 აიაქსი**

0:1 გალაშეკი (10), 0:2 ვან დერ გუნი (24), 0:3 კრუზი (77)
აიაქსი: გრიმი, პასანენი, კრუ დე კლერი, გალაშეკი, ვან დერ გუნი, ვიჩგე, ტ კანუ, ვამბერტო, შ. არველაძე (პერსი 80), მახლასი (კრუზი 72)
მწვრთნელი: კო ადრიანსე
12 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 22 | 16 | 5 | 1 | 47:13 | 53 |
| ფეიენოორდი | 21 | 17 | 1 | 3 | 47:17 | 52 |
| ვიტესი | 21 | 11 | 5 | 5 | 40:34 | 38 |
| აიაქსი | 20 | 11 | 4 | 5 | 49:25 | 37 |
| როდა | 21 | 10 | 4 | 7 | 37:27 | 34 |
| ვალვაიკი | 21 | 9 | 7 | 5 | 27:18 | 34 |
| უტრეხტი | 20 | 9 | 4 | 7 | 38:32 | 31 |
| ტილბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 33:27 | 31 |
| ნაიმეგენი | 21 | 6 | 11 | 4 | 29:25 | 29 |
| ბრედა | 20 | 8 | 3 | 9 | 29:34 | 27 |
| ალკმარი | 21 | 7 | 5 | 9 | 31:40 | 26 |
| გრონინგენი | 21 | 7 | 4 | 10 | 27:33 | 25 |
| ტვენტე | 20 | 6 | 6 | 8 | 31:36 | 24 |
| ჰერენვენი | 20 | 5 | 8 | 7 | 21:28 | 23 |
| გრააფსხაპი | 21 | 5 | 2 | 14 | 27:42 | 17 |
| სპარტა | 22 | 3 | 5 | 14 | 27:46 | 14 |
| როზენდალი | 22 | 4 | 1 | 17 | 29:61 | 13 |
| სიტარდი | 21 | 2 | 6 | 13 | 14:45 | 12 |

## პორტუგალია

### XXI ტური

**ავეში 1:1 მარიტიმუ**

0:1 სუმუდიკა (4), 1:1 ნადა (37)

**ლეირია 1:1 ბელენენსეში**

1:0 პაულუ ალვეში (27), 1:1 ელიელ სანტუში (89პ)

**ბეირა მარი 1:0 ფეირეირა**

1:0 ლუის მანუელი (60)

**სალგეირუში 0:0 ფარენსე**

**ჟილ ვისენტე 4:1 გიმარაეში**

0:1 სიონი (7), 1:1 აბელ ფერეირა (41ს.კ.), 2:1 პაულუ სეზარი (74), 3:1 გამეირუ (82), 4:1 პაულუ სეზარი (87)

**ბრაგა 1:0 ბოავიშტა**

1:0 რივა სილვა (82).

**ალვერკა 3:1 სპორტინგი**

1:0 ანტონიუ (35), 1:1 შმეხარი (73), 2:1 მანტორაში (75), 3:1 მილინკოვიჩი (87)

**ამადორა 1:2 ბენფიკა**

1:0 გაუჩო (14), 1:1 ვან ჰოიდონკი (20), 1:2 ჟოაუ ტომასი (64)

**პორტუ 3:1 კამპომაიორენსე**

1:0 ესკურდინია (2), 1:1 ლეალსონი (53), 2:1 ალოიზიო (73), 3:1 ნუნუ კაპუშუ (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 21 | 13 | 6 | 2 | 39:13 | 45 |
| ბენფიკა | 21 | 13 | 4 | 4 | 39:21 | 43 |
| პორტუ | 21 | 13 | 2 | 6 | 40:18 | 41 |
| ბრაგა | 21 | 11 | 7 | 3 | 33:22 | 40 |
| სპორტინგი | 21 | 12 | 3 | 6 | 35:23 | 39 |
| ბელენენსეში | 21 | 10 | 6 | 5 | 27:16 | 36 |
| ფერეირა | 21 | 8 | 7 | 6 | 26:18 | 31 |
| სალგეირუში | 21 | 9 | 3 | 9 | 20:28 | 30 |
| ფარენსე | 21 | 7 | 8 | 6 | 24:25 | 29 |
| მარიტიმუ | 21 | 7 | 6 | 8 | 21:21 | 27 |
| ლეირია | 21 | 6 | 9 | 6 | 23:30 | 27 |
| ბეირა მარი | 21 | 7 | 5 | 9 | 23:30 | 26 |
| ალვერკა | 21 | 7 | 4 | 10 | 29:34 | 25 |
| გიმარაეში | 21 | 4 | 7 | 10 | 24:36 | 19 |
| კამპომაიორენსე | 21 | 3 | 9 | 9 | 16:33 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 21 | 4 | 5 | 12 | 17:28 | 17 |
| ავეში | 21 | 2 | 7 | 12 | 19:40 | 13 |
| ამადორა | 21 | 2 | 4 | 15 | 16:35 | 10 |

### მეფის თასი

მატჩი III ადგილისთვის

**ტაილანდი 2:0 ყატარი**

1:0, 2:0 სენამუანგი (17, 55)

**ფინალი**

**შვედეთი 3:0 ჩინეთი**

1:0 იონსონი (4), 2:0 ლინდეროტი (11), 3:0 სელაკოვიჩი (19)

## შვეიცარია

### თასის მერვედფინალი

**ლოკარნო (I) 0:4 ციურიხი**

0:1 ჩაველაშვილი (11), 0:2 ჟანინი (23), 0:3 ჩაველაშვილი (68), 0:4 ჩიაბი (84)
ციურიხი: პასკოლო, ჰელინგა, ქენერე, ჩიაბი, პალასი, რენატო, პელდმანი (შასო 68), ჟანინი, ჩაველაშვილი (დუგლასი 74), ჯამარაული, ბიულმანი (აგალე 80)
მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

**კარუჟი (I) 1:1 (პენ.8:9) ბაზელი**

1:0 ვილიო (66), 1:1 პ. იაკინი (83)

**ვინტერტური (II) 1:0 ლუგანო**

1:0 მასლოვი (70)

**ვილი (I) 1:3 სენტ გალენი**

0:1 კონტინი (24), 0:2 ცვისიგი (44), 1:2 სავუ (83), 1:3 განე (86პ)

**ძსამაძსი (II) 0:2 ლოზანა**

0:1 ტიავი (71), 0:2 ლუცენკო (73)

**ვანგენ ბაი ოლტენი (მოყვ.) 2:1 ძსამაძსი**

1:0 კარდოზო (20), 1:1 პოი (45პ), 2:1 სტუბი (80პ)

## საბერძნეთი

მე-19 ტური: იანინა — ირაკლისი 3:2; აეკ — იონიკოსი 2:0; პანაჰაიკი — ეთნიკოსი 1:0; ოლიმპიაკოსი — პანილიაკოსი 2:0; ქსანტი — პანიონიოსი 3:1; პანათინაიკოსი — ოფი 2:0; პაოკ — არისი 2:0; კალამატა — ათინაიკოსი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 19 | 16 | 2 | 1 | 58:14 | 50 |
| პანათინაიკოსი | 19 | 12 | 5 | 2 | 32:10 | 41 |
| აეკ | 19 | 12 | 3 | 4 | 38:24 | 39 |
| პაოკ | 19 | 10 | 6 | 3 | 43:29 | 36 |
| ირაკლისი | 19 | 10 | 3 | 6 | 29:21 | 33 |
| იონიკოსი | 19 | 7 | 7 | 5 | 28:27 | 28 |
| არისი | 19 | 8 | 4 | 7 | 21:21 | 28 |
| ქსანტი | 19 | 8 | 4 | 7 | 14:17 | 28 |
| პანიონიოსი | 19 | 4 | 10 | 5 | 21:24 | 22 |
| ეთნიკოსი | 19 | 6 | 3 | 10 | 20:35 | 21 |
| იანინა | 19 | 5 | 5 | 9 | 26:35 | 20 |
| პანაჰაიკი | 19 | 4 | 5 | 10 | 22:32 | 17 |
| ათინაიკოსი | 19 | 4 | 4 | 11 | 27:40 | 16 |
| პანილიაკოსი | 19 | 3 | 7 | 9 | 15:28 | 16 |
| კალამატა | 19 | 1 | 8 | 10 | 23:40 | 11 |
| ოფი | 19 | 1 | 6 | 12 | 17:37 | 9 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

### X ჯგუფი. V ტური

**ვიეტნამი 4:0 მონღოლეთი**

1:0 რუნგ ჰუკი (3), 2:0, 3:0 ჰონგ სონი (15, 21), 4:0 ლუნგ ჰუკი (87)

**საუდეთი 6:0 ბანგლადეში**

1:0 ალ შარითი (6), 2:0, 3:0 ალ მეშალი (27, 28), 4:0, 5:0 ალ დოსარი (33, 38), 6:0 ალ მეშალი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 26:0 | 15 |
| ვიეტნამი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ბანგლადეში | 5 | 1 | 1 | 3 | 3:13 | 4 |
| მონღოლეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:20 | 0 |

*საუდის არაბეთის ნაკრები გავიდა II შესარჩევ ეტაპზე*

### ამხანაგური მატჩი

**ომანი 1:2 ფინეთი**

## ჩეხეთი

მე-17 ტური: ტეპლიცე — პრჟიბრამი 1:2; ბოჰემიანსი — ბუდეიოვიცე 4:3; სინოტი — დრნოვიცე 1:2; სიგმა — ბლშანი 3:0; ბანიკი — ჟიჟკოვი 2:2; ლიბერეცი — იაბლონეცი 3:1; პლზენი — სლავია 1:3; სპარტა — ბრნო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 17 | 14 | 1 | 2 | 43:14 | 43 |
| სიგმა | 17 | 8 | 6 | 3 | 31:17 | 30 |
| პრჟიბრამი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:19 | 28 |
| ტეპლიცე | 16 | 8 | 3 | 5 | 28:18 | 27 |
| ლიბერეცი | 17 | 8 | 3 | 6 | 27:23 | 27 |
| ჟიჟკოვი | 17 | 7 | 5 | 5 | 27:26 | 26 |
| სინოტი | 17 | 6 | 7 | 4 | 25:20 | 25 |
| სლავია | 16 | 6 | 6 | 4 | 22:19 | 24 |
| ბოჰემიანსი | 17 | 5 | 7 | 5 | 24:23 | 22 |
| დრნოვიცე | 17 | 5 | 5 | 7 | 16:20 | 20 |
| იაბლონეცი | 17 | 4 | 7 | 6 | 16:24 | 19 |
| ბრნო | 17 | 5 | 2 | 10 | 16:22 | 17 |
| ბლშანი | 17 | 4 | 5 | 8 | 16:22 | 17 |
| ბანიკი | 17 | 3 | 7 | 7 | 16:30 | 16 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 3 | 6 | 8 | 22:35 | 15 |
| პლზენი | 17 | 1 | 6 | 10 | 14:37 | 9 |

Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

II ჯგუფი. II ტური

**სერო პორტენიო (პარაგვაი) 3:1 სპორტ ბოიზი (პერუ)**

1:0, 2:0 ფერეირა (15, 30), 3:0 კაბალიერო (37), 3:1 ტემპონე (72)
სერო პორტენიო: ბობადილა, რეკალდე, ესპინოლა, კასერესი, ნიუ გარაი, ბედრინიო, ალვარენგა (პიროიამა 70), ფერეირა (რამირესი 60), კამპოსი, კაბალიერო (კოლმანი 70)
სპორტ ბოიზი: ვეგასი, ლაგოსი (ესპინდოლა 63), მუნიოსი, ჩაკონი, გამარა, ფლორესი, ველასკესი, ლობატონი (ალკიბარი 25), ტემპონე, მაგალიანეში (სილვერა 46), ასპრილია
25 000 მაყურებელი

# ვალენსია და გოლიათი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**დღეს** ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. IV ტური





მე შენ გაგიტან! ემუქრება ნიკოლა ანელკა კრისტიან აბიატის

## A ჯგუფი

### მანჩესტერ იუნაიტედი — ვალენსია

„მანჩესტერ იუნაიტედი“ დღეს „ოლდ ტრაფორდზე“ „ვალენსიას“ ელის და შარშანდელის გამეორებას აპირებს. გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ეს გუნდები ერთად იყვნენ, მაშინ მანჩესტერში ესპანელებს შავი დღე დაადგათ — ენდი კოულის, როი კინისა და დუაიტ იორკის გოლებით „იუნაიტედმა“ 3:0 დაამარცხა მეტოქე.

დღევანდელ მატჩს მანჩესტერელები დასვენებულები ხვდებიან. გასულ უქმეებზე ინგლისში ასოციაციის თასის შეხვედრები გაიმართა, ოღონდ „იუნაიტედის“ გარეშე. ალექს ფერგიუსონის გუნდი კარგა ხანია, თასის გათამაშებას გამოეთიშა.

„კარგია, რომ ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცა. „ვალენსიასთან“ მძიმე მატჩი გველის. ოთხშაბათის თამაშთან შედარებით ტაქტიკას დიდად არ შევცვლი. უცვლელი დარჩება მიზანიც — მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ“ — აცხადებს სერ ალექს ფერგიუსონი, მანჩესტერელთა თავკაცი.

ოთხშაბათს ამ გუნდების პირველი მატჩი „მესტალაზე“ უგოლოდ დასრულდა. ამ შედეგმა ორივე გუნდს შეუნარჩუნა ადგილი: „იუნაიტედი“ დღეისთვის 7 ქულით პირველია, მეორე ადგილზე მყოფ „ვალენსიას“ კი 5 ქულა აქვს.

თუ დღეს მასპინძლებმა მოიგეს, მეოთხედფინალის საგზურს, ფაქტობრივად, გაინაღდებენ, რითაც რეკორდს დაამყარებენ — „იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის არსებობის მოკლე ისტორიაში, მეოთხედფინალში ზედიზედ მეხუთედ გავა. რეკორდი კი ტურინის „იუვენტუსს“ ეკუთვნის, რომელსაც იგივე ოთხჯერ მოუხერხებია.

ვალენსიელებს თუ მოვუსმენთ, მაშინ ინგლისელებს ამ საქმის სამომავლოდ გადადება მოუწევთ.

„ჩვენ გვჯერა, რომ „ოლდ ტრაფორდზე“ მოვიგებთ“ — ამბობს ამადეო კარბონი. იმედიანადაა ესპანელთა კაპიტანი გაისკა მენდიეტაც. „გოლიათობაზე თუ გვაქვს პრეტენზია, მაშინ გოლიათები უნდა დავამარცხოთ. ჩვენ დიდი გზა გამოვიარეთ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა დავამტკიცოთ. ჰოდა, რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს?“ — კითხულობს იგი.

„ვალენსიას“ მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი კარგ ხასიათზე ხვდება თამაშს. მას დღეს ნახევარდაცვის მთავარი ბირთვი, მენდიეტა-კილი გონსალესი-დეშამპის ტრიო დაუბრუნდება. დეშამპს ბოლო დროს ტრავმა აწუხებდა, ამიტომ არ თამაშობდა. არ არის გამორიცხული, კუპერმა არ გარისკოს და ფრანგი ნახევარმცველი გვიან ჩართოს თამაშში. ასევე მინდორზე იქნება არგენტინელი ახალწვეული პაბლო აიმარი, რომელმაც „ვალენსიას“ მაისურა პირველად გასულ ოთხაშაბთს მოირგო. აიმარს შაბათს პრიმერადივიზიონში ჰქონდა დებიუტი და საკმაოდ წარმატებულიც — „ლას პალმასთან“ 2:0 მოგებულ შეხვედრაში საბოლოო წერტილი სწორედ მან დასვა.

„მნიშვნელობა არა აქვს, რა შემადგენლობით გავალთ დღეს მინდორზე. ჩვენი მიზანი ერთია — უნდა მოვიგოთ და „შტურმს“ გასწრების შანსი მოვუსპოთ“ — ეს სიტყვები გუშინ მანჩესტერში ჩასულმა კუპერმა თქვა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი, კინი, ბექჰემი, სქოულზი, გიგზი, შერინგემი, ენდი კოული

**ვალენსია:** კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ანგულო, მენდიეტა, ბარახა, კილი გონსალესი, აიმარი, ხუან სანჩესი

**მსაჯი:** ჰელმუტ კრუგი (გერმანია)

### პანათინაიკოსი — შტურმი

დღეს „პანათინაიკოსი“ ავსტრიულ „შტურმს“ კარგ განწყობაზე დაუხვდება, ათენელებმა წარუმატებელი, ზედიზედ სამი წაგებისგან შემდგარი სერია შაბათს როგორც იქნა, შეწყვიტეს, შინ „ოფი“ 2:0 დაამარცხეს და ხასიათი გამოისწორეს.

ანგელოს ანასტასიადისი ბოლო დროს დიდი წნეხის ქვეშ იყო. მის გუნდს მიზნად საბერძნეთის ჩემპიონობა დაუსახეს, მაგრამ ზედიზედ ორმა მარცხმა ლიდერ „ოლიმპიაკოსს“ დიდი სხვაობით დააშორა, ამას ოთხშაბათს გრაცში, „შვარცენეგერზე“ „შტურმთან“ 0:2 მარცხი დაემატა და... „ოფთან“ საშაბათო სამი ქულა რომ არა, ეგებ დღეს „პანათინაიკოსი“ სხვა მწვრთნელს დაემოძღვრა სათამაშოდ.

„კრიზისი დავძლიეთ, ისევ გავიგეთ გამარჯვების გემო, ახლა „შტურმის“ ჯერია. ავსტრიელებს ხელწამოსაკრავი გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლებნი, ეს გრაცშიც გამოჩნდა, მეტოქეს არაფერში ჩამოვუვარდებოდით, მაგრამ...“

ამ მაგრამში, ათენელთა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ნიკოს ლიბეროპულოსმა, ალბათ, მსაჯის გადაწყვეტილება იგულისხმა, როცა არასწორი თამაშგარეს გამო ბერძნების გოლი უსამართლოდ გააუქმეს.

„სამი ქულა ათენში და მერე სამიც შინ, „ვალენსიასთან“, ჩინებული იქნება“ — „შტურმის“ ირანელი ლეგიონერი მინავანდ ჩალი ოცნებებს წაუღია.

ძნელია, ძალიან ძნელი ათენში თამაში. იქ ჩასული ბევრი ევროპული გრანდი გვინახავს, მაგრამ იქიდან სამი ქულით დაბრუნებული ძალიან ცოტა. ჰოდა, არა გვგონია, ის, რაც ბევრ ბობოლას ვერ გაუკეთებია, „შტურმმა“ მოახერხოს. მიუხედავად ამისა, ავსტრიელები იმედიანად არიან. „სამი ქულის წამოღების შანსი ნამდვილად გვაქვს, მთავარია, როგორ გამოვიყენებთ“ — განუცხადა ათენში ჩასულმა „შტურმის“ კაპიტანმა ივიცა ვასტიჩმა.

შემადგენლობის მხრივ გუნდებს პრობლემები, ფაქტობრივად, არ აწუხებთ. დისკვალიფიკაცია არავის აქვს. წინასწარი ინფორმაციით, ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს.

რაღა დაგიმალოთ და A ჯგუფიდან მეოთხედფინალში, ალბათ, ისევ „მანჩესტერი“ და „ვალენსია“ გავლენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, სარიჩი, ჰენრიკსენი, გუმასი, ფოკოლოსი, ბასინასი, კუტურისი, ოლივარესი, ვარგასი, კარაგუნისი, ლიბეროპულოსი

**შტურმი:** სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, კორსოში, პრილასნიგი, შოპი, შუპი, ფლურკინი, მინავანდ ჩალი,ვასტიჩი, კოციანი, ჰაასი

**მსაჯი:** ალან სარსი (საფრანგეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 5 |
| შტურმი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

## B ჯგუფი

### პარი სენ ჟერმენი — მილანი

„პარკ დე პრენსზე“ ასეთი ამბავია: „პარი სენ ჟერმენი“ ან გაიმარჯვებს და დანარჩენ შეხვედრებს ამით აზრი მიეცემა, ანდა ყველაფერს ამ საღამოს დაესმება წერტილი. არადა, პარიზული გუნდი სწორედ ისაა, ფრანგული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი თანხა რომ დახარჯა მოთამაშეების შესაძენად.

დახეთ, რა ვითარებაა B ჯგუფში: „პარი სენ ჟერმენმა“ სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლო, ერთი კვირის წინ, მილანში. ეროვნულ პირველობაზე კი საქმე უარესად აქვს. შაბათს, მარსელში ოდინდელ მოქიშპესთან, „ოლიმპიკთან“ 0:1 წააგო და 18 სტრიქონიან ცხრილში მეთორმეტემდე ჩავარდა.

ახლა, ბოლო ორი საშინაო თამაშიც გავიხსენოთ — 1:3 „გენგამთან“ და 0:4 „ოსერთან“, თასზე. არადა პარიზელთა მწვრთნელი ლუის ფერნანდესი ნოემბერში თანამდებობაზე ფილიპ ბერჟეროს რომ ცვლიდა, საკუთარ თავში ძალიან დარწმუნებული გახლდათ. მისდა სამწუხაროდ, თანდათან გაირკვა, რომ ფეხბურთელები მოედანზე უგულოდ დარბიან, ნიკოლა ანელკა თანაგუნდელებს ზემოდან დასცქერის და ქომაგებმა გუნდს ფეხბურთის „ბენი ჰილი“ უწოდეს. და მაინც, ფერნანდესი იხტიბარს არ იტეხს. ის ამბობს: „ჩვენ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ „მილანი“, რადგან სამი ქულა გვჭირდება“.

აუცილებლად... კარგი სათქმელია კაცისგან, რომლის ხელმძღვანელობით გუნდმა მხოლოდ ორი შეხვედრა მოიგო და ორივე საშინაო თასიდან გავარდა. ფეხბურთელები გაოგნებულნი არიან იმ კალეიდოსკოპური ცვლილებებით, ფერნანდესი ყოველი მატჩის სასტარტო შემადგენლობაში რომ ატარებს. ცხადია, ცვლილება დღესაც იქნება, თუნდაც იძულებითი, რადგან მცველი ბერნარ მენდი დისკვალიფიცირებულია. მის ნაცვლად პიერ დიუკროს გამოჩენას ელიან.

ანელკა ფერნანდესმა შაბათს, მარსელში თავიდან დაასვენა და ეს გვაფიქრებინებს, რომ „მილანთან“ ის უეჭველად მოედანზე იქნება, აი, ნახევარმცველი პეტერ ლუქსენი კი მართალია მკურნალობას მორჩა, მაგრამ, ალბათ, მაინც სათადარიგოთა სკამზე იქნება.

„მარსელთან“ შეხვედრის დროს თავი იტკინა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა კრისტიანმა, თუმცა დღეს მოედანზე ალბათ მაინც ვიხილავთ.

„დღეს ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მოვიგოთ“ — იქადნება მეორე თავდამსხმელი ლორან ლერუა.

ეს, რაც შეეხება „პარი სენ ჟერმენს“, ახლა „მილანზე“. დისკვალიფიცირებულია მცველი როკე ჟუნიორი, მეორე მცველი ალესანდრო კოსტაკურტა დაშავებულია, კახა კალაძე, მოგეხსენებათ, ვერ ითამაშებს, პაოლო მალდინის კი ფეხი აქვს გამიზეზებული და ვნახოთ, რამდენად მოყოჩაღდება.

არგენტინელი ხოსე ანტონიო შამოტი მართალია გამოჯანმრთელდა, მაგრამ ფორმაში როგორ უნდა იყოს, ამდენი ხანია არ უთამაშია.

იტალიის ჩემპიონატსა და თასზე „მილანს“ ბოლო 13 მატჩში მხოლოდ ორი აქვს მოგებული და იმედი აქვს, რომ პარიზში გამოასწორებს საქმეს. ტრავმათა სიუხვე, ცხადია, ხელს შეუშლის, მაგრამ მხოლოდ ცუდი ამბები ხომ არ ხდება — საქმეს დაუბრუნდა ჩვეულებრივ აგრესიული ჯენარო გატუზო, ხოლო თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ შაბათს, „ბოლონიას“ სამიდან ორი გოლი გაუტანა (შეხვედრა დასრულდა 3:3).

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მისი დაბრუნების შეხვედრა იყო, გატუზოს ცუდად არ უთამაშია, ხოლო შევჩენკო ბოლო რამდენიმე. კვირასთან შედარებით გახალისებული ჩანდა“ — თქვა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ.

„მილანი“ და „პარი სენ ჟერმენი“ აქამდე, ჩემპიონთა ლიგაში სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს.

პარიზში ბოლო ვიზიტის დროს „მილანმა“ 1:0 გაიმარჯვა. ეს 1995 წლის გათამაშების ნახევარფინალში მოხდა, სულ კი სამიდან ორი იტალიური გუნდის სასარგებლოდ დამთავრდა, ერთი კი ფრე იყო.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პარი სენ ჟერმენი:** ლეტიზი, დიუკრო, ა. სისე, დეუ, დისტინი, დომი, ბენარბია, [illegible], ე. სისე, ანელკა, რობერი

**მილანი:** აბიატი, სალა, შამოტი, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, [illegible], შევჩენკო, ლეონარდო

**მსაჯი:** იან ვეგერეფი (ჰოლანდია)

### დეპორტივო — გალატასარაი

„დეპორტივო ლა კორუნია“ სწორედ ის გუნდია, გასულ შაბათს „ბარსელონას“ „კამპ ნოუზე“ მეტისმეტად ეფექტურად რომ მოუგო. ის ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრა გახლდათ, დღეს კი ჩემპიონთა ლიგის მატჩია: „დეპორტივო“ — „გალათასარაი“. ეჭვი არაა, „ბარსელონას“ დამარცხებამ ლაკორუნიელებს დღევანდელი თამაშის წინ საკუთარი თავის განსაკუთრებული რწმენა შემატა.

არადა, ესპანელებს გამარჯვება ძალიან სჭირდებათ. წინა ტურში, სტამბოლში, იმავ „გალათასარაისთან“ 0:1 დამარცხებამ ხომ ცხრილში შედარებით უსიამოვნო მდგომარეობა შეუქმნათ.

„რაკი „ბარსელონას“ დამარცხება შევძელით, ეჭვი არ მეპარება, დანარჩენ შეხვედრებში საქმე კარგად წაგვივა, რადგან შინ ვთამაშობთ“ — განაცხადა ლაკორუნიელთა მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ და დასძინა — „ზურგის ქარი უბერავს“.

„ბარსელონას“ ძლევა იმითაც გამოდგა მნიშვნელოვანი, რომ „კამპ ნოუზე“ იგი გახლდათ პირველი ბოლო 31 შემთხვევიდან.

„კამპ ნოუზე“ ორი გოლი, მათგან ერთი გამარჯვების, მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მოთამაშემ, ვიქტორმა გაიტანა.

„შაბათის მერე მთელი ძალ-ღონე და ფიქრი „გალათასარაის“ დასამარცხებლად უნდა მოვიკრიბოთ. მწამს, ჩემპიონთა ლიგაში წინ ბევრი მატჩი გველის, ოღონდ ამისთვის სამშაბათს აუცილებლად უნდა ვიყოჩაღოთ“ — თქვა ვიქტორმა.

„დეპორტივოს“ „გალათასარაისთან“ მთავარი მეკარე, ხოსე მოლინა არ ეყოლება, რადგან მან „ბარსელონასთან“ მატჩში, პატრიკ კლუივერტთან შეჯახების შემდეგ, ფეხი დაიზიანა. მის ადგილს ორ ძელს შორის კამერუნელი ჟაკ სონგო დაიკავებს.

რაც შეეხებათ სტამბოლელებს, მათ წამყვანი მოთამაშეების უმეტესობა არ ეყოლებათ. მუხლნატკენია ნახევარმცველი ჰაქან უნსალი, რომელიც „დეპორტივოსთან“ პირველი შეხვედრის დროს დაშავდა. სამ-სამი ყვითლის გამო დისკვალიფიცირებულნი არიან ნახევარმცველი ემრე ბელოზოღლუ და თავდამსხმელი ჰასან შაში. ტრავმა აქვთ დავალა უმითსა და ბიულენთ ქორქმაზსაც, ოღონდ ქორქმაზი, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე მაინც იჯდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დეპორტივო:** სონგო, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი, ვიქტორი, ჯალმინია, ვალერონი, მაკაი

**გალათასარაი:** ტაფარელი, ვედათი, ფათიჰი, პოპესკუ, კაპონე, ოკანი, სუათი, ერგუნი, ფარუკი, ჰაჯი, ჯარდელი

**მსაჯი:** ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| დეპორტივო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| პარი სენ ჟერმენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |




ვალენსიელები დევიდ ბექჰემს მარჯვენას უნდა უფრთხოდნენ


**ათლეტების, ტანმოვარჯიშეთა, მძლეოსნების და კულტურისტების არჩევანი**



მარკუს პიუჯესი მსოფლიო მასშტაბის ლიდერი კორპორაციის პრეზიდენტი-პრაქტიკოსი ლოს ანჯელესიდან გთავაზობთ აბსოლუტურად უწყინარ ფარმაკოლოგიურ ტიბეტის ბუნებრივ მასალაზე დამზადებულ კუნთოვანი სისტემის ზრდისა და ფიზიკური ფორმის გამაძლიერებელ საშუალებებს. ასევე უაღრესად ეფექტურ, სხეულის წონის დაკლების პრეპარატებს; მსოფლიო მასშტაბის სხეულისა და სახის ელიტალურ პარფიუმერიას. ფასები მყარი პრეისკურანტისა და რეალურია.

ჭავჭავაძის გამზირი 74, ოფისი 1308 სართული მე-13; 12 საათიდან.

კონსულტანტი გიორგი შაკიაშვილი ტელ. ოფისი: 25-36-57; სახლი 92-03-46

# სახელის გატეხას ფარის გატეხვა გერჩიოს

## ბასკო ბათუმში ისევ დაუმარცხებელია

იუზა კაციტაძე ბათუმიდან

17 თებერვალი

**ბასკო 77:58 ნიბიტი**

21:12, 21:15, 13:17, 22:14

ბასკო: მარკოიშვილი (2), როჯერსი (20), ნიკოლაძე (1), კილაძე (3), ბეჟანიშვილი (2), გ. ნაცვლიშვილი (3), ტუჯანი (5), ვ. ნაცვლიშვილი (25), ქარაბაკი (10), ორმოცაძე (6)

ნიბიტი: ვარბლანე (22), რეინბოკი (2), ტაგამეტსი (10), ლიპსი (9), ჰენდრიკსონი (9), ედვარდსი (6), ტუისკი, სუროოგი, ლინასი

მსაჯები: ა. ოზოლსი (ლატვია), ი. კოკაინასი (ლატვია)

კომისარი: მ. ქურიძე (საქართველო)

პარასკევს, ტურის პირველ დღეს, ესტონეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანმა, ოლიმპიური ჩემპიონის ტიიტ სოკის გაწვრთნილმა „ნიბიტმა" აშკარად მოისუსტა და თავისივე ქვეყნის ჩემპიონ „დელტასთან" 18-ქულიანი სხვაობით დამარცხდა. ბათუმში არცთუ უძლიერესი, თანაც არასრული შემადგენლობით (9 მოთამაშე) ჩამოსულ ტალინელებს, წესით და რიგით, არც ჩვენ ჩემპიონთან უნდა ჰქონოდათ წარმატების იმედი. ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც, ოღონდ, თავიდანვე ვიტყვით, ნაწილობრივ. „ბასკო" მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა ტურის ყველაზე ტანდაბალი გუნდისგან („ნიბიტს" მხოლოდ ორი ორმეტრიანი მოთამაშე ჰყავდა — სუროოგი და ამერიკელი ედვარდსი).

სოკმა სწორი ტაქტიკა აირჩია, მისმა გუნდმა ზონურ დაცვას მიმართა. განსაკუთრებული მეურვეობა დაუწესეს „ბასკოს" ამერიკელ გამთამაშებელ ჯეფ როჯერსს და ამის გამო ბათუმელები თავიდან ვერ შეეგუენ შევიწროებულ სათამაშო სივრცეს. „ბასკოს" სასტარტო ხუთეულს ძირითადს ვერ დავარქმევთ: როჯერსი, გიგი ნაცვლიშვილი, ტუჯანი, ბეჟანიშვილი, კილაძე. ანგარიში ბეჟანიშვილმა კი გახსნა, მაგრამ ტაგამეტსმა და ვარბლანემ ზუსტი სროლებით უპასუხეს და 3:4. ბათუმელთა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ უმალ შეცვალა ტუჯანი ვახტანგ ნაცვლიშვილით და მასპინძელთა თამაში შედარებით დალაგდა. კილაძე ზუსტი სროლებით გამოირჩა (7:4), ვარბლანემ კი ანგარიში სამქულიანით გაათანაბრა. მერე როჯერსის ჯერი დადგა. ჯეფმა ზედიზედ ორჯერ გაარღვია „ნიბიტის" დაცვა და თავისიანები 4 ქულით დააწინაურა. ქარაბაკმაც გამოსვლისთანავე ივარგა... მერე როჯერსმა 15 მეტრიდან დაუკიდა ფარზე ბურთი ვახტანგ ნაცვლიშვილს და ამანაც ეფექტურად ჩატენა. სხვაობამ 12 ქულას მიაღწია, პირველი მეოთხედის დამთავრებამდე წამებით ადრე ვარბლანემ გვერდიდან სამქულიანი ჩააგდო.

ტალინელებმა სამქულიანითვე დაიწყეს მეორე ათწუთეული, თუმც მალე ტუჯანიმ შეუტია და ჯერ თავად ესროლა უნაკლოდ, ხოლო მერე ვახტანგ ნაცვლიშვილს ჩააგდებინა. აქ ჩვენები რატომღაც აირივნენ, სამი წუთით ინიციატივა მეტოქეს გადააბარეს. ედვარდსმა და ლიპსმა კარგად ისარგებლეს მასპინძელთა მოდუნებით და „ნიბიტმა" 6 ქულამდე შეამცირა სხვაობა. ტომარაძემ დასვენებული როჯერსი დააბრუნა მოედანზე, ჰოდა, მან და ვახტანგ ნაცვლიშვილმა ისე აიყოლიეს პარტნიორები, „ნიბიტი" ცუდ დღეში აღმოჩნდა. დიდ შესვენებამდე დარჩენილ ოთხ წუთში ჩვენებურებმა 13 ქულა ჩააგდეს, სტუმრებმა კი მხოლოდ ოთხი. ასე რომ პირველი ტაიმი „ბასკომ" 15 ქულით მოიგო.

მესამე მეოთხედის დასაწყისში ტალინელებმა გვარიანად შეავიწროვეს „ბასკო". ვარბლანემ, ტაგამეტსმა და ლიპსმა ზედიზედ ჩააგდეს და ანგარიშიც 9 ქულამდე შეამცირეს. ბათუმელები უმალ მოეგენ გონს და ვახტანგ ნაცვლიშვილი რისხვად დაატყდა მეტოქეს. „ბასკოს" კაპიტანი შეუცდომლად ესროდა, მას როჯერსიც გამოეხმაურა და 24-ე წუთზე მათი გუნდი 16 ქულით იყო წინ.

მაინც არ გატყდა „ნიბიტი". ესტონელებმა ძალები მოიკრიბეს და მწვავედ შეუტიეს. ტაგამეტსმა ორჯერ ფარქვეშიდან იხეირა, ვარბლანემაც ივარგა და „ბასკო" 9 ქულითღა იყო წინ. კიდევ კარგი, რომ ბათუმელებს სულზე მოუსწრო ორმოცაძის ზუსტმა შორეულმა ნასროლმა, თორემ მეტოქეს გარდატეხა შეჰქონდა თამაშში.

„ბასკომ" მესამე ათწუთეული დათმო, სამაგიეროდ მეოთხეში გამოასწორა მდგომარეობა. ბათუმელებმა სასურველი სცენარით წარმართეს თამაში. ამჯერად ისინი დაცვაშიც ყურადღებით იყვნენ და უფრო ზუსტადაც ისროდნენ. მას შემდეგ, რაც რეინბოკმა, ტაგამეტსმა და ლიპსმა 5-5 პერსონალურის გამო მოედანი დატოვეს (ამათ მალე ჩვენი ლევან ქარაბაკიც მიჰყვა), „ნიბიტი" საბოლოოდ გატყდა. ყმაწვილმა მანუჩარ მარკოიშვილმა თამაშში ჩართვისთანავე ჩააგდო. ბოლო ოთხი ქულა კი ბათუმელთაგან უდავოდ საუკეთესო ვახტანგ ნაცვლიშვილმა მიითვალა.

### მატჩის შემდეგ

*ტიიტ სოკი, „ნიბიტის" მთავარი მწვრთნელი:* სამწუხაროდ, უძლიერესი შემადგენლობით ვერ ჩამოვედით ბათუმში. ჩვენი ამერიკელი ცენტრი ვერ არის სასურველ ფორმაში. ედვარდსი ორი წლის წინ თამაშობდა „ნიბიტში" და საკმაოდ ძლიერად. მერე გუნდიდან წავიდა. მხოლოდ სამი კვირის წინ მოგვაკითხა. დამძიმებული და უვარჯიშებელია, თორემ მეტ სარგებლობას მოგვიტანდა. „ნიბიტი", ფაქტობრივად, სამოყვარულო გუნდია. ბიჭები სამუშაოს შემდეგ ერთობიან თამაშით. „ბასკოსთან" გაცილებით უკეთესად გამოვიყურებოდით, ვიდრე „დელტასთან". საერთო ჯამში მთლად უკმაყოფილო არა ვარ. ბრძოლაში დავმარცხდით. ქართულ კალათბურთზე ყოველთვის კარგი წარმოდგენა მქონდა. ჩემი აზრით, ქართველები ადრე გუნდურ თამაშზე აკეთებდნენ აქცენტს. ახლა — უფრო ინდივიდუალურზე. „ბასკო" ამ მხრივ უფრო ძლიერი მეჩვენა.

*ნუგზარ კანდელაკი, „ბასკოს" მწვრთნელი:* ნამდვილად არ გვეგონა, თუ ასეთ წინააღმდეგობას წავაწყდებოდით. ტიიტ სოკი მიხვდა, როგორ უნდა ეთამაშა ჩვენთან. მეტოქე სწრაფი შეტევების განხორციელების საშუალებას არ გვაძლევდა, ხისტად გვეთამაშებოდა. „ნიბიტი" მხოლოდ ბოლოსკენ დავჩაგრეთ. მეტოქე გუნდიდან გამორჩეულად ვარბლანემ ითამაშა. არადა ჩვენ მატჩამდე გამოცდილ ტაგამეტსს უფრო ვუფრთხოდით. გამარჯვებით, ბუნებრივია, გახარებულნი ვართ. ლიგის მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება უკვე მოპოვებულია.

**გროდნო 84:68 დელტა**

30:13, 18:9, 23:26, 13:20

გროდნო: ჟარმუხამედოვი (8), საფრონოვი (19), კაჩანი (2), კვაშჩუკი (15), კლემეზი (6), კორშუკი (17), კრიშჩიკი (4), პინტიკოვი (9), ვასილევკო (4), პრიიმა, შარკო, ბესმერტნი

დელტა: ტ. ლივაკი (8), ი. ლივაკი (8), ტეინი (13), კანდიმაა (13), ჰეილი (5), ვარესი (4), მაჩიულაიტისი (10), რეინკორტი (7)

მსაჯები: ა. ზაკისი (ლიტვა), დ. ბერეკაშვილი (საქართველო)

კომისარი: მ. ქურიძე (საქართველო)

მეორე სათამაშო დღის პირველი შეხვედრა დათქმულზე დაგვიანებით დაიწყო. მიზეზი? გროდნოელი ედუარდ პრიიმა მოთელვაზე ისე დააცხრა კალათს, რომ სამაგრი მოტეხა. კალათი გამოსაცვლელი შეიქნა და ამ საქმეს 45 წუთი დასჭირდა. წინა დღით „ბასკოსთან" მარცხნაგემმა ალექსანდრ ბორისოვის შეგირდებმა ჯავრი ესტონეთის ჩემპიონზე იყარეს. ტარტუელებმა ვერაფერი მოუხერხეს ბათუმური ტურის ყველაზე ტანმაღალ მოთამაშეს რომან საფრონოვს (214 სმ). გროდნოელთა ცენტრი ორივე ფართან ბატონობდა. საფრონოვს პარტნიორებიც აჰყვნენ და სადღაც შუა თამაშში ანგარიშში სხვაობამ 30 ქულას მიაღწია. „დელტას" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდმა ბოლომდე იბრძოლა. თავისი სადებიუტო საერთაშორისო მატჩი იმსაჯა ქუთაისელმა არბიტრმა დავით ბერეკაშვილმა.



ამროსი ორმოცაძე (№15) მთელი ტურის განმავლობაში რიგიანად ირჯებოდა

18 თებერვალი

**ბასკო 87:83 დელტა**

28:20, 19:29, 17:20, 23:14

ბასკო: მარკოიშვილი (4), როჯერსი (12), ნიკოლაძე (1), კილაძე (6), ბეჟანიშვილი (14), ტუჯანი (2), ვ. ნაცვლიშვილი (14), ქარაბაკი (27), ორმოცაძე (7), გ. ნაცვლიშვილი

დელტა: ტ. ლივაკი (14), ი. ლივაკი (2), ტეინი (29), კანდიმაა (3), ვარესი (7), მაჩიულაიტისი (12), რეინკორტი (16), ჰეილი, ვასარი

მსაჯები: ა. ზაკისი (ლიტვა), ი. კოკაინასი (ლატვია)

კომისარი: მ. ქურიძე (საქართველო)

ერთი სიამოვნებაა „გროდნო-93"-ის და იმავდროულად ბელარუსის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ალექსანდრ ბორისოვთან საუბარი. კალათბურთში ჭიპმოჭრილი კაცია, თანაც, რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს. იცით, რა გვითხრა ჟურნალისტებს ტურის ბოლო მატჩის დაწყებამდე ბორისოვმა? — აგერ ნახავთ, „ბასკოს" დღეს ძალიან გაუჭირდება. ესტონეთის ჩემპიონი ესტონეთის ჩემპიონია და საკუთარ ძალას გიჩვენებთ. შანსები 50-50-ზეა. ჰოდა, ისემც ყველაფერი კარგი აგიხდეთ.

არადა, საწყისი წუთების მიხედვით ამას ნამდვილად ვერ ვივარაუდებდით. „ბასკომ" გააფრთებით შეუტია. ბათუმელთა სასტარტო ხუთეული — როჯერსი, ტუჯანი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ქარაბაკი, ბეჟანიშვილი — ორწუთნახევარს ისე ირჯებოდა, თქვენი მოწონებული — 7:0. მოვლენათა ასეთი განვითარებით შეწუხებულმა ტარტუელთა დამრიგებელმა იური ნეისარმა უმალ წუთშესვენება მოითხოვა. თამაშის განახლება და რეინკორტის მეორე სამქულიანი ერთი იყო. საპასუხო შეტევისას ქარაბაკმა მესამე ფოლიც აკიდა ამერიკელი ტერი ნეილს და ორივე ჯარიმაც თავად ისროლა. ნეისარმა ლიტველი ლეგიონერი მაჩიულაიტისი შეიყვანა მოედანზე ნეილის ნაცვლად. ამის მერე ვარესმა შეამცირა სხვაობა, თუმც რაღაც წამებში ქარაბაკმა სამქულიანი მიითვალა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით ბეჟანიშვილმა და როჯერსმა ტაბლოზე 19:8 დააფიქსირეს.

მომდევნო ორ წუთში ჩვენებმა აშკარად შესცოდეს დაცვაში და დაისაჯნენ კიდეც. სხვაობა ხუთქულიანი შეიქნა. ზურაბ ტომარაძემ აქ პირველი შეცვლა გააკეთა. ორმოცაძე გამოიყვანა ბეჟანიშვილის მაგივრად. ცოტა მოგვიანებით ქარაბაკმაც დაუთმო ადგილი კილაძეს, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, რეინკორტმა უკვე სამ ქულამდე დაიყვანა ანგარიშში სხვაობა. „ბასკომ" იძალა. ორმოცაძის სამქულიანის შემდეგ ტუჯანიმ ვახტანგ ნაცვლიშვილის ზუსტი პასი შეირგო — 28:20, ასე დასრულდა პირველი ათწუთეული.

მეორე მეოთხედში ნაკლებად გამოირჩეოდა „ბასკოს" ლიდერი როჯერსი. ჯეფი ჩრდილში აღმოჩნდა, ჩვენი დაცვაც მოიშალა და ამან ხელ-ფეხი გაუხსნა ტარტუელებს. „დელტა" აზარტულად ათამაშდა და სხვაობამაც კლება იწყო. მე-18 წუთის ბოლოს „ბასკო" უკვე მდევრის როლში აღმოჩნდა — 40:41. ტაიმის დასრულებამდე როჯერსმა შვიდი ქულა კი შესძინა „ბასკოს", მაგრამ ჩვენებს რამდენჯერმე ზედიზედ გაეპარათ ტეინი, რომელმაც როჯერსს ქულით გადააჭარბა და 47:49.

მესამე მეოთხედში ვახტანგ ნაცვლიშვილმა და ქარაბაკმა ერთხანს წინ გაიყვანეს „ბასკო", მაგრამ ესტონელები არასგზით თმობდნენ ინიციატივას.

ბოლო მეოთხედში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ეროვნულ ჩემპიონატთან რა შედარებაა, მაგრამ „ბასკო" საკუთარ დარბაზში ჯერ არ დამარცხებულა და წაგებას ვერ ეგუება. ჩვენები ორი გამთამაშებლით (როჯერსი, ნიკოლაძე) იწყებენ და პრესინგს მიმართავენ. კილაძემ იანუს ლივაკს დაუფარა, მყისვე გაუჭრა ქარაბაკს და ლევანი ზუსტად ესვრის. ორმოცაძე ყოჩაღობს მორიგ შეტევაში, სხვაობას მინიმუმამდე ამცირებს. სტუმრები აირივნენ. ჰეილი მეხუთედ ჯარიმდება და მოედანს ტოვებს. მერე ისევ ჩინებულია კილაძე, ვარესს უფარებს და ქარაბაკისკენ აგზავნის ბურთს. „ბასკო" წინ გადის — 70:69.

თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთი რჩება. ვარესი ორიდან ერთ საჯარიმოს აგდებს და ათანაბრებს. ვახტანგ ნაცვლიშვილს ისევ წინ გაჰყავს თავისიანები. კილაძე კიდევ ერთხელ უფარებს მეტოქეს და ბურთს ნაცვლიშვილს აწვდის, ის კი შეტევაში ჯარიმდება. ეს ნაცვლიშვილის მეხუთე ფოლია.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ხდება მოედანზე. ანერვიულებულმა მოთამაშეებმა შეცდომებს მოუხშირეს. იანუს ლივაკს და ვარესს სროლები გაუცუდდათ, ორმოცაძემ გარბენი გააკეთა...

მერე? ბეჟანიშვილი: 74:70, ტომას ლივაკი: 74:72, ქარაბაკი: 76:72, კილაძე ორ ჯარიმას აგდებს: 78:72, ქარაბაკი: 80:72.

დამთავრებამდე ორი წუთიღა რჩება. „ბასკო" თითქოს მოგებულია, მაგრამ აგერ ტეინის სამქულიანი და როჯერსის შეცდომა, რომელსაც იგივე ტეინი ორ ქულად აქცევს. 80:77 და წუთნახევარი სირენამდე. ორმოცაძის სამქულიანს რეინკორტი ანალოგიურად პასუხობს. ოცდაათი წამი რჩება და ბათუმელები ბურთს კარგავენ. სტუმრები უტევენ და კილაძე განზრახ ჯარიმდება. ტეინი ორჯერვე ზუსტია — 83:82. რჩება თექვსმეტი წამი. ბურთი „ბასკოსია". ახლა ტეინმა აიკიდა ფოლი, თანაც მეხუთე. ქარაბაკი ორიდან ერთს აგდებს — 84:82. დამთავრებამდე ექვსი წამით ადრე ბათუმელები ჯარიმდებიან. ვარესსაც უცუდდება ერთი საჯარიმო 84:83. ახლა რეინკორტი ჯარიმდება. ქარაბაკი ზუსტია — 86:82. ტომას ლივაკი სირენამდე წამნახევრით ადრე შეტევაში ჯარიმდება. ნიკოლაძე ერთ საჯარიმოს აგდებს... ეს უკვე გამარჯვებაა. ევროსარბიელზე „ბასკომ" თავის დებიუტი სამი მოგებით აღნიშნა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

### მატჩის შემდეგ

*იური ნეისარი, „დელტას" მთავარი მწვრთნელი:* ძალიან მძიმე და საინტერესო მატჩი იყო. მარცხის მიუხედავად კმაყოფილი დავრჩი. ჩვენი ლიდერი ტარმო კიკერპილი ტურის პირველ შეხვედრაში მიღებული ტრავმის გამო, რომ არ გამოგვკლებოდა... ბოლოსკენ ავირიეთ, როცა მოედანზე ტანმაღალი მოთამაშეები აღარ დაგვრჩა. „ბასკოს" გამარჯვებაში, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი წვლილი ქარაბაკს მიუძღვის.

*ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი:* მიჭირს ცხელ გულზე თამაშის ანალიზის გაკეთება. ყველაფერს ოდნავ მოგვიანებით ავწონ-დავწონით. ახლა კი მიხარია და ამას ვერ ვმალავ. სამივე თამაში მოვიგეთ. ბელარუსის და ესტონეთის ჩემპიონები დავამარცხეთ. დავწმუნდით, რომ დაცვაში თამაში შეგვძლებია და მომატების პოტენციალიც არსებობს. თავდასხმაში მოვიკოჭლებთ, ქაოსურად ვმოქმედებთ. ამ ნაკლის გამოსწორებაზე უნდა ვიფიქროთ.

**გროდნო 92:70 ნიბიტი**

21:12, 22:11, 30:19, 19:28

გროდნო: ჟარმუხამედოვი (9), საფრონოვი (20), კვაშჩუკი (7), პრიიმა (16), კლემეზი (12), კორშუკი (9), კრიშჩიკი (2), ბესმერტნი (3), პინტიკოვი (10), ვასილევკო (4), შარკო, კაჩანი

ნიბიტი: ვარბლანე (14), ტუისკი (2), სუროოგი (7), რეინბოკი (6), ტაგამეტსი (10), ლიპსი (8), ლინასი (7), ედვარდსი (8), ჰენდრიკსონი (8)

მსაჯები: ა. ოზოლსი (ლატვია), ზ. მაჩალაძე (საქართველო)

კომისარი: მ. ქურიძე (საქართველო)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 3 | 3 | 0 | 241:205 | 6 |
| გროდნო-93 | 3 | 2 | 1 | 240:215 | 5 |
| დელტა | 3 | 1 | 2 | 223:225 | 4 |
| ნიბიტი | 3 | 0 | 3 | 182:241 | 3 |

*პირველი დღის საუკეთესო მოთამაშე:* ჯეფ როჯერსი (ბასკო), *მეორე დღის საუკეთესო მოთამაშე:* ვახტანგ ნაცვლიშვილი (ბასკო), *მესამე დღის საუკეთესო მოთამაშე:* ლევან ქარაბაკი (ბასკო).

*ტურის საუკეთესო მოთამაშე:* ჯეფ როჯერსი

## არც შევცდით, არც ვნანობთ

*ბათუმურ ტურზე NEBL-ის ოფიციოზს ლიგის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ლიუდას რიმკუსი წარმოადგენდა. მისი კომენტარი:*

— ვფიქრობ, ყველა დარწმუნდა, რომ არ შევცდით, როდესაც „ჩელენჯ კაპის" ერთ-ერთი ტურის მასპინძლად ბათუმი ავირჩიეთ. აქ კალათბურთის ზეიმს შევესწარით, რომლის მშვენება „ბასკოს" და „დელტას" მატჩი გახლდათ. ტური მშვენივრად იყო ორგანიზებული. ნამდვილად არ ვნანობთ, რომ „ბასკოს" მესვეურებს, კერძოდ ბატონ მერაბ ემირიძეს ვენდეთ და საქართველოში ჩამოვიყვანეთ გუნდები.

**— ბათუმს თუ აქვს ახალი ტურის მასპინძლობის შანსი?**

— ეს არარეალურია. საქმე ის არის, რომ ტურების გამართვა ძალიან ბევრ გუნდს და ქალაქს სურს. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ. აი სამომავლოდ კი, რა თქმა უნდა, შეიძლება კვალავაც შევხვდეთ ბათუმში. ამ ქალაქში კალათბურთს აფასებენ.

# სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისი. I დივიზიონი. 33-ე ტური**

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | ბარნსლი-კრისტალ პალასი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.45 | 002 | ბარნლი-ფულემი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 23.45 | 003 | ჯილინგემი-ქუინზ პარკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 004 | ნორვიჩი-სტოკპორტი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.45 | 005 | პრესტონი-ბირმინგემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 006 | შეფილდი-ვულვერჰემპტონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23.45 | 007 | უოტფორდი-ბლექბერნი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 008 | ვესტ ბრომვიჩი-ქრიუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 009 | ვესტ ბრომვიჩი-ქრიუ 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24.00 | 010 | ბოლტონი-გრიმსბი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 011 | ბოლტონი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 012 | ნოტინგემი-უენსდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**ინგლისი. II დივიზიონი. 33-ე ტური**

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 013 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.45 | 014 | კოლჩესტერი-ბერი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 015 | ნორთჰემპტონი-მილუოლი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23.45 | 016 | ოლდემი-რედინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 017 | ოქსფორდი-სტოკ სიტი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 23.45 | 018 | პიტერბრო-უიგანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 23.45 | 019 | პორტვეილი-კემბრიჯი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 020 | როტერჰემი-რექსჰემი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 021 | სუონსი-ნოთსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 022 | სუინდონი-ბორნმუთი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 023 | უოლსოლი-ლეიტონი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**ინგლისი. III დივიზიონი. 33-ე ტური**

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 024 | დარლინგტონი-ჩელტენემი | 2,3 | 3,0 | 3,9 |
| 23.30 | 025 | ჰარტლპული-ტორკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 026 | ჰარტლპული-ტორკი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.30 | 027 | სკანთორპი-ლეიტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 028 | ბრაიტონი-ბლექპული | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.45 | 029 | ჩესტერფილდი-კარლაილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 030 | ჩესტერფილდი-კარლაილი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.45 | 031 | ექსეტერი-ბარნეტი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.45 | 032 | ჰალიფაქსი-კარდიფი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.45 | 033 | ჰალი-მენსფილდი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.45 | 034 | კიდერმინსტერი-საუთენდი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 035 | ლინკოლნი-მაკლსფილდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 036 | პლიმუთი-შრიუსბერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.45 | 037 | როჩდეილი-იორკი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი**

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 038 | ფეროლი-ალბასეტე | 2,6 | 2,9 | 2,5 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები**

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 039 | ვოლენდამი-ვენლო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 040 | ვოლენდამი-ვენლო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 041 | ჰერაკლესი-დორდრეხტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 042 | ვეენდამი-ემენი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

**შოტლანდია. გადადებული მატჩები**

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 043 | დანდი-დანფერმლაინი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 044 | აბერდინი-სენტ მირენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 045 | სელტიკი-მოზერუელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 046 | სელტიკი-მოზერუელი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ინგლისი თასის მე-5 ეტაპი. გადათამაშება**

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 047 | ტრანმერი-საუთჰემპტონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.45 | 048 | უიმბლდონი-უიკომბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები**

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 049 | პანაჰაიკი-ირაკლისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 050 | პაოკ-ქსანტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ჩემპიონთა ლიგა. მე-4 ტური**

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | მანჩესტერ იუნაიტედი-ვალენსია | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.45 | 502 | პანათინაიკოსი-შტურმი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 503 | დეპორტივო-გალათასარაი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.45 | 504 | პარი სენ ჟერმენი-მილანი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 505 | სპარტაკი-ბაიერნი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.45 | 506 | არსენალი-ლიონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 507 | ანდერლეხტი-ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.45 | 508 | ლაციო-რეალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**უეფას თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები**

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 509 | ბორდო-რაიო ვალეკანო | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 22.15 | 510 | პარმა-პსვ ეინდჰოვენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.30 | 511 | კაიზერსლაუტერნი-სლავია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 512 | ნანტი-პორტუ | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 24.00 | 513 | ინტერი-ალავესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 24.00 | 514 | ბარსელონა-აეკ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 24.05 | 515 | ლივერპული-რომა | 2,3 | 3,1 | 2,7 |
| 00.45 | 516 | სელტა-შტუტგარტი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**ლიბერტადორესის თასი**

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.10 | 517 | კრუზ ასული (მექსიკა)-დიფენსორი (ურუგვაი) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 05.00 | 518 | კონსეპსიონი (ჩილე)-ნასიონალი (ურუგვაი) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.20 | 519 | როსარიო სენტრალი (არგენტინა)-უნივერსიტარიო (პერუ) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 05.30 | 520 | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-პეტროლერო (ბოლივია) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.20 | 521 | ტაჩირა (ვენესუელა)-პენიაროლი (ურუგვაი) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 03.30 | 522 | ველეზ სარსფილდი (არგენტინა)-ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 04.30 | 523 | ოლიმპია (პარაგვაი)-სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 05.30 | 524 | რივერ პლეიტი (არგენტინა)-სთრონგესტი (ბოლივია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 601 | ბორდო | -5,0 | რაიო ვალეკანო | -1,1 |
| 22.15 | 602 | პარმა | -1,45 | პსვ ეინდჰოვენი | -2,1 |
| 23.30 | 603 | კაიზერსლაუტერნი | -1,15 | სლავია | -4,0 |
| 23.45 | 604 | ნანტი | -2,8 | პორტუ | -1,3 |
| 24.00 | 605 | ინტერი | -1,1 | ალავესი | -5,0 |
| 24.00 | 606 | ბარსელონა | -1,01 | აეკ | -10,0 |
| 24.05 | 607 | ლივერპული | -1,1 | რომა | -5,0 |
| 00.45 | 608 | სელტა | -1,4 | შტუტგარტი | -2,3 |

**1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო**

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 20 თებერვალი | | | | | | | | | |
| 23.45 | 701 | მანჩესტერი-ვალენსია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,0 | 9,0 | 18,0 | 9,0 | 7,0 |
| 23.45 | 702 | პანათინაიკოსი-შტურმი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 8,0 | 18,0 | 9,0 | 7,0 |
| 23.45 | 703 | დეპორტივო-გალათასარაი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,0 | 9,0 | 18,0 | 9,0 | 8,0 |
| 23.45 | 704 | პარი სენ ჟერმენი-მილანი | 4,7 | 10,0 | 15,0 | 5,3 | 4,7 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| | | 21 თებერვალი | | | | | | | | | |
| 23.45 | 705 | სპარტაკი-ბაიერნი | 5,0 | 9,0 | 15,0 | 5,0 | 4,0 | 5,0 | 15,0 | 9,0 | 5,0 |
| 23.45 | 706 | არსენალი-ლიონი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 2,8 | 5,0 | 10,0 | 18,0 | 9,0 | 10,0 |
| 23.45 | 707 | ანდერლეხტი-ლიდსი | 4,0 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,7 | 6,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 708 | ლაციო-რეალი | 3,0 | 10,0 | 18,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 15,0 | 10,0 | 6,0 |
| | | 22 თებერვალი | | | | | | | | | |
| 21.00 | 709 | ბორდო-რაიო ვალეკანო | 2,1 | 12,0 | 22,0 | 3,0 | 5,0 | 9,0 | 18,0 | 10,0 | 8,0 |
| 22.30 | 710 | პარმა-პსვ ეინდჰოვენი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 2,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 9,0 | 12,0 |
| 23.00 | 711 | კაიზერსლაუტერნი-სლავია | 1,6 | 12,0 | 30,0 | 2,3 | 5,0 | 12,0 | 22,0 | 10,0 | 12,0 |
| 23.00 | 712 | ნანტი-პორტუ | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 8,0 | 18,0 | 9,0 | 7,0 |
| 23.30 | 713 | ინტერი-ალავესი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 2,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 9,0 | 12,0 |
| 23.30 | 714 | ბარსელონა-აეკ | 1,5 | 15,0 | 35,0 | 2,0 | 5,6 | 18,0 | 20,0 | 12,0 | 15,0 |
| 24.00 | 715 | ლივერპული-რომა | 4,0 | 10,0 | 15,0 | 4,7 | 5,0 | 5,0 | 15,0 | 10,0 | 4,4 |
| 01.30 | 716 | სელტა-შტუტგარტი | 2,2 | 12,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 8,0 | 16,0 | 10,0 | 6,5 |

**კალათბურთი**

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.00 | 801 | ტორონტო-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.00 | 802 | ვაშინგტონი-ვანკუვერი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 04.30 | 803 | ორლანდო-ფინიქსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.00 | 804 | ნიუ იორკი-მაიამი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 05.30 | 805 | დალასი-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 806 | ჩიკაგო-მილუოკი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 05.30 | 807 | ჰიუსტონი-ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.00 | 808 | პორტლენდი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 809 | საკრამენტო-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 810 | ფილადელფია-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 811 | კლივლენდი-კლიპერსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 812 | დეტროიტი-ნიუ იორკი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 813 | მაიამი-ფინიქსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 814 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 815 | მინესოტა-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 816 | სან ანტონიო-ლეიკერსი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.00 | 817 | სიეტლი-დენვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 818 | ვაშინგტონი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 04.30 | 819 | შარლოტი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 820 | პორტლენდი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 821 | დალასი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 822 | ჩიკაგო-კლიპერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 823 | ეფესი-ირაკლისი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 824 | ვილერბანი-რაანანა | 1,1 | 12,0 | 5,0 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 825 | ცსკა-ალბა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 826 | პლანია-სკავოლინი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 21.00 | 827 | ცეპტერი-ლიეტუვოს რიტასი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.00 | 828 | მაკაბი-კრკა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 829 | სიენა-სპლიტი | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| 23.30 | 830 | ბაიერი-პო ორტეზი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 23.30 | 831 | პანათინაიკოსი-ულქერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 832 | ოსტენდე-პარტიზანი | 1,9 | 12,0 | 1,5 |

**კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები**

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 833 | ოლიმპიაკოსი-ტაუ | 1,15 | 12,0 | 4,0 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 834 | ფორტიტუდო-რეალი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 835 | კინდერი-ოლიმპია | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 836 | აეკ-ბენეტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |

**ჰოკეი**

20 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 901 | ტამპა ბეი-სენტ ლუისი | 3,0 | 4,0 | 1,6 |
| 05.00 | 902 | ნეშვილი-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 05.30 | 903 | ედმონტონი-ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 07.30 | 904 | სან ხოსე-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 | 5,6 |

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 905 | პიტსბურგი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 906 | ვაშინგტონი-ნეშვილი | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 04.00 | 907 | კაროლინა-ატლანტა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 908 | მონრეალი-ვანკუვერი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 05.30 | 909 | ჩიკაგო-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 05.30 | 910 | დალასი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 06.00 | 911 | ფინიქსი-კოლუმბუსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 07.00 | 912 | კოლორადო-ბოსტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 07.30 | 913 | ანაჰაიმი-სან ხოსე | 3,0 | 4,0 | 1,6 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 914 | ოტავა-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 915 | აილენდერსი-ფილადელფია | 3,0 | 4,0 | 1,6 |
| 04.30 | 916 | ტორონტო-ვანკუვერი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 917 | ნიუ ჯერსი-ბუფალო | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 07.00 | 918 | კალგარი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**ხუთშაბათს, 22 თებერვალს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

## ჩოგბურთი

**მარსელის (საფრანგეთი)**
**ღია პირველობა. დარბაზი, ხალიჩა**
**საპრიზო 500 ათასი $**

მეოთხედფინალი: **ივგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) — სედრიკ პიოლინი (5, რუსეთი) 7:5, 6:7 (5:7), 6:2; **სებასტიან გროჟანი** (4, საფრანგეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:3, 6:3; **როჯერ ფედერერი** (6, შვეიცარია) — მიხალ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:4, 7:6 (7:4); **მაქს მირნი** (ბელარუსი) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 6:2, 6:3
ნახევარფინალი: **კაფელნიკოვი** — ფედერერი 6:7 (4:7), 6:4, 6:4; **გროჟანი** — მირნი 6:4, 7:6 (9:7)
ფინალი: **კაფელნიკოვი** — გროჟანი 7:6 (7:5), 6:2

**კოპენჰაგენის (დანია)**
**ღია პირველობა. დარბაზი, ხალიჩა**
**საპრიზო 350 ათასი $**

მეოთხედფინალი: **ტიმ ჰენმანი** (1, ინგლისი) — ბოგდან ულირახი (7, ჩეხეთი) 6:3, 6:4; **ანდრეას ვინსიგერა** (4, შვედეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:2, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 4:6, 7:6 (7:3), 7:6 (7:2); **იან სიმერინკი** (ჰოლანდია) — სესილ მემიტი (აშშ) 6:4, 6:7 (6:8), 6:3
ნახევარფინალი: **ჰენმანი** — სიმერინკი 6:3, 7:6 (7:3); **ვინსიგერა** — იუჟნი 7:5, 2:6, 6:3
ფინალი: **ჰენმანი** — ვინსიგერა 6:3, 6:4

**ვინია დელ მარი (ჩილე)**
**შევროლეს თასი. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

მეოთხედფინალი: **გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — ფრანსისკო კლავეტი (5, ესპანეთი) 6:1, 6:0; **გილერმო კორია** (არგენტინა) — ფელისიანო ლოპესი (ურუგვაი) 6:7 (5:7), 6:2, 7:5; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:1; **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) — დევიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 6:3, 6:4
ნახევარფინალი: **გაუდიო** — პორტასი 6:2, 2:6, 6:3; **კორია** — ზაბალეტა 4:6, 6:3, 6:1
ფინალი: **კორია** — გაუდიო 4:6, 6:2, 7:5

**ნიცა (საფრანგეთი)**
**TERAZURA 2001**
**დარბაზი, ხალიჩა.**
**საპრიზო 565 ათასი $**

მეოთხედფინალი: **ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 7:6 (7:2); **მაგდალინა მალეევა** (ბულგარეთი) — ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) 6:3, 6:3; **ანკე ჰუბერი** (5, გერმანია) — სილვია ფარინა (იტალია) 6:2, 6:2; **ამელი მორესმო** (7, საფრანგეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:3
ნახევარფინალი: **მალეევა** — უილიამსი 7:6 (10:8), 6:4; **მორესმო** — ჰუბერი 2:6, 6:1, 6:1
ფინალი: **მორესმო** — მალეევა 6:2, 6:0

**დოჰა. ყატარის ღია პირველობა.**
**ქალთა საპრიზო 170 ათასი $**

მეოთხედფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ჯოანეტ კრუგერი (8, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (3, საფრანგეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (6, სლოვაკეთი) 6:3 — ტრავმა; **ბარბარა შეტი** (4, ავსტრია) — ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) 6:3, 6:4; **ადრიანა გერში** (ჩეხეთი) — კრისტი ბუგერტი (ჰოლანდია) 6:1, 3:6, 6:4
ნახევარფინალი: **ჰინგისი** — შეტი 6:1, 6:2; **ტესტიუ** — გერში 6:1, 6:1
ფინალი: **ჰინგისი** — ტესტიუ 6:3, 6:2

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

16 თებერვალი

**ედმონტონი 2:4 აილენდერსი (0:0 1:2 1:2)**
0:1 ჰამრლიკი 34(11), 1:1 კლირი 36(8), 1:2 კოლნიკი 39(1), 2:2 რ. სმიტი 42(22), 2:3 ლაპოინტი 54(6), 2:4 ლაპოინტი 60(7)

**დალასი 3:2 ანაჰაიმი (1:1 0:0 1:1 1:0)**
1:0 ჰოგი 1(2), 1:1 ტვერდოვსკი 8(9), 2:1 მოდანო 45(21), 2:2 ტრეპანიე 51(4), 3:2 ჰეჩერი 62(2)

**ფლორიდა 2:1 ბოსტონი (2:0 0:1 0:0)**
1:0 კოზლოვი 9(9), 2:0 ბურე 20(39), 2:1 გერინი 34(30)

**ჩიკაგო 6:2 სენტ ლუისი (2:0 1:1 3:1)**
1:0 ამონტე 10(29), 2:0 დაზე 15(19), 2:1 იანგი 31(28), 3:1 ჰერპერგერი 33(7), 4:1 სალივანი 46(28), 5:1 ნიულანდერი 48(16), 6:1 კოლდერი 49(2), 6:2 იანგი 56(29)

**ნეშვილი 0:2 სან ხოსე (0:1 0:1 0:0)**
0:1 მარლო 7(22), 0:2 სუტერი 24(9)

**მინესოტა 0:4 ლოს ანჯელესი (0:1 0:2 0:1)**
0:1 შნაიდერი 12(15), 0:2 პალფი 35(26), 0:3 რობიტაილი 38(28), 0:4 ემერსონი 52(9)

**დეტროიტი 4:2 კოლუმბუსი (0:0 2:0 2:2)**
1:0 კოზლოვი 33(12), 2:0 შენაჰანი 38(19), 2:1 ქუინსი 43(1), 3:1 კოზლოვი 49(13), 3:2 ჰაინცი 59(17), 4:2 მაკარტი 60(11)

**ნიუ ჯერსი 4:4 პიტსბურგი (1:1 2:2 1:1 0:0)**
1:0 სიკორა 6(23), 1:1 ნორტონი 7(1), 2:1 კასპარაიტისი 26(1), 3:2 ბრილინი 33(18), 3:3 ტიბეტსი 34(1), 3:4 ლემიე 45(20), 4:4 არნოტი 56(11)

**კაროლინა 0:2 ფინიქსი (0:0 0:1 0:1)**
0:1 ტკაჩუკი 34(25), 0:2 სალივანი 60(5)

17 თებერვალი

**ფილადელფია 5:1 ატლანტა (0:0 1:0 4:1)**
1:0 განიე 35(15), 2:0 ფედოტენკო 42(12), 3:0 ტერიენი 44(2), 3:1 გუოლა 49(9), 4:1 განიე 50(26), 5:1 რეკი 54(18)

**ედმონტონი 5:6 ვანკუვერი (2:2 2:2 1:1 0:1)**
0:1 ჰ. სედინი 1(7), 0:2 სტეპლტონი 9(2), 1:2 მარჩანტი 11(8), 2:2 მიურეი 12(10), 2:3 ნესლუნდი 27(32), 3:3 ულანოვი 29(3), 3:4 ლაშანსი 37(2), 4:4 უეიტი 40(15), 4:5 მორისონი 52(12), 5:5 გრირი 56(14), 5:6 მორისონი 61(13)

**კოლუმბუსი 2:3 პიტსბურგი (1:0 0:1 1:1 0:1)**
1:0 კრონი 1(4), 1:1 ლანგი 34(22), 2:1 დაინინი 48(7), 2:2 ლანგი 60(23), 2:3 კოვალიოვი 62(34)

**ტამპა 4:5 რეინჯერსი (1:2 1:1 2:2)**
0:1 ნედვედი 1(20), 0:2 ნედვედი 6(21), 1:2 ბარნაბი 10(3), 2:2 მოდინი 26(27), 2:3 ჰლავაჩი 26(23), 2:4 დვორჟაკი 43(16), 3:4 ეკმანი 54(4), 3:5 ნედვედი 59(22), 4:5 მოდინი 60(28)

**ბუფალო 5:1 ნიუ ჯერსი (1:1 3:0 1:0)**
0:1 დაჟენე 1(1), 1:1 შატანი 19(20), 2:1 რეი 24(4), 3:1 შატანი 31(2), 4:1 აფინოგენოვი 34(13), 5:1 ვული 55(2)

**ტორონტო 5:5 კოლორადო (2:0 3:3 0:2 0:0)**
1:0 იუშკევიჩი 8(5), 2:0 სუნდინი 16(20), 2:1 ტანგუი 24(22), 2:2 ტანგუი 29(23), 3:2 პერო 30(16), 4:2 პერო 30(17), 4:3 დედმარში 31(10), 5:3 კაბერლე 33(5), 5:4 დედმარში 46(11), 5:5 დრური 54(17)

**მონრეალი 3:6 ვაშინგტონი (1:3 0:2 2:1)**
0:1 ჰალპერნი 9(11), 0:2 ბონდრა 13(35), 1:2 რობიდასი 17(5), 1:3 ჰალპერნი 20(12), 1:4 კონოვალჩუკი 28(18), 1:5 სიმონი 39(10), 2:5 კილგერი 51(12), 3:5 ზუმბრუსი 52(12), 3:6 დალენი 60(12)

18 თებერვალი

**კაროლინა 5:4 ბოსტონი (0:0 2:2 3:2)**
1:0 უილისი 25(12), 2:0 ონილი 12(29), 2:1 ელისონი 37(24), 2:2 გერინი 40(31), 3:2 ბრინდამორი 52(13), 3:3 როლსტონი 56(11), 4:3 ვასიჩეკი 58(8), 5:3 მალიკი 60(5), 5:4 მაკლარენი 60(4)

**ჩიკაგო 3:0 ლოს ანჯელესი (0:0 2:0 1:0)**
1:0 დაზე 29(20), 2:0 ამონტე 39(30), 3:0 ნიულანდერი 60(19)

**დალასი 1:2 დეტროიტი (1:1 0:0 0:1)**
1:0 ნუინდაიკი 7(21), 1:1 ლიდსტრიომი 15(9), 1:2 ჰოლმსტრიომი 46(7)

**ფინიქსი 1:4 კალგარი (0:4 0:1 1:2)**
0:1 ვ. ბურე 5(19), 0:2 იგინლა 34(21), 0:3 იგინლა 41(22), 1:3 ტკაჩუკი 45(26), 1:4 შანცი 60(5)

**მინესოტა 3:1 სან ხოსე (0:1 2:0 1:0)**
0:1 შტურმი 5(11), 1:1 ლააქსონენი 30(10), 2:1 პელერინი 35(10), 3:1 ბლუენი 51(1)

**ოტავა 4:0 მონრეალი (0:0 2:0 2:0)**
1:0 ბონკი 28(16), 2:0 მაკიჩერნი 35(21), 3:0 ალფრედსონი 51(14), 4:0 ბონკი 50(17)

**ვანკუვერი 3:2 აილენდერსი (1:0 1:1 1:1)**
1:0 კუკი 7(12), 2:0 ნესლუნდი 29(33), 2:1 კონოლი 38(7), 2:2 კ. იუნსონი 43(3), 3:2 ბერონი 46(3)

**ნეშვილი 3:2 ტამპა (0:1 1:1 2:0)**
0:1 სენტ ლუისი 16(11), 1:1 ჩელბერგი 31(11), 1:2 ეკმანი 36(5), 2:2 უოკერი 52(18), 3:2 ვალიჩევიჩი 52(8)

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 58 | 33 | 8 | 2 | 15 | 188:141 | 76 |
| ბუფალო | 58 | 30 | 5 | 1 | 22 | 154:135 | 66 |
| ტორონტო | 60 | 26 | 10 | 4 | 20 | 179:151 | 66 |
| ბოსტონი | 59 | 25 | 6 | 5 | 23 | 155:173 | 61 |
| მონრეალი | 60 | 20 | 5 | 4 | 31 | 149:174 | 49 |
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 59 | 31 | 9 | 1 | 18 | 181:160 | 72 |
| ნიუ ჯერსი | 58 | 28 | 12 | 3 | 15 | 197:146 | 71 |
| პიტსბურგი | 58 | 29 | 7 | 2 | 20 | 191:178 | 67 |
| რეინჯერსი | 58 | 24 | 4 | 1 | 29 | 182:204 | 53 |
| აილენდერსი | 59 | 15 | 5 | 3 | 36 | 132:187 | 38 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 59 | 29 | 10 | 1 | 19 | 168:152 | 69 |
| კაროლინა | 57 | 25 | 7 | 3 | 22 | 149:157 | 60 |
| ატლანტა | 59 | 18 | 9 | 2 | 30 | 161:207 | 47 |
| ფლორიდა | 59 | 16 | 8 | 7 | 28 | 136:175 | 47 |
| ტამპა | 60 | 15 | 5 | 3 | 37 | 147:217 | 38 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 58 | 37 | 7 | 2 | 12 | 193:129 | 83 |
| დეტროიტი | 60 | 35 | 5 | 4 | 16 | 174:151 | 79 |
| ნეშვილი | 61 | 25 | 7 | 2 | 27 | 144:155 | 59 |
| ჩიკაგო | 59 | 24 | 5 | 3 | 27 | 161:169 | 56 |
| კოლუმბუსი | 59 | 18 | 7 | 5 | 29 | 131:174 | 48 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 59 | 36 | 9 | 2 | 12 | 189:140 | 83 |
| ვანკუვერი | 59 | 30 | 5 | 5 | 19 | 188:174 | 70 |
| ედმონტონი | 61 | 26 | 9 | 2 | 24 | 164:170 | 63 |
| კალგარი | 58 | 21 | 11 | 4 | 22 | 148:165 | 57 |
| მინესოტა | 58 | 22 | 8 | 3 | 25 | 127:137 | 55 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 58 | 32 | 10 | 0 | 16 | 162:126 | 74 |
| დალასი | 59 | 33 | 5 | 1 | 20 | 159:139 | 72 |
| ფინიქსი | 59 | 27 | 12 | 2 | 18 | 150:139 | 68 |
| ლოს ანჯელესი | 59 | 25 | 8 | 1 | 25 | 194:182 | 59 |
| ანაჰაიმი | 60 | 16 | 8 | 5 | 31 | 139:185 | 45 |

## რაგბი

### „ექვსი ერის ჩემპიონატი"
II ტური. 17 თებერვალი

**ინგლისი 80:23 იტალია**
ინგლისი: ბოლშოუ, ა. ჰილი, გრინვუდი, კეტი, კოენი (რობინსონი); უილკინსონი, დოუსონი (ბრაკენი); ლენარდი (ვუდმენი), ვესტი (რიგანი), ვაიკერი, ჯონსონი, გრიუკოკი (კორი), რ. ჰილი, დალალიო, ბეკი (უორსლი)
10 ლ: ა. ჰილი (2), ბოლშოუ (2), კოენი, რიგანი, უორსლი, გრინვუდი, უილკინსონი, დალალიო; 9 გ: უილკინსონი; 4 ს: უილკინსონი
იტალია: სკანავაკა, მარტინი, სტოიკა, პოცებონი (რივარო), დალანი; რაინერი, კერიოლო; ლო ჩიკერო, მოსკარდი, მურარო, გრიტი, ვიზერი, კაიონე (დალ მაზო), კეკინატო, ბერგამასკო
2 ლ: დალანი, კეკინატო; 2 გ: სკანავაკა; 3 ს: სკანავაკა

**ირლანდია 22:15 საფრანგეთი**
ირლანდია: დემპსი, ჰიკი, ოდრისკოლი, ჰენდერსონი (მეგსი), ჰაუი; ოგარა, სტრინგერი; კლოჰესი (ბირნი), ვუდი, ჰეიესი, გოლვეი (ლონგველი), ოკელი, ქვინლანი (უარდი), ფოლი, უოლესი
1 ლ: ოდრისკოლი; 1 გ: ოგარა; 5 ს: ოგარა
საფრანგეთი: გარბაჟოზა, ბერნა-სალი, კომბა, დურთი, ბორი (დომინისი); ლამეზონი, კარბონო; მარკონე (კალიფანო), იბანესი, დე ვიიე, ორადუ (ბენაზი), პელუ, მონი, [illegible]
2 ლ: პელუ, ბერნა-სალი; 1 გ: [illegible]; 1 ს: [illegible]

**შოტლანდია 28:28 უელსი**
შოტლანდია: პატერსონი ([illegible]), [illegible], მაკლარენი, ჯ. ლესლი, ლოგანი; ჰოჯი, ნიკოლი; სმიტი, ბალოკი, სტიუარტი, ს. მიურეი, მეტკალფი, მ. ლესლი, პეტრი, პუტნი
3 ლ: პატერსონი, მაკლარენი, სმიტი; 2 გ: ლოგანი, ჰოჯი; 3 ს: ლოგანი
უელსი: რ. უილიამსი, ჯონსი, ტეილორი, გიბსი, ჯეიმსი; ჯენკინსი, ჰაული (მუნი); მორისი, მაკბრაიდი, იანგი (ჯონი), გაფი (კ. ქვინელი), მური, ჩერვისი, ს. ქვინელი, მ. უილიამსი
1 ლ: ტეილორი; 1 გ: ჯენკინსი; 4 ს: ჯენკინსი; 3 ა: ჯენკინსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 124:38 | 4 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 63:37 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 31:28 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 34:44 | 1 |
| უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 43:72 | 1 |
| იტალია | 2 | 0 | 0 | 2 | 45:121 | 0 |

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

16 თებერვალი

**ნიუ იორკი 114:104 ნიუ ჯერსი**
ნიუ იორკი: ვორდი (10), ჰიუსტონი (31), სპრიუელი (22), ჯონსონი (18), კემბი (8); რაისი (15), ტომასი (8), ჩაილდსი (2)
ნიუ ჯერსი: მარბერი (28), ჰარისი (14), ვან ჰორნი (2), მარტინი (8), ემმეიერი (2); ნიუმენი (24), ვილიამსი (11), ჯეკსონი (9), ფეიკი (6), დუგლასი

18 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 102:96 კლიპერსი**
(ძირითადი დრო 92:92)
ნიუ ჯერსი: მარბერი (33), ჰარისი (18), ვან ჰორნი (14), მარტინი (10), ემმეიერი (7); ვილიამსი (9), ნიუმენი (7), ჯეკსონი (3), ფეიკი (1)
კლიპერსი: მაკინისი (10), პიატკოვსკი (4), ოდომი (34), პარქსი (13), ოლოვოკანდი (4); რიჩარდსონი (15), დულინგი (5), მეჯიტი (4), მილზი (3), რუქსი (2), სტრონგი (2)

„ნიუ ჯერსი ნეთსის" ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია არც პარასკევს „ნიუ იორკთან" და არც კვირას „კლიპერსთან" წუთითაც არ გამოჩენილა მოედანზე, მისმა გუნდმა კი ამ ორი თამაშიდან ერთში იმარჯვა, მეორეში კი მარცხი იგემა.

ორივე შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა. „ნიუ ჯერსი" მასზე ბევრად ღონიერ თანაქალაქელს „ნიკერბოკერსს" რომ მოუგებდა, ეს ალბათ თავად „ბადეებს" არ სწამდათ და აკი დათმეს კიდეც მეზობელთან. ორი დღის შემდეგ კი მართალია გაჭირვებით, მაგრამ ოვერტაიმში მაინც სძლიეს უხეირო „კლიპერსს" და ამით სამმატჩა წაგებების სერია შეწყვიტეს.

პარასკევის შეხვედრა „მედისონ სკვერ გარდენში" თავმოყრილი ოცი ათასი კაცის ღრიალით შემკრთალმა „ბადეებმა" არცთუ რიგიანად დაიწყეს, საწყისი მეოთხედი 18:27 დათმეს და მთელი დარჩენილი დრო ამ დეფიციტის აღმოფხვრას ამაოდ შეალიეს. მასპინძელთა ოლსტარელმა ლიდერებმა — ალან ჰიუსტონმა და ლატრელ სპრიუელმა სულ იოლად დაგლიჯეს სტუმართა დაცვითი ბადეები და საბოლოოდ მასპინძლებმა სეზონში სარეკორდო, 114 ქულას მოუყარეს თავი.

კვირას გამართული შეხვედრის დებიუტი ბევრად ჰგავდა ორი დღის წინანდელს. „ნეთსმა" ულიმღამოდ დაიწყო და საწყისი მეოთხედის 12:25 წაგებით დაისაჯა. თუმც ამ სუსტ მეტოქესთან სხვაობის დაფარვა არც ისე გაუჭირდა. ბოლო მეოთხედის წინ „ნიუ ჯერსიმ" ხელთ იგდო ინიციატივა და ოთხი ქულით დაწინაურდა, თუმც ამან მასპინძლები ზედმეტ წვალებას ვერ გადაარჩინა. „კლიპერსის" ლიდერმა ლამარ ოდომმა თავისი კარიერის სარეკორდო 34 ქულიდან 16 ბოლო მეოთხედში მიითვალა. მისმა სამქულიანმა „კლიპერსი" მეოთხედის დამთავრებამდე 27 წამით ადრე 91:88 დააწინაურა, თუმც სტუმრებს დიდხანს არ დასცალდათ ლიდერობით ტკბობა. მასპინძელმა ლუციუს ჰარისმა ორი საჯარიმოთი მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა. და აქ „ნიუ ჯერსი" კინაღამ დაიღუპა: ნიუმენი სტუმარ ერიკ პიატკოვსკიზე დაჯარიმდა, რომელიც თავის გუნდში საჯარიმოებს ყველაზე უკეთ ესვრის. მასპინძელთა ბედად, პიატკოვსკიმ მეორე საჯარიმო ააცილა, რომელიც მასპინძელმა კეიტ ვან ჰორნმა მოხსნა, შემდეგ კი ჩააგდო და 92:92 გაათანაბრა.

ოვერტაიმი „ნიუ ჯერსისა" იყო. „ნეთსის" ლიდერმა სტივენ მარბერიმ ზედიზედ ოთხი ქულა მოიმკო, „ნეთსი" 96:92 დაწინაურდა და ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა.

16 თებერვალი

**გოლდენ სტეიტი 79:92 ვანკუვერი**
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (21)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (28)

**საკრამენტო 117:84 დენვერი**
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (29)
დენვერი: ლენარდი (23)

**მინესოტა 85:91 სან ანტონიო**
მინესოტა: გარნეტი (31)
სან ანტონიო: დანკანი (26)

**შარლოტი 94:99 ლეიკერსი**
შარლოტი: მაშბურნი (26)
ლეიკერსი: ონილი (38), ბრაიანტი (25 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი)

**ორლანდო 108:93 ჰიუსტონი**
ორლანდო: მაკგრეიდი (35)
ჰიუსტონი: მობლი (31)

**ფილადელფია 108:93 კლიპერსი**
ფილადელფია: აივერსონი (42)
კლიპერსი: პიატკოვსკი (19)

17 თებერვალი

**სიეტლი 94:101 ატლანტა**
სიეტლი: პეიტონი (21)
ატლანტა: ტერი (28)

**პორტლენდი 81:85 ბოსტონი**
ბოსტონი: უოლკერი (28)
პორტლენდი: ვოლესი (23)

**ჰიუსტონი 92:80 კლივლენდი**
ჰიუსტონი: ფრენსისი (35)
კლივლენდი: მილერი (29)

**მილუოკი 93:103 შარლოტი**
მილუოკი: ალენი (30)
შარლოტი: მაშბურნი (32)

**ჩიკაგო 89:82 მაიამი**
ჩიკაგო: მერსერი (27)
მაიამი: გრანტი (20)

**დალასი 112:105 ვაშინგტონი**
დალასი: ფინლი (26)
ვაშინგტონი: ჰოვარდი (27)

18 თებერვალი

**საკრამენტო 90:94 იუტა**
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (27)
იუტა: მარშალი (31)

**ინდიანა 110:109 ლეიკერსი**
ინდიანა: მილერი (33)
ლეიკერსი: ონილი (35), ბრაიანტი (33)

**მინესოტა 102:110 ვანკუვერი**
მინესოტა: გარნეტი (16)
ვანკუვერი: დიკერსონი (24)

**ორლანდო 96:88 ნიუ იორკი**
ორლანდო: მაკგრეიდი (32)
ნიუ იორკი: ჯონსონი (25)

**დენვერი 98:101 ვაშინგტონი**
დენვერი: მაკდაიესი (29)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (29)

**გოლდენ სტეიტი 91:98 ატლანტა**
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (37)
ატლანტა: ტერი (38)

**ფილადელფია 104:98 ფინიქსი**
ფილადელფია: აივერსონი (26)
ფინიქსი: კიდი (22)

**ტორონტო 74:92 სან ანტონიო**
ტორონტო: პეტერსონი (14)
სან ანტონიო: დანკანი (20)

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაუგრძნობს მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატს ცისანა ნიკოლაიშვილს **დედის** გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს კოლეგას, მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატს ცისანა ნიკოლაიშვილს **დედის** გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაეჯახე და გადათელე!

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური. 17 თებერვალი

## საქართველო 36:12 პორტუგალია

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 7 ათასი მაყურებელი

**საქართველო:** ხამაშურიძე, ლაბაძე, ზიბზიბაძე, ალანია (ხეხელაშვილი 41), კაცაძე (ურჯუკაშვილი 60); ჯიმშელაძე, აბუსერიძე; მთიულიშვილი (რატიანიძე 48), შველიძე (გიორგაძე 48), ცაბაძე (კაპ), ნადირაძე, დიდებულიძე, ბოლღაშვილი, იაშვილი (აბაშიძე 73) ზედგენიძე

**ნლ:** ზედგენიძე (2, 25), აბუსერიძე (38), ზიბზიბაძე (57, 72), ბოლღაშვილი (59); **3გ:** ჯიმშელაძე (38, 57, 59)

**პორტუგალია:** მატეუში, ლამაში (კუნია 65), სოუზა, კინგი, სალდანია; მელეირუ (ფერია 76), პისარა (კაპ); ვ. დე სილვა, ფერეირა, ა. დე სილვა (ბენედიტუ 51), ვიეირა (გრენიუ 76), სომერი, გონსალვეში, უვე (ეიტური 51), კარდოზუ (ფონსეკა 77)

**1ა:** პისარა (6); **3ს:** მელეირუ (17, 30, 47)

**მსაჯები:** სტეფანო მანჩინი, მაურიციო ვანჩინი, პიეტრო რიკარდო ბონო (იტალია)

ᲔᲡᲔᲪ ᲐᲡᲔ. „ევროპის ერთა თასის" მეორე ტურში საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიელი „ლობოსების" ძლევით მეორე გამარჯვება იზეიმა და მორიგი ქულები მიითვალა. ფრანგი კლოდ სორელის მიერ დაწყობილ-დამოძღვრილმა „ბორჯღალოსნებმა" აგერ უკვე მეორედ იმარჯვეს ისე, რომ ლელო არ გაუშვიათ. შეგახსენებთ, პირველ ტურში ჩვენებურებმა სტუმრად ჰოლანდიის ნაკრები გაანადგურეს — 32:3, კვირას კი პორტუგალიაც შავ დღეში ჩააგდეს.

ქართველებმა პორტუგალიელებს აჯობეს იმიტომ, რომ გაცილებით ძლიერები არიან. უფრო ტექნიკურნი, ტაქტიკურად განსწავლულნი, ერთ მუშტად შეკრულნი. პორტუგალიელთა რაობაზე დაბეჯითებით საუბრისგან თავს შევიკავებ და ფაქტებით ვილაპარაკებ. ფაქტი კი ასეთია: „ლობოსებმა" „ერთა თასის" შარშანდელ გათამაშებაში ორადორი გამარჯვება მოიპოვეს, შინ საშუალო დონის ესპანეთი დაამარცხეს, ხოლო ამის შემდეგ მოკრძალებული მაროკო დაიბრიყვეს. „ბორჯღალოსნებთან" მატჩში პორტუგალიელებმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს, არ იგრძნობოდა გუნდური თამაში, სტუმართა უკანახაზელები ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას, თუმც ქართველთა ლელოსთან მოახლოვებულნი „ბორჯღალოსანთა" მარწუხებში ექცეოდნენ. ერთადერთი კომპონენტი, რომელშიც სტუმრებმა გვაჯობეს, ის იყო, რომ ჩვენი ლელოს სიახლოვეს მასპინძლებს ხშირად აიძულებდნენ, დაჯარიმებულიყვნენ. მაგრამ აქედანაც რას გამორჩნენ — გონსალუ მელეირუმ მხოლოდ სამჯერ გაიტანა საჯარიმო.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენებურებს წინასწარვე თავი ქუდში ეგულებოდათ და ცალი ხელით გამარჯვებას აპირებდნენ. ასეთმა განწყობამ კი ის განაპირობა, რომ პირველი ტაიმის ერთ მონაკვეთში პორტუგალიელები დაწინაურდნენ, მართალია, ძალიან მცირე ხნით და მინიმალური სხვაობით, მაგრამ მაინც. სორელი იმით უნდა ამაყობდეს, რომ კარგად ორგანიზებული გუნდი ჰყავს, ყველამ თავისი მოვალეობა იცის, ყველა პროფესიონალია და ყველა იბრძვის. საქართველოს ნაკრები ვერმოსაგებად მინდორზე გასულს ნამდვილად არ ჰგავდა.

დასანანი ის იყო, რომ „ბორჯღალოსნები" მოწინააღმდეგის ლელოსთან ხშირად ქმნიდნენ მომენტებს, მაგრამ ვერ იყენებდნენ. ფორვარდებს დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო ზუსტად რომ ემოქმედათ, თავადაც იხეირებდნენ და გულშემატკივარსაც ასიამოვნებდნენ. მართალია, ჩვენებურები დალაგებულად და ორგანიზებულად თამაშობდნენ, მაგრამ იმავდროულად ცხადად ჩანდა, რომ გუნდს რაღაც აკლდა. ამ შემთხვევაში ის „რაღაც" ქართველთა უკანა ხაზის პასიური გარჯა გახლდათ, თანაც ზოგიერთი მორაგბე ბურთს საჭიროზე მეტხანს ათრევდა და ინდივიდუალური თამაშით ერთობოდა.

აგერ უკვე მეორე მატჩია, ამპლუით შერკინების მესამეხაზელი გია ლაბაძე სორელმა გარემარბად განამწესა, ისევე როგორც ვასილ კაცაძე, რომელიც მთელი სანაკრებო კარიერის განმავლობაში შერკინებაში ანაც შუამარბად ირჯებოდა. სორელის ტაქტიკამ სანახევროდ გაამართლა. ლაბაძე ასე თუ ისე ახერხებდა, მარჯვენა ფრთიდან სახიფათოდ დამუქრებოდა მეტოქეს. კაცაძე კი ეპიზოდურად თუ ამწვავებდა თამაშს, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ თანაგუნდელები ნაკლებად ამარაგებდნენ მას პასებით. სამაგიეროდ, ტრადიციულად ძლიერად ითამაშა ჩვენმა მობილურმა და ლონიერმა შერკინებამ. სწორედ მორკინალთა დამსახურებაა ის, რომ ქართველებმა პირველი ორმოცწუთეული თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს.

ნათქვამია, მეორე ტაიმი მწვრთნელისააო. ჩვენებურთა ფრანგმა მესაჭემ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თავის მაღალ კვალიფიკაციაში. მეორე ნახევარში სულ სხვა გუნდი ბურთაობდა. ვერ გეტყვით, რა უთხრა გასახდელში მუსიე კლოდმა თავის შეგირდებს, მაგრამ „ბორჯღალოსნებმა" რომ ბდღვირი ადინეს პორტუგალიელებს, ფაქტია. აქამდე პასიური უკანა ხაზის მოთამაშეები გააქტიურდნენ და ზედიზედ სახიფათოდ შეუტიეს სტუმართა ლელოს. მთელი მეორე ტაიმი ქართველთა კარნახით მიმდინარეობდა, თუმცა გულხელდაკრეფილნი არც „ლობოსები" იყვნენ. შესვენებამდე და მერეც პორტუგალიელები ცდილობდნენ, სოლიდურად არ ჩამორჩენილიყვნენ მეტოქეს, მაგრამ გაუძნელდათ. მთელი ტაიმნახევარი უძალიანდებოდნენ სტუმრები მასპინძლებს, მაგრამ მალე ძალა გამოელიათ და დანებდნენ. ქართველები კი, პირიქით, ფიზიკურად მშვენივრად იყვნენ მომზადებულნი.

სტუმართა რბევა თედო ზიბზიბაძემ დაასრულა. მისი მეორე და მატჩის ბოლო ლელო საიუბილეო, მე-100 იყო „ბორჯღალოსანთა" 13-წლიან და 39-მატჩიან მატიანეში. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ „ლობოსებმა" სირბილით თავი აღარ შეიწუხეს, თუმც საკითხავია, შეეძლოთ კი? ქართველებმა ზონა გაამაგრეს და ერთი-ორი ეპიზოდის გარდა თავიანთ საჯარიმოში ცხვირი აღარ შეაყოფინეს მოწინააღმდეგეს.

საქართველოს ნაკრებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ასეთი თამაშით „ბორჯღალოსნები" სხვებთან შორს ვერ წავლენ. ექვსიდან სამი ლელოს გარდასახვა პორტუგალიასთან შეიძლება საკმარისიც იყოს, მაგრამ რუმინეთი ანაც რუსეთი ამას არ გვაპატიებენ. 4 მარტს საქართველოს ნაკრები კრასნოდარს ეწვევა რთულ და საშიშ მეტოქესთან, რუსეთთან სათამაშოდ. აქედანვე ისე ჩანს, რომ ეს მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იქნება. თუმცა, იმედია, „ბორჯღალოსნები" ორთავა არწივს არ დაეჩაგვრინებიან.

**ბაჩო სვანიძე**

### მატჩის შემდეგ



შეგირდთა თავდადებით კმაყოფილი მომთხოვნი კლოდ სორელი თამაშის ხარისხით უკმაყოფილოა

ბადრი კეთილაძის ფოტო

*ᲔᲕᲐᲜ ᲙᲠᲝᲣᲤᲝᲠᲓᲘ, პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართველები ჩვენზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. თქვენმა შერკინებამ პირწმინდად დაგვჩაგრა. განსაკუთრებით მომეწონა მეათე ნომერი (პალიკო ჯიმშელაძე), რომელიც საზრიანად წარმართავდა ქართველთა იერიშებს. მერვე ნომერსაც (ილო ზედგენიძე) გამოვარჩევ. მან რამდენჯერმე სახიფათოდ შემოგვიტია და საკმაო მანძილიც მოიგო.

— რუმინელები ძალიან ძლიერები არიან. კარპატელებთან ბურთის გატანის არანაირი შანსი არ გვქონდა. თქვენი და რუმინელთა შერკინება თანაბარი ძალისაა. ხოლო უკანა ხაზი რუმინეთს გაცილებით აგრესიული და სწრაფი ჰყავს.

— ჩვენ ვერ შევძელით, დასახული ტაქტიკა მეტოქისთვის თავს მოგვეხვია, რაც, ძირითადად, ბურთის ხელით სწრაფად გათამაშებას ეფუძნება. ეს რომ მოგვეხერხებინა, არა მგონია, ამხელა სხვაობით წაგვეგო.

*ᲚᲣᲘᲨ ᲞᲘᲡᲐᲠᲐ, პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი:*

— შარშანდელ მატჩში გაცილებით უკეთ ვითამაშეთ. მაშინ ტოლსწორად ვეპაექრეთ ქართველებს, დღეს კი მხოლოდ პირველ ტაიმში შევძელით წინააღმდეგობის გაწევა. თქვენი გუნდი კი, როგორც შარშან, დღესაც იმავე ტაქტიკით გვეთამაშა, ეტყობა, ქართველები ძალისმიერ თამაშს ანიჭებთ უპირატესობას, ანუ დაეჯახე და გადათელე.

*ᲙᲚᲝᲓ ᲡᲝᲠᲔᲚᲘ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— მე მომთხოვნი ადამიანი ვარ, ამიტომ დღევანდელი მატჩით უკმაყოფილო გახლავართ. ძალიან ბევრი ტექნიკური ხარვეზი იყო, ჩემი მორაგბეები უწყინარ სიტუაციაში უხეშად ცდებოდნენ. ერთადერთი, რისთვისაც ბიჭებს დღეს შევაქებ, ეს მათი თავდადებაა.

— რაც შეეხება გია ლაბაძისა და ვასილ კაცაძის გარემარბებად გამწესებას, ეს არ არის ტაქტიკა კონკრეტული მატჩისთვის, ამ ამპლუაში მათ გამოყენებას მომავალშიც ვაპირებ.

— ფავორიტები რუმინეთი, რუსეთი და საქართველო არიან, დანარჩენები კი, ჩემი აზრით, ძალიან ჩამოგვრჩნენ.

— ვიდეოფირზე ვნახე რუსების თამაში. რუსეთი კლასიკურ რაგბის თამაშობს და დღითიდღე აშკარად უმატებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ვუფრთხით. მე კარგად ვიცი ჩემი გუნდის ავ-კარგი, კრასნოდარში აუცილებლად მოსაგებად ჩავალთ. სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

*ᲒᲠᲔᲒᲣᲐᲠ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ:*

— ჩემთვის დიდი პატივია საქართველოს ღირსების დაცვა. მე არ მქონია მოწვევა საფრანგეთის ნაკრებიდან და აღარც მექნება, რადგან არჩევანი უკვე გავაკეთე და ამას არც ვნანობ.

*ᲚᲔᲕᲐᲜ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ:*

— პირველ ტაიმში ინდივიდუალური თამაშით გავერთეთ. ყველას ძალიან გვინდოდა, ქართველი გულშემატკივრის თვალწინ თავი გამოგვეჩინა. მეორე ნახევარში კი დავლაგდით, გუნდურად შევუტიეთ და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ.

*მართალია, საქართველოს ნაკრების კაპიტანი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა, მაგრამ მოედნის კიდესთან ხშირად ჩნდებოდა და თანაგუნდელებს სორელის მითითებებს გადასცემდა.*

**— ზურაბ, პირველ ტაიმში, ცოტა არ იყოს, გვანერვიულეთ...**

— თქვენ კი არა, მეც შემეშინდა, მაგრამ შესვენებისას სორელმა თამაშში ცვლილებები შეიტანა და მეორე ტაიმში მეტოქეს არანაირი შანსი აღარ დავუტოვეთ.



ბადრი კეთილაძის ფოტოები

დავიწყე, გავაგრძელე, დავამთავრე: ირაკლი აბუსერიძემ საქართველოს ნაკრების მესამე ლელო გაიტანა

## „ევროპის ერთა თასი“ II ტური. 18 თებერვალი

### პოლანდია 20:41 რუსეთი

**პოლანდია:** ფიხუურსი; ფანდერპოლი, სტრაატი, ზ. ვინკელსი, ლიპსი; დესხუტერი, რამაკერი; ბეილი, საფი, ოტე ფანშირდენი, შუმახერი, კულემანსი, მასტი, კესლერი (შეცვლაზე შევიდნენ: სპრინხერი, ბუი, მეკი, მულიკერი, ბრუიმანსი, იური, დინკლა)
2ლ: ლიპსი, სტრაატი; 2გ: სტრაატი; 2ს: სტრაატი

**რუსეთი:** ზაკარლიუკი, კუზინი, სარიჩევი, ა. სერგეევი, ჟუკოვი; სიმონოვი, მოტორინი; ტრავკინი, ნიკოლაიჩუკი, შუკაილოვი, კლიმენკო, რეჩნიოვი, უამბაევი, შელეპკოვი, გრაჩოვი (შეცვლაზე შევიდნენ: ბიკბოვი, ბორისოვი, ნოვოსიოლოვი, მარჩენკო, რაჩკოვი, ილარიონოვი)
7ლ: ზაკარლიუკი, შელეპკოვი, კუზინი, სერგეევი, უამბაევი, სარიჩევი, ბიკბოვი; 3გ: სარიჩევი

რუსეთის ნაკრებმა ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი მოიგო. „დათვებმა“ ჩვენგან ძლეული ჰოლანდიელები დაიბრიყვეს და შვიდი ლელო გაუტანეს. მართალია, რუსებს ფრანგული „მონტობანის“ მეორეხაზელი სერგეი სერგეევი აკლდათ, მაგრამ მისი არყოფნა გუნდს არ დასტყობია.

თავიდან ლალი ბურთაობა გაჩაღდა. რუსთა დამრტყმელმა ვლადიმერ სიმონოვმა ორი საჯარიმო გააცუდა, მაგრამ სტუმართა მონდომებამ თავისი გაიტანა და შესვენებამდე მათ ხუთჯერ დაალელოვეს მასპინძელი „ტიტები“. ამის შემდეგ რუსები ცოტა მოეშვნენ, მეტოქეს ანგარიშში სხვაობის შემცირების შესაძლებლობა მისცეს და კიდევ ორი ლელოც მიართვეს, თუმც ეს იყო და ეს. მატჩის ბოლოს „ტიტებმა“ პრესტიჟის ლელოლა გაიტანეს.

### ესპანეთი 12:27 რუმინეთი

**ესპანეთი:** ველასკო, ფრეჩია, კოვალენკო, ენსიზო, ვენტურა; მარტინესი, ალონსო ლაერასი (ტორეს მოროტე); სალასარი (დიესი), ბოორკესი (დელაკალე), საპატერო, ტუინეაუ (აბრილი), ვილაუ, სოუტო, ლეონი, მატა
4 ს: კოვალენკო

**რუმინეთი:** მაფტეი, ჩოლაკუ, ბრეზოიანუ, სოლომიე (ოპრია), გიოკი; გურუნესკუ (ტოფანი), მიტუ; დიმა, ბელანი (ფლორია), პოპესკუ, სოკოლი, ტონიცე, იაკობი, მანტა, კოროდიანუ
3 ლ: ბელანი, ბრეზოიანუ, გიოკი; 3 გ: მიტუ; 2 ს: მიტუ

რუმინეთის ნაკრები ესპანელებთან საპაექროდ განსაკუთრებით მოემზადა: მატჩის ადგილზე ერთი კვირით ადრე შეიკრიბა და გვარიანად ივარჯიშა. მოსალოდნელი პრემიების ამბავი რომ შეიტყვეს, მთავარ მწვრთნელ მირჩა პარასკივის საფრანგეთში მოთამაშე გეორგე სოლომიე და გაბრიელ ბრეზოიანუ შემოურიგდნენ. 24 წლის სორინ სოკოლი კი სადებიუტო მატჩს ატარებდა „მუხის ფოთლების“ შემადგენლობაში. ამ ბიჭს ადრეც შეეძლო, თავისი ქვეყნის ღირსება დაეცვა, მაგრამ ბოლო წუთამდე იმის იმედი ჰქონდა, რომ საფრანგეთის ნაკრებში მოხვდებოდა. როცა ფრანგული „ბრივის“ ზორბა ფორვარდმა ეს ვერ შეძლო, ისევ სამშობლოს შეხედა მოწყალე თვალით და რუმინეთის ნაკრების მაისური მოირგო.

ესპანეთმა, რომელმაც პირველ ტურში მადრიდში ერთი ქულით წააგო რუსეთთან, არც ამჯერად დაუდო ტოლი ტურნირის ფავორიტებს. ნატურალიზებული უკრაინელი ანდრეი კოვალენკო ოთხი საჯარიმო დარტყმითაც გაუმასპინძლდა სტუმრებს. თამაშის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ესპანეთი იგებდა კიდეც 12:10, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა. ბრეზოიანუს ლელომ გატეხა მასპინძლები და ორწუთიან მონაკვეთში რუმინელებმა კიდევ ათი ქულა მიითვალეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 74:12 | 4 |
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 68:15 | 4 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 71:49 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 41:57 | 0 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 23:73 | 0 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | 12:83 | 0 |

**„ევროპის ერთა თასი“**
**პირველი წრე**

მესამე ტური 4 მარტი

**რუსეთი — საქართველო** კრასნოდარი
**რუმინეთი — ჰოლანდია** კონსტანცა
**ესპანეთი — პორტუგალია** მადრიდი



## საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 17-18 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ალექსანდრე კუნჭულია


ირაკლი ჭოჭუა


აკაკი ჩაჩუა


ალექსანდრე დოხტურიშვილი


გიორგი ჯინჭველაშვილი


ხვიჩა ბიჩინაშვილი


რამაზ ნოზაძე


მირიან გიორგაძე

# როცა დუმილიც პასუხია
# შლაგბაუმი ოქროსკენ სავალ გზაზე

თავისუფალი სტილით მოჭიდავეების მიერ განახლებული ორი წლის წინათ შეწყვეტილი ეროვნული ჩემპიონატის ესტაფეტა ამ შაბათ-კვირას ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეებმა ჩაიბარეს. ასე რომ, ჭიდაობის მოყვარულებს დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირდათ.

თბილისის არმიის სპორტული კომპლექსი ისევ განათებული და გამთბარი გახლდათ. გულშემატკივრებიც მრავლად შეკრებილიყვნენ. მოსულიყვნენ ვეტერანი ფალავნებიც. მათთვის ხომ ყოველი ასეთი ღონისძიება დღესასწაულის ტოლფასია.

ასპარეზობამ 100-ზე მეტ მოჭიდავეს მოუყარა თავი. არცაა გასაკვირი, სხვა თუ არაფერი, მათთვის XXI საუკუნის საქართველოს პირველი ჩემპიონის ტიტული საკმაოდ მაცდური სატყუარა გახლდათ, გულშემატკივართა ანდამატი კი სიდნეის ოლიმპიური თამაშების პრიზიორთა და მონაწილეთა ხილვა იყო. მწვანე კონტინენტზე ხომ ყველაზე მეტად ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეებმა იყოჩაღეს. ექვსი მედლიდან ორი სწორედ მათ ანგარიშზეა. ერთ-ერთ ბრინჯაოსან აკაკი ჩაჩუას ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ეროვნული დროშის აღმართვის პატივი ხვდა წილად. მან, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონობა მოიპოვა. აკაკი ჩაჩუამ იოლად მიაღწია ამ წარმატებას.

— და მაინც, ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ვინ გაგიწიათ? — ვკითხეთ აკაკი ჩაჩუას, რომელიც ერთხანს ჩაფიქრდა, მერე კი... აბა, რა გითხრათ, ყველა მეტოქე იოლად დავამარცხეო. არა, აკაკი ჩაჩუას ეს არ უთქვამს, მაგრამ მის მდუმარე პასუხში სწორედ ამგვარი რამ ამოვიკითხეთ.

ჩემპიონობა მოიპოვა ოლიმპიელმა მირიან გიორგაძემაც (130 კგ). თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენ ოლიმპიელებს სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვება გარანტირებული ჰქონდათ. მეტიც, ორგზის ოლიმპიელ ტარიელ მელელაშვილსა (76) და გენადი ჩხაიძეს (97) საპატიო კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე გადაულახავი შლაგბაუმი დაახვედრეს და ვერცხლის მედლებს დააჯერეს შესაბამისად გიორგი ჯინჭველაშვილმა და რამაზ ნოზაძემ.

გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ ხალიჩაზე ოლიმპიურ ბრინჯაოსან მუხრან ვახტანგაძესაც იხილავდნენ, მაგრამ...

— დიდი სურვილი მქონდა განახლებულ ჩემპიონატზე მეჭიდავა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ორიოდე კვირის წინ კოჭი დამიშავდა. ახლა მის მოსაშუშებლად კიდევ ერთი ამდენი ხანი მჭირდება — გვითხრა მუხრან ვახტანგაძემ.

შეჯიბრების შემდეგ გავესაუბრეთ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ *ბეჟან დარჩიას*.

**— ახლა, როდესაც საქართველოს ჩემპიონატი დასრულდა, მისი შეფასებაც შეიძლება. როგორ ფიქრობთ, რა დაგვანახა ამ შეჯიბრებამ?**

— ჩვენი პირობების გათვალისწინებით, ეროვნული ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩატარდა. რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო, გაკეთდა. თავად ორთაბრძოლები ძალზე სანახაობრივი, დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სასიხარულოა, რომ ჩემპიონთა შორის რამდენიმე ახალგაზრდაა. გარდა ამისა, შეირჩა ნაკრების კანდიდატები, რომლებიც 2-4 მარტს ტაშკენტის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე გამოვლენ.

**— ყველაზე იმედიანად რომელ წონით კატეგორიაში შეიძლება ვიყოთ?**

— ჯერ კიდევ წინა გვაქვს მზადების ეტაპები. უნდა გავიაროთ შეკრებები, გამოვიდეთ საერთაშორისო ტურნირებზე. მხოლოდ ამის შემდეგ თუ შეგვეძლება დავასახელოთ ის სპორტსმენები, რომლებიც დიდ შეჯიბრებებზე ამა თუ იმ წონით კატეგორიაში ჩემპიონობისთვის და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას შეძლებენ. თუმცა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ახალგაზრდები, ირაკლი ჭოჭუა და რამაზ ნოზაძე, რომლებმაც შესაბამისად 58 და 97 წონით კატეგორიებში ჩემპიონობა არავის დაანებეს. ასე რომ, მათდამი იმედიანადა ვარ განწყობილი.



ხვიჩა ბიჩინაშვილმა (ზემოთ) ყველა შეხვედრა მოიგო

**— რომელ წონით კატეგორიებში მოვიკოჭლებთ?**

— გადაჭრით არც ამის თქმა შემიძლია. მოგეხსენებათ, ოლიმპიური ციკლი ახლახან დამთავრდა და დაიწყო ახალი ეტაპი. ოლიმპიადისთვის მზადებამ კი განაპირობა ის, რომ ლიდერები, თავიანთი შესაძლებლობების კვალობაზე, თანაბრად არიან მომზადებულნი. თუმცა, ჯობს დაველოდოთ მზადების ეტაპებსა და საერთაშორისო ტურნირებს, სადაც უკეთ გამოჩნდება ის წონითი კატეგორიები, რომლებშიც მოვიკოჭლებთ.

**— ამ ჩემპიონატის შედეგების მიხედვით რომელ რეგიონში უკეთ ზრუნავენ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის განვითარებისთვის?**

— გამოვყოფდი თბილისის, ქუთაისისა და ოზურგეთის გუნდებს, ასევე აჭარის ნაკრებს. აღმოსავლეთ საქართველოში აღსანიშნავია გარდაბნის რაიონი. იქაურებმა საკმაოდ კარგი ორთაბრძოლები გვიჩვენეს. აი, ესაა ის წამყვანი რეგიონები, რომლებიც დღეს ამინდს ქმნიან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. აქვე მინდა აღვნიშნო სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორის აკაკი ჩაჩუას გამოსვლა. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი საქართველოში უძლიერესი ფალავანია. ვიმედოვნებ, რომ აკაკი ნიუ იორკის მსოფლიოს ჩემპიონატზეც წარმატებით იასპარეზებს.

**გიგა გურასაშვილი**

**ჩემპიონები და პრიზიორები**

54 კგ. 1. ალექსანდრე კუნჭულია, 2. ვაჟა ომანიძე, 3. ალექსანდრე ტაბატაძე
58 კგ. 1. ირაკლი ჭოჭუა, 2. მიხეილ ზავარაშვილი, 3. პაატა ბიწაძე
63 კგ. 1. აკაკი ჩაჩუა, 2. ლევან ოდიშარია, 3. კახა ცირამუა
69 კგ. 1. ალექსანდრე დოხტურიშვილი, 2. შმაგი გოქაძე, 3. მანუჩარ კვირკველია
76 კგ. 1. გიორგი ჯინჭველაშვილი, 2. ტარიელ მელელაშვილი, 3. ბადრი ხასაია
85 კგ. 1. ხვიჩა ბიჩინაშვილი, 2. ზურაბ წიქარიძე, 3. პეტრე მეტრეველი
97 კგ. 1. რამაზ ნოზაძე, 2. გენადი ჩხაიძე, 3. ზაზა სილაგაძე
130 კგ. 1. მირიან გიორგაძე, 2. გიორგი წურწუმია, 3. ლაშა გვადიბაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი. ლაჰტი (ფინეთი)

# ფინური ამბები

## ოქრო შექმნილი, ვერცხლი დაკარგული

ლაჰტიში უქმეებზე ქარმა იმძლავრა. მსოფლიოს ჩემპიონატის საცქერად მისული 51 ათასი კაცი დალონდა, როცა ორგანიზატორებმა სათხილამურო ორჭიდი გადადეს. ქარის ქროლა და ტრამპლინიდან ხტომა, მოგეხსენებათ, პირდაპირ კავშირში არიან და სპორტსმენის კისრის მოტეხვის ალბათობას ზრდიან. სამაგიეროდ, ვერა ქარმა ვერ გაფანტა სამშობლოსა და თხილამურობის ერთგული ფინელები, როცა შაბათს ვაჟებმა და კვირას ქალებმა კომბინაციის მედლები გაითამაშეს. ორგანვე კომბინაცია იწყებოდა კლასიკური რბოლით და სრულდებოდა გამოდევნებით, ოღონდ ძლიერი სქესის შვილებს ორივე ეტაპზე 10-10 კილომეტრის გავლა მართებდათ, მშვენივრებს — ორჯერ ნაკლებისა.

ადგილობრივი დროით დილის ათ საათზე ფინელები დიდებულ ხასიათზე იყვნენ, სტარტზე მათი კერპი, მიკა მულულა იდგა. მოირჩინა გრიპი, თუ თავს ძალა დაატანა, ვერ გეტყვით, მაგრამ უფრო მეორე ვარიანტი ჩანს სარწმუნო, რადგან მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: მულულამ საუცხოოდ გაიარა კლასიკური ეტაპი, ფინიშზე პირველი იყო, ხოლო გამოდევნების დაწყებამდე სტარტიდან აორთქლდა. ექიმთა კომენტარებით, იგი ისევ შეუძლოდ გახდა და მეორე ეტაპზე სრიალი არ შეეძლო. ქომაგებს რა ექნათ, აფსუსო, თქვეს და ასობით ბაირაღი უფრო ენერგიულად გააფრიალეს. ახლა იარი იზომეცას იმედით იყვნენ. ეს 32 წლის მოთხილამურე ფინეთში პოპულარულია, ნაკრების სულსა და გულსაც ხშირად უწოდებენ, ოღონდ შაბათს ჯერ მცირედ სამწუხარო ამბავი შეემთხვა, მერე — გასაგიჟებელი. იზომეცა ფინიშზე მეორე მივიდა, პერ ელოფსონმა გაუსწრო, ვისთვისაც კომბინაციის ოქრო მეორე იყო ლაჰტიში.

იზომეცა თავისი შედეგით არ ალფრთოვანებულა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე არც მეორე ადგილები რიგდება კანფეტებივით, ამიტომ იგი მხოლოდ ოდნავ გაწბილებული ჩანდა. ეს მერე იყო, ვაჟკაცისთვის შეუფერებელი ცრემლები რომ ღვარა, როცა დოპინგზე მხილებულად გამოცხადდა და ჩემპიონატიდან მოკვეთეს. ორწლიანი დისკვალიფიკაციის პერსპექტივა წინ არის. სპორტსმენთა მეტი წილი, ჩვეულებრივ, დოპინგთან კავშირს უარობს, იზომეცამ კი აღიარა, რომ სამედიცინო მოსაზრებით ჰიდროქსიეთილს იღებდა, ეს კი აკრძალული პრეპარატების ნუსხაში შედის. პატიოსანმა ბრალდებულმა თავისი დოპინგ-ისტორიიდან გამორიცხა ფინეთის ნაკრების ყველა წევრი და სამედიცინო პერსონალი, წამალს ერთი ნაცნობი ექიმი მაძლევდაო. „ვერ წარმოვიდგინე, თუ იგი აკრძალული იყო" — სუსტად იმართლა თავი ფინელმა, რამაც, ცხადია, ვერ უშველა.

დოპინგი თხილამურობაში საკმაოდ იშვიათი თემაა. მოთხილამურეები ძირითადად არ სცოდავენ, თუმცა ერთეული შემთხვევები 1976 წლიდანაა ცნობილი. მაშინ, ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადაზე, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, საბჭოელ გალინა კულაკოვას ეფედრინი უპოვეს და ბრინჯაოს მედალი წაართვეს. 1987-ში ამერიკელმა კერი ლინჩმა იგივე მიზეზით მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალი დათმო და ათი წლის შემდეგ ლეგენდარული რუსი, ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლიუბოვ ეგოროვა დაისაჯა ოქროს მედლის ჩამორთმევით. ეგოროვა ნორვეგიულ ტრონჰეიმში გამოიჭირეს, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატი მიდიოდა. მას ბრომონტანი აღმოაჩნდა.

იზომეცას დრამით ქერა ესპანელმა გიგანტმა, იოჰან მულეგმა და რუსმა ვიტალი დენისოვმა იხეირეს. ესპანელიო ვთქვით, მაგრამ მულეგი გერმანელია, რომელიც ესპანეთის სახელით სრიალებს და შაბათს მეორე სამშობლოს ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატების პირველი მედალი დააფიქსირა. მედალი ჯერ ბრინჯაოსი იყო, მერე კი ვერცხლისფერი გახდა. დენისოვი ბრინჯაომდე მეოთხე ადგილიდან ამაღლდა.

კვირა გათენდა. 50 ათასმა ფანმა ისევ ერთგულად გაავსო ლაჰტის შემოგარენი. მათი მეტი წილი ფინელი იყო და ფინეთის დროშებიც შაბათივით სხვებზე ერთობ დომინირებდნენ. ქალთა კომბინაციაში მასპინძლებს არ ჰყავთ გამოკვეთილი ფავორიტი. კაისა ვარისი სხვებზე საიმედო ჩანდა, მაგრამ რუს ქალთა ლეგიონის ფონზე (ლარისა ლაზუტინა, ოლგა დანილოვა, იულია ჩეპალოვა, ნინა გავრილიუკი) — უფერული. რუსები 15 კილომეტრზე ოქროს წაგებაზე ნერვიულობდნენ, ცალკე იტალიელი სტეფანია ბელმონდო ილესავდა კბილებს და ნორვეგიელი ბენტე სკარიც ხსენების ღირსია: 15 კილომეტრი კლასიკურად სწორედ მან მოიგო. სკარი დაწინაურდა კომბინაციის პირველ ეტაპზეც. კლასიკური სტილის 5 კილომეტრი მან ეფექტურად გალია. მეორე ადგილზე მოულოდნელად აღმოჩნდა მასპინძელი ვირპი კუიტუნენი, 24 წლის სტუდენტი, რომელსაც მსოფლიოს კი არა, ფინეთის პირველობაც არასოდეს მოუგია.

გამოდევნების პირველი კილომეტრის შემდეგ სკარი ჩამორჩა და კუიტუნენმა მოუჩქარა. მან შორს მოიტოვა ნორვეგიელი, მაგრამ რუსები ცოცხლად იყვნენ და ორმა მათგანმა, ლაზუტინამ და დანილოვამ, საქმე ფინალურ სპრინტამდე მიიყვანეს. ქომაგთა ყვირილმა, ბუკ-ნაღარის ცემამ და ალმების ფრიალმა კუიტუნენს დამატებითი სტიმული შესძინა და იგი პირველი იყო. ორნახევარი წამით ლაზუტინა ჩამორჩა და სამით — დანილოვა. ბელმონდო მეოთხე ადგილზე გავიდა და მხოლოდ მეხუთეზე სკარი, პირველი ეტაპის მომგები და მსოფლიოს ჩემპიონი.

უკვე აღვნიშნეთ, რომ კუიტუნენის სპორტული დოსიე საყურადღებოს არას შეიცავს. თასზე ორი სეზონია გამოდის და ჯერ ეტაპი არ მოუგია. საერთო ჩათვლაში მეთორმეტეა. ხუთი წლის წინათ, ვარჯიშისას, კუიტუნენმა ფეხი სამგან მოიტეხა და კარიერის დამთავრებას უქადდნენ, მაგრამ შეძლო და თავს მოერია. გაძლების ნაყოფი კვირას გამოჩნდა — კუიტუნენის ოქროს მედალი პირველი იყო ფინეთისთვის.

**დავით გულუა**

| ვაჟები. კომბინაცია (10 კმ კლასიკური + 10 კმ გამოდევნება) |
|---|
| 1. პერ ელოფსონი (შვედეთი) 47:15,5 |
| 2. იოჰან მულეგი (ესპანეთი) 47:42,0 |
| 3. ვიტალი დენისოვი (რუსეთი) 47:49,5 |
| 4. მათიას ფრედრიკსონი (შვედეთი) 47:56,3 |
| 5. თომას ალსგაარდი (ნორვეგია) 47:59,0 |

| ქალები. კომბინაცია (5 კმ კლასიკური + 5 კმ გამოდევნება) |
|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) 28:06,1 |
| 2. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 28:09,9 |
| 3. ოლგა დანილოვა (რუსეთი) 28:09,3 |
| 4. სტეფანია ბელმონდო (იტალია) 28:23,9 |
| 5. ბენტე სკარი (ნორვეგია) 28:24,9 |






ვირპი კუიტუნენმა ჯერ ფინიშის ხაზი გადაკვეთა პირველმა, მერე კი ოქროს მედლით მოიწონა თავი



მსოფლიოს თასი




იანიცა კოსტელიჩი (შუაში) პოდიუმზეც პირველია და საერთო ჩათვლაშიც

# ვინ თქვა, იანიცა მიდისო?!

იანიცა კოსტელიჩის ემოციური აფეთქება ეყოთ ზაგრების გაზეთ „ვიესტნიკის" ჟურნალისტებს, რომ ქვეყნისთვის ეთქვათ, მსოფლიოს უპირველესი მესლალომე დიდი სპორტიდან მიდისო. ამ ამბის სიყალბე იმთავითვე ცხადი იყო: 19 წლის ჯან-ღონით სავსე გოგო ტოტს არ მოიჭრის და მრავალი ათასის მოხვეჭაზე უარს არ იტყვის, თუ რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ აქვს. ხოლო პრესის კრიტიკა, მოგეხსენებათ, „განსაკუთრებულ მიზეზად" ვერაფრით იქცევა. კოსტელიჩს სანტ ანტონის მსოფლიოს პირველობაზე უსუსურ სრიალს აყვედრიდნენ, იმანაც წაინერვიულა, მერე კი წავიდა გერმანიაში, კურორტ გარმიშ პარტენკირხენში და ფრენი შნაიდერის რეკორდი გაიმეორა — სლალომში ზედიზედ მერვე ეტაპი მოიგო. კოსტელიჩმა კვირას ტრადიციულად უნაკლოდ ისრიალა, ხოლო კომენტარებში სიყვარული აუხსნა მსოფლიოს თასს და ანტიპათიურად დაახასიათა გასული მსოფლიოს ჩემპიონატი: „თასზე სულ სხვა ატმოსფეროა — თქვა მან — აქ ხელს არაფერი მიშლის და ხუთიანზე ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ვიცი. სანტ ანტონში უდიდეს ზეწოლას ვგრძნობდი, მხოლოდ ახლა აღვიდგინე ჩვეული რიტმი". სლალომის მოგებით კოსტელიჩმა გააღრმავა სხვაობა რენატე გოეჩლთან და ახლა თასის მოქმედ პატრონს 117 ქულას უგებს, თუმცა ეს არ გახლავთ უსაშველო რიცხვი, ავსტრიელს თასის შენარჩუნების შანსი კიდევ დარჩა, ისევე როგორც მესამედ მიმავალ რეჟინ კავანიუს. თასზე ეტაპის მოგება, მოგეხსენებათ, 100 ქულით ფასდება, ამიტომ ყველაფერი წინაა.

მსოფლიოს ჩემპიონი, ანია პაერსონი კვირას ჩაფლავდა. მისი პირველი დაშვება რიგიანი იყო, კოსტელიჩს მხოლოდ წამის მეასედით ჩამორჩა, მაგრამ მეორე დაშვებისას წაიქცა და ეს ამბავი გადაღლილობით ახსნა.

ახლა შევაჯამოთ. ქალებსა და ვაჟებშიც ბოლო კვირებმა ერთნაირი სურათი გვიჩვენა: ელიტის მეთაურებმა ჩააგდეს მსოფლიოს ჩემპიონატი და თასის ეტაპების მოგებით თითქმის მაშინვე დაიბრუნეს ღირსება. ასე გააკეთა ამას წინათ ჰერმან მაიერმა იაპონიაში და კვირას — კოსტელიჩმა გერმანიის ფერდობზე. და პირიქით: თასის ეტაპებზე ვერც ერთმა ჩემპიონმა ღირებული ვერაფერი შექმნა. მიხაელ ფონ გრუნინგენმა მაიერს გიგანტური სლალომი დაუთმო, პაერსონმა კოსტელიჩთან სლალომი წააგო. რაღაც ლოგიკა ზემორე ფაქტებში აშკარად მოჩანს.

გარმიშ პარტენკირხენის ფერდობის ძირში ამ უქმეებზე ცოტა ხალხი შეგროვდა. შედარებაც არაა სანტ ანტონთან და ესეც ჩემპიონატისა და თასის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი, თუმცა ამჯერად ხალხის სიმწირე უამინდობამაც განაპირობა. შაბათს ისე ძლიერ გაწვიმდა, ორგანიზატორებმა სუპერგიგანტის ეტაპი გადადეს. კიდევ კარგი, პარასკევს პირველი სუპერგიგანტი მოესწრო. ცხრა პირი ტყავი გაიძრო რენატე გოეჩლმა, თასის ჩათვლაში კოსტელიჩის დაწევა უნდა და ყოველ ქულას დაჰკანკალებს, მაგრამ თავის საფირმო სახეობაშიც ბოლომდე ვერ იხეირა: ფრანგმა კაროლ მონტიემ წამის მეასედით წაჰგვარა პირველობა. ხოლო კოსტელიჩმა რომ კვირის შანსი ხელიდან არ გაუშვა, უკვე მოგახსენეთ.

ვაჟები შაბათ-კვირასაც იაპონიაში ილვწოდნენ. მათ სლალომის ორი ეტაპი გამართეს. ტრიუმფი ფრიად უცნობმა ფრანგმა, პიერიკ ბურჟამ მოიწყო. მან ორივე ეტაპი მოიგო. ორჯერვე მეორე ადგილი ავსტრიელ ჰაინც შილხეგერს ერგო, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონი მარიო მატი სხვა ჩემპიონებივით უფერულად გამოჩნდა, რაშიც ერთადერთ მეოთხე ადგილს ვგულისხმობთ.

**დავით გულუა**

ქალები. სუპერგიგანტი

1. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) 1:23,15
2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 1:23,16
3. ბრიგიტე ობერმოზერი (ავსტრია) 1:23,36

სუპერგიგანტის ჩათვლა

1. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 510 ქულა
2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 354
3. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) 295

სლალომი

1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:19,96
2. კრისტელ საიონი (საფრანგეთი) 1:20,94
3. კარინ კოელერი (ავსტრია) 1:21,07

სლალომის ჩათვლა

1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 800
2. კრისტელ საიონი (საფრანგეთი) 311
3. კარინ კოელერი (ავსტრია) 304

საერთო ჩათვლა

1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1172
2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 1055
3. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 940

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ეპაშაიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, [illegible]
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge